*დანართი №3*

შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| თავმჯდომარე:  ნანა ხითარიშვილი |
| **წევრები:** |
| თეკლე ცუცქირიძე |
| ნანა ვერულაშვილი |
| ქეთევან ღვანიძე |
| ირმა არსენიშვილი |
| თამარ ჯანგულაშვილი |
| დემიდ ფასიეშვილი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ნაწილი I. შესავალი**

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება: შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 238134425

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

**დაწესებულების ავტორიზაცია**

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[redacted] დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 15 ოქტომბრის №MES 9 25 0001350585 ბრძანებით (ცვლილება შესულია 2025 წლის 14 ნოემბრის ბრძანება № MES 9 25 0001617868,) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯში დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2025 წლის 26, 27 და 28 ნოემბერს განხორციელდა ვიზიტი შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯში (მის.ქ. საგარეჯო გ. ლეონიძის N 33 ა). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციას, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებს, პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს. დათვალიერდა სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

## III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

| პროგრამის სახელწოდება | პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფინანსო სერვისები | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | რეალური სამუშაო გარემო | კოოპერაციული | საგარეჯო, ლეონიძის ქ. N33ა |
| ადმინისტრაციული სერვისები | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | რეალური სამუშაო გარემო | კოოპერაციული | საგარეჯო, ლეონიძის ქ. N33ა |
| აღმზრდელი | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | რეალური სამუშაო გარემო | კოოპერაციული | საგარეჯო, ლეონიძის ქ. N33ა |
| ფარმაცია (სააფთიაქო) | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | რეალური სამუშაო გარემო | კოოპერაციული | საგარეჯო, ლეონიძის ქ. N33ა |
| ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდაჭერა | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | რეალური სამუშოა გარემო | კოოპერაციული | საგარეჯო, ლეონიძის ქ. N33ა |
| ვეტერინარია | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | რეალური სამუშოა გარემო | კოოპერაციული | საგარეჯო, ლეონიძის ქ. N33ა |

**IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ**

*ცხრილი არ ივსება პირველადი ავტორიზაციის შემთხვევაში. ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| აღმზრდელი | 30 | 30 | - | 3 |
| ფარმაცია (სააფთიაქო) | 20 | 20 | - | - |
| ინფორმაციის ტექნოლოგია | 20 | 18 | - | - |
| ვეტერინარია | 20 | 20 | - | 1 |
| ბუღალტრული აღრიცხვა (მილევადი) | 20 | 5 | - | 2 |

## V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულების პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიან განხორციელებაში და სასწავლო რესურსების შექმნაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია;

- „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროგრამისთვის პედაგოგის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო, რომელიც სრულად შეესაბამება მოდულის სწავლის შედეგებს და ეფექტურად გამოიყენება როგორც პროფესიული სტუდენტების, ისე კოლეგა პედაგოგების მიერ. ეს ხელს უწყობს სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლებას, პედაგოგების პროფესიული განვითარების გაძლიერებასა და საგანმანათლებლო მასალების ხელმისაწვდომობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინფორმაციული ტექნოლოგიის პროფესიული განათლების მასწავლებელი მუშაობს ელექტრონული სასწავლო პლატფორმის შექმნაზე, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გაციფრულებას, სასწავლო რესურსებზე მუდმივ წვდომას და სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას. აღნიშნული ინიციატივა მნიშვნელოვნად აძლიერებს ინსტიტუციის ტექნოლოგიურ პოტენციალს და ზრდის სწავლების ეფექტიანობას.

**ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები**
**I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| 1.1) პსდ-ს მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| 3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება | ☒ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **4) ადამიანური რესურსები** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2) პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 5.3) ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი საფინანსო სერვისები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების | ☒ შეესაბამება | ☒ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| შეფასება და განვითარება | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**ადმინისტრაციული სერვისები**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებ *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის | ☒ შეესაბამება | ☒ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| განხორციელების რესურსი | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

აღმზრდელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებ *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის | ☒ შეესაბამება | ☒ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| განხორციელების რესურსი | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ფარმაცია (საფთიაქო)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებ *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის | ☒ შეესაბამება | ☒ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| განხორციელების რესურსი | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდაჭერა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ☒შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ☒შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ვეტერინარია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებ *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის | ☒ შეესაბამება | ☒ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| განხორციელების რესურსი | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

## V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

1.1.1.3 დაწესებულების ხედვაა „უახლოეს შვიდ წელიწადში ჩამოყალიბდეს მრავალპროფილიან საგანმანათლებლო ცენტრად, რომელიც წარმატებით ახორციელებს ყველა დონის პროფესიულ პროგრამას შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული პროფესიების ფართო სპექტრში.“ სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ხედვის დროში მკაფიოდ რეგლამენტირება, რათა ის არ დარჩეს ზოგად განაცხადად და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარდაიქმნას რეალისტურ, მიღწევად მიზნად. მკაფიოდ განსაზღვრული ვადა ხელს უწყობს პროცესების უკეთ ორგანიზებას, პროგრესის პერიოდულ შეფასებას და ხედვის ეტაპობრივ, შედეგზე ორიენტირებულ მიღწევას.

1.2.1.1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სტრატეგიული დაგეგმვის, შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია“ (დამტ. 29.11.2023 N 111; ცვლილება 26.08.2025 N 129), რომლის მიხედვითაც დაწესებულებამ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით უნდა შექმნას სამუშაო ჯგუფი. დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის 12 ივნისის ბრძანება N 75 შპს „ილია ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ N 00020305. აღნიშნული ჯგუფის მუშაობის ამსახველი ოქმებით და დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიუირებით დადასტურდა, რომ აღნიშნულმა ჯგუფმა შეიმუშვა 2025-2032 წწ სტრატეგიული გეგმა და 2025-2026 წწ სამოქმედო გეგმა. სასურველია, რომ სამუშაო ჯგუფის შექმნის შემთხვევაში, ბრძანებაში დეტალურად იყოს ფორმულირებული თუ რა ფუნქციებსა და მოვალეობებს ასრულებენ ჯგუფის წევრები. ეს უზრუნველყოფს სამუშაო პროცესის გამჭვირვალობას, ხელს შეუწყობს საქმიანობის ეფექტურობას და მიზანმიმართულ განხორციელებას.

1.2.2.1 დაწესებულებას „სტრატეგიული დაგემვის, შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიით“ (დამტ. შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 29.11.2023 N 111 ცვლილება შესულია 26.08.2025 N 129 ბრძანებით) განსაზღვრული აქვს რომ შუალედური ანგარიშგება ხორციელდება დაგეგმილი აქტივობების მიმდინარეობის მიხედვით და შეიძლება განხორციელდეს ზეპირი მოსმენის ფორმით ერთობლივ სხდომებზე, სამუშაო ჯგუფის ან ადმინისტრაციის ფარგლებში. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოკლე წერილობითი შეჯამებების მომზადებაც. სასურველია დაწესებულებამ მეთოდოლოგიაში დააკონკრეტოს როგორც სამოქმედო გეგმის, ასევე სტრატეგიული გეგმის შუალედური მონიტორინგის განხორციელების ვადები და როგორც საბოლოო მონიტორინგის დროს, ასევე შუალედური მონიტორინგის დროს უზრუნველყოს ანგარიშებს წარდგენა წერილობითი დოკუმენტის სახით. ეს უზრუნველყოფს მონიტორინგის პროცესის სისტემურობას, გამჭვირვალობასა და შედეგებზე ორიენტირებულ შეფასებას, რაც ასევე ხელს შეუწყობს დროულად დაფიქსირდეს და გამოსწორდეს შესაძლო ხარვეზები. ამასთანავე, მიღებულ იქნას ობიექტური და ფაქტებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები.

3.1.1.1. დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება შპს „ილია–ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2025 წლის შემოდგომის მიღებისათვის შესარჩევი მოტივაციური გასაუბრების დანიშვნის ვადებისა და დროის განსაზღვრის შესახებ“, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი როგორც გასაუბრების ჩატარების ვადები და პროცედურები, ასევე შესარჩევი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომისიის შემადგენლობა. რადგან ბრძანების დასახელება მოიცავს შესარჩევი მოტივაციური გასაუბრების დანიშვნის ვადებსა და დროს, ხოლო ბრძანების შინაარსით ასევე განსაზღვრულია შესარჩევი კომისია. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია რომ ბრძანების სათაური უფრო ზუსტად ასახავდეს მის შინაარსს.

3.1.1.4 პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება -მოვალეობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი, გაწერილია პერსონალურ მონაცემთა მოპოვების, დაცვის მექანიზმები და ასევე სტუდენტთა თანხმობის მოპოვების პროცედურა პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე. აღნიშნულ ხელშეკრულებაში პუნქტი 4.6-ით დაწესებულება იღებს უფლებას „სტუდენტის ფოტო გამოყენებული იქნას კოლეჯის პოპულარიზაციისთვის“ ვინიდან ხელშეკრულებაზე ხელმოწერა წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას დაწესებულებაში ჩასარიცხად, პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს უჩნდება ვალდებულება განაცხადოს თანხმობა ხელშეკრულებაში გაწერილ ყველა ჩამოთვლილ საკითხზე, მაშინაც კი, თუ რომელიმე მათგანს არ ეთანხმება. აღნიშნული მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან, რომელიც ითვალისწინებს, რომ თანხმობა პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე უნდა იყოს თავისუფლად გაცემული, კონკრეტული და ინფორმირებული. სასურველია დაწესებულებამ აღნიშნული საკითხებზე (თანხმობა ფოტო/ვიდეო გადაღებაზე) უზრუნველყოს სტუდენტისთვის/კანონიერი წარმომადგენელისთვის არჩევანის მინიჭების უფლება, რისთვისაც შესაძლებელია ხელშეკრულებაში გააჩინოს დამატებით მოსანიშნი გრაფა ან აღნიშნული საკითხი დაარეგულიროს ხელშეკრულების მიღმა.

3.2.1.1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „მთავარი დებულება“, (დამტ.ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ) სადაც გაწერილია დაწესებულებაში დასაქმებული პირების უფლებები და მოვალეობები. პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობებში არ არის გაწერილი სტუდენტებისთვის საჭიროების შემთხვევაში დამატებითი კონსულტაციების გაწევის ვალდებულება, მაშინ როდესაც ინტერვიუირებით პროფესიული განთლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან დასტურდება პროფესიული განათლების მასწავლებლების მხრიდან საჭიროების შემთხვევაში დამატებითი კონულტაციების გაწევა. სასურველია, რომ დაწესებულებამ პროფესიული განათლების მასწავლებლის მოვალეობებში ცალკე განუსაზღვროს სტუდენტებისთვის კონსულტაციისა და მხარდამჭერი აქტივობების განხორციელება. ამ მიდგომით უზრუნველყოფილი იქნება აღნიშნული პროცესის ფორმალიზება, თანმიმდევრულობა და სტუდენტზე ორიენტირებული მხარდაჭერის გამართული სისტემა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2.2.3 დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ კვლევის მეთოდოლოგია“ რომლის მიხედვითაც ატარებს კურსდამთავრებულთა კვლევას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაშია არ არის გაწერილი თუ რა პერიოდულობით ტარდება აღნიშნული კვლევა. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს კვლევის მეთოდოლოგიაში კურსდამთავრებულთა კვლევის ჩატარების პერიოდის განსაზღვრა, რაც უზრუნველყოფს კვლევის პროცესის ეფექტურ დაგეგმვას, შედეგების შედარების შესაძლებლობას და კვლევის გამჭვირვალობას.

4.2.1.1. ვიზიტის პერიოდში დადგინდა. რომ დაწესებულება ატარებს ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროებების კვლევას, თუმცა აღნიშნული კვლევის მექანიზმი არ არის გაწერილი დაწესებულების კვლევის მეთოდოლოგიაში. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს მარეგულირებელ დოკუმენტში ადმინისტრაციული პერსონალის კვლევის პროცედურის განსაზღვრა, რათა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები და მარეგულირებელი დოკუმენტები თანხვედრაში იყოს ერთმანეთთან.

5.2.2.1 დაწესებულებაში მოქმედებს „საქმისწარმოების წესი“, სადაც დეტალურად არის გაწერილი სხდომებისა და სამუშაო შეხვედრების ოქმების შედგენისა და გაფორმების პროცედურა. თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ოქმები სრულად არ შეესაბამებოდა აღნიშნულ მეთოდოლოგიას. სასურველია, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს საქმისწარმოების წესის შესაბამისი ფორმატის ოქმების მომზადება და წარმოება, რათა დოკუმენტაცია სრულად შეესაბამებოდეს შიდა რეგულაციებს.

ბ) გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

**პროფესიული პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო)**

2.2.1.3 პროგრამაში არსებული ხშირი ცვლილებების (დარგობრივი და ხარისხობრივი განახლებების) გათვალისწინებით, მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებლების უფრო ინტენსიური ჩართულობა კვალიფიკაციის ასამაღლებელ აქტივობებში. სასურველია პედაგოგები სისტემურად მონაწილეობდნენ დარგობრივ შეხვედრებში, თანამედროვე პრაქტიკების გაცნობის სესიებში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და შესაბამის ტრენინგებში, რათა მათ მიერ განხორციელებული სწავლების პროცესი მუდმივად შეესაბამებოდეს განახლებული მოთხოვნებს, სტანდარტებს და პროგრამის სპეციფიკას.

2.2.1.4 პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა რომ პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტზე გასული სტუდენტების მონიტორინგს. გამომდინარე აქედან, სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს აღნიშნული ფუნქციის მკაფიოდ და სრულად აისახვა პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობაში.

**VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 19 დეკემბრის MES 3 25 0001807429 წერილის საფუძველზე წარმოდგენილია დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასთან დაკავშირებით. რის მიხედვითაც, დაწერებულება სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციებს.

**ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება
   1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია
   1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში
   1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
   2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
   3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
   4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს,**
შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი 2000 წლიდან ფუნქციონირებს საგანმანათლებლო ბაზარზე და შესაბამისად საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. დაწესებულების მისიაა „ ადგილობრივი და ეროვნული შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული, კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, სოციალური ჩართულობის ზრდასა და ინდივიდის პიროვნულ-პროფესიულ წინსვლას.“ მისია ეხმიანება პროფესიული განათლების ისეთ მიზნებს, როგორიცაა შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული სპეციალისტების მომზადება და ინდივიდის პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა.
**ინდიკატორი 1.1.1.1 შესაბამისობაშია**

**2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან**
დაწესებულების მისიიდან იკვეთება, რომ დაწესებულება გეგმავს მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, სხვადასხვა პროფილის კვალიფიციური კადრები. შესაბამისად, დაწესებულების საქმიანობა არის მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.
**ინდიკატორი 1.1.1.2 შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;**
დაწესებულების ხედვა და ღირებულებები თავსებადია დაწესებულების მისიასთან და ითვალისწინებს დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიმართულებების რეალიზებასთან დაკავშირებულ მიდგომებსა და პრინციებს. დაწესებულების ხედვაა „უახლოეს შვიდ წელიწადში ჩამოყალიბდეს მრავალპროფილიან საგანმანათლებლო ცენტრად, რომელიც წარმატებით ახორციელებს ყველა დონის პროფესიულ პროგრამას შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული პროფესიების ფართო სპექტრში. დაწესებულება მიზნად ისახავს გახდეს პროფესიული განათლების ხარისხის, ინოვაციური მიდგომებისა და თანამშრომლობითი კულტურის მაგალითი რეგიონში, რომელიც აღიარებულია როგორც მისაბაძი და სასურველი საგანმანათლებლო სივრცე პროფესიული მომავლისთვის.“ დაწესებულების ღირებულებებია: გუნდური მუშაობა, პროფესიონალიზმი, საქმის ერთგულება, ინოვაციების მხრდაჭერა, თანასწორობა და ურთიერთპატივისცემა“.
**სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ხედვის მკაფიოდ რეგლამენტირება დროში , რათა ის არ დარჩეს ზოგად განაცხადად და გარდაიქმნას რეალისტურ, მიღწევად მიზნად. მკაფიოდ განსაზღვრული ვადა ხელს უწყობს პროცესების უკეთ ორგანიზებას, პროგრესის პერიოდულ შეფასებას და ხედვის ეტაპობრივ, შედეგზე ორიენტირებულ მიღწევას.**

**ინდიკატორი 1.1.1.3 შესაბამისობაშია**

**4.მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი**
დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ მისია ხედვა ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების პროცესის მეთოდოლოგია“ დამტ. ( შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახ.საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 26 აგვისტოს ბრძანება N 000000219). მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია მისია, ხედვა და ღირებულების შემუშავების და დაინტერესებულ პირებთან გაცნობის/ გაზიარების მექანიზმები. დაწესებულება მისია, ხედვა და ღირებულების შემუშავებისთვის ქმნის სამუშაო ჯგუფს. ექსპერტებისთვის წარმოდგენილი იყო სამუშაო ჯგუფის მუშაობის ამსახველი ოქმები. მეთოდოლოგიის თანახმად დაწესებულებას მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებული აქვს დაწესებულების ვებ გვერდზე თავისუფალი წვდომის რეჟიმში, გამოკრულია დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას და განთავსებულია ისეთ დოკუმენტში როგორიცაა სტრატეგიული განვითარების 2025-2032 წლების გეგმა. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულების მხრიდან მათთვის გაზიარებულია დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 1.1.1.4 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები;
- *სტრატეგიული განვითარების გეგმა 2025-2032 წწ დამტ. დირექტორის 2025 წლის 30 აგვისტოს ბრძანება N 00000132*
- *სტრატეგიული დაგეგმვის, შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია" დამტ. შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 29.11.2023 N 111 ცვლილება შესულია 26.08.2025 N 129 ბრძანებით*
- *მისია, ხედვა ღირებულებების შემუშვებისა და გაზიარების პროცესის მეთოდოლოგია დამტ შპს ილია -ილია ჭავჭავაძის სახ. ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 26 აგვისტოს ბრძანება N 000000219*
- *შპს ილია ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებივი კოლეჯის ავტორიზაციის სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N 75 12/06/2025*
- *მისია, ხედვა ღირებულებების შემუშვების სამუშაო ჯგუფის მუშაობის ოქმები;*
- ვიზუალური დათვალიერება;
- *ინტერვიუს შედეგები;*
- *https://iliaedu.ge/*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება**

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ სტრატეგიული დაგეგმვის, შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია" (დამტ. შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 29.11.2023 N 111 (ცვლილება შესულია 26.08.2025 N 129 ბრძანებით)). დოკუმენტში გაწერილია სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპები, სამოქმედო გეგმის შემუშავების და გაზიარების მექანიზმები, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები. დაწესებულება სტრატეგიული დაგეგმვისას ეყრდნობა SWOT მეთოდოლოგიას. აღნიშნული პროცესების წარმართვის მიზნით, დაწესებულების დირექტორი ბრძანების საფუძველზე ქმნის სამუშაო ჯგუფს. დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის 12 ივნისის ბრძანება N 75 შპს- ილია ილია ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით აღნიშნულ ჯგუფს დაევალა სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შემუშავება. დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული სამუშაო ჯგუფის შეხვედრის დამადასტურებელი ოქმები. აღნიშნული ოქმებიდან დგინდება, რომ აღნიშნულმა ჯგუფმა შეიმუშავა დაწესებულების სტრატეგიული გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

**სასურველია, რომ სამუშაო ჯგუფის შექმნის შემთხვევაში, ბრძანებაში დეტალურად იყოს ფორმულირებული თუ რა ფუნქციებსა და მოვალეობებს ასრულებენ ჯგუფის წევრები. ეს უზრუნველყოფს სამუშაო პროცესის გამჭვირვალობას, ხელს შეუწყობს საქმიანობის ეფექტურობას და მიზანმიმართულ განხორციელებას.**

**ინდიკატორი 1.2.1.1. შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2025-2032 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა, ასევე დამტკიცებული აქვს „სტრატეგიული დაგგემვის, შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია“ (დამტ. შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 29.11.2023 N 111 (ცვლილება შესულია 26.08.2025 N 129 ბრძანებით)). აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით დაწესებულების დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრებიც შესაძლოა იყვნენ: ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, პარტნიორი დამსაქმებლები და პროფესიული ასოციაციები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. აღნიშნული პროცესის პრაქტიკაში განხორციელების დასადასტურებლად დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის 12 ივნისის ბრძანება N 75 შპს ილია- ილია ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. აღნიშნული ბრძანებით დგინდება, რომ ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა როგორც სტუდენტი და მშობელი, ასევე საგარეჯოს განათლების, კულტურის ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდული სამსახურის უფროსი. აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება,რომ დაწესებულება ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს.

**ინდიკატორი 1.2.1.2 შესაბამისობაშია**

**3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.**

დაწესებულების მიერ შემუშავებული 2025-2032 წწ სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს ანალიტიკური ტიპის დოკუმენტს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას: სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების, განხორციელების ვადების, შესრულების ინდიკატორების შესახებ. დაწესებულებას სტრატეგიული გეგმით გაწერილია აქვს ექვსი სტრატეგიული მიზანი, ესენია: 1. **ორგანიზაციული განვითარება 2. საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების ხარისხის განვითარება 3. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება 4. პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მხარდაჭერა 5. უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა 6. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და და სოციალური ჩართულობის გაძლიერება.** დაწესებულების თითოეული სტრატეგიული მიზანი შეესაბამება მისიის შინაარსს და უზრუნველყოფს მის პრაქტიკულ განხორციელებას ყველა ძირითად მიმართულებით. სტრატეგიული მიზნები ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული, კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაზე, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეწყობას, სოციალური ჩართულობის გაძლიერებასა და ინდივიდის პროფესიულ წინსვლას. თითოეულ სტრატეგიულ მიზანთან მიმართებით დაწესებულებას გაწერილი აქვს შესაბამისი ამოცანები, შესრულების ვადები, ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები. დაწესებულება ასევე ყოველწლიურად შეიმუშავებს ერთ წლიან სამოქმედო გეგმას. 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია სტარტეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანები, ამოცანის მიღწევისთვის საჭირო აქტივობები, აქტივობების შესრულების ვადები, პასუხისმგებელი და აქტივობის შესრულების პროცესში ჩართული პირები, შესრულების ინდიკატორები, ფინანსური და მატერიალური რესურსი.

**ინდიკატორი 1.2.1.3 შესაბამისობაშია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სტრატეგიული დაგეგმვის, შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია“ (დამტ. შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 29.11.2023 N 111 ცვლილება შესულია 26.08.2025 N 129 ბრძანებით).
- *სტრატეგიული განვითარების გეგმა 2025-2032 წწ დამტ. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 30 აგვისტოს ბრძანება N 00000132*
- ერთწლიანი 2025-2026 წწ სამოქმედო გეგმა დამტ. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 30 აგვისტოს ბრძანება N 00000132
- ანგარიში 2025-2026 წწ სამოქმედო გეგმის და 2025-2032 წწ სტრატეგიული გეგმის საჯაროდ განხილვის შესახებ;
- ანგარიში 2025-2026 წწ სამოქმედო გეგმის დ 2025-2032 წწ სტარტეგიული გეგმის საბოლოო განხილვის შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები;
- *https://iliaedu.ge/*

**1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. **პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**
2. **პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;**
3. **სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის, შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია" (დამტ. შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 29.11.2023 N 111 (ცვლილება შესულია 26.08.2025 N 129 ბრძანებით)). აღნიშნული მეთოდოლოგიის შესწავლით დგინდება, რომ მონიტორინგი გულისხმობს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების სისტემურ და პერიოდულ გაანალიზებას წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორებისა და კრიტერიუმების საფუძველზე. შუალედური ანგარიშგება ხორციელდება დაგეგმილი აქტივობების მიმდინარეობის მიხედვით და შეიძლება განხორციელდეს ზეპირი მოსმენის ფორმით ერთობლივ სხდომებზე, სამუშაო ჯგუფის ან ადმინისტრაციის ფარგლებში. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოკლე წერილობითი შეჯამებების მომზადებაც. ხოლო წლიური ანგარიშები წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი დოკუმენტის სახით. **სასურველია დაწესებულებამ მეთოდოლოგიაში დააკონკრეტოს როგორც სამოქმედო, ასევე სტრატეგიული გეგმის შუალედური მონიტორინგის განხორციელების ვადები და როგორც საბოლოო მონიტორინგის დროს ასევე შუალედური მონიტინგის დროს ანგარიშები წარადგინოს წერილობითი დოკუმენტის სახით. ეს უზრუნველყოფს მონიტორინგის პროცესის სისტემურობას, გამჭვირვალობასა და შედეგებზე ორიენტირებულ შეფასებას, რაც ასევე ხელს შეუწყობს დროულად დაფიქსირდეს და გამოსწორდეს შესაძლო ხარვეზები. ამასთანავე, მიღებულ იქნას ობიექტური და ფაქტებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები.**

დაწესებულებამ წარმოადგინა 2025–2026 წლების სამუშაო გეგმის შესრულების ანგარიში, სადაც მოყვანილია სამუშაო გეგმაში განსაზღვრული თითოეული აქტივობა და აღნიშნულია მათთან დაკავშირებული შესრულებული ქმედებები. დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა 2018–2025 წლების სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ანალიტიკური ტიპის ანგარიშს, რომელშიც ერთის მხრივ ასახულია დაწესებულების მიერ აღნიშნულ პერიოდში თითოეულ სტრატეგიულ მიზანთან მიმართებით განხორციელებული საქმიანობები, ხოლო მეორეს მხრივ იდენტიფიცირებულია ის ძირითადი მიმართულებები, რომლებზეც დაწესებულებამ უნდა გაამახვილოს ყურადღება ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში.

**ინდიკატორი 1.2.2.1 შესაბამისობაშია**

**2.პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;**

დაწესებულება ყოველწლიურად აქვეყნებს სამოქმედო გეგმის შეფასების ანგარიშს, რაც უზრუნველყოფს განხორციელებული საქმიანობების სისტემურ ანალიზს. ყოველი ახალი წლის სამოქმედო გეგმა წარმოადგენს წინა წელს დაწყებული პროცესების გაგრძელებას და განვითარებას. ეს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკა დასტურდება როგორც 2024–2025 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშით, ასევე 2025–2026 წლების სამოქმედო გეგმის შეფასების შედეგად, სადაც ნათლად გამოიკვეთა პროცესების უწყვეტობა და დაგეგმილი აქტივობების თანმიმდევრული შესრულება.

**ინდიკატორი 1.2.2.2. შესაბამისობაშია**

**3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.**

დაწესებულებას სამოქმედი გეგმის შესრულების ანგარიშები განთავსებულია აქვს დაწესებულების ვებ გვერდზე.

**ინდიკატორი 1.2.2.3 შესაბამისობაშია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სტრატეგიული დაგგემვის, შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია“ (დამტ. შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 29.11.2023 N 111 ცვლილება შესულია 26.08.2025 N 129 ბრძანებით).
- 2024-2025 წწ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში ;
- 2018-2025 წწ სტატეგიული გეგმის ანგარიში ;
- სამოქმედო გეგმის შესრულების ოქმი;
- დამსწრეთა სია

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა**

**3.1.1** პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (დამტ ბრძანება N111 - 29/11/2023წ.  (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ)) გაწერილია: პროფესიული სტუდენტის მიერ სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის საფუძვლები, რომლის შინაარსიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალურ ვადად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 5 წელი, ასევე სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად გაწერილია სტუდენტის სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი 5 წლიანი ვადის გასვლა. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის დროს, როგორც სრულწლოვანი, ასევე არაასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ პროფესიულ სტუდენტთა პირად საქმეში წარმოდგენილია დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული დოკუმენტაცია, ასევე სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში წარმოდგენილია სტუდენტთა პირადი განცხადებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მუხლი-29 არეგულირებს მობილობის მექანიზმს რომლებიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2022 წლის 13 დეკემბრის ბრძანება N 135/ნ -თან. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რეგულაციის პრაქტიკაში გადამოწმება ვერ განხორციელდა, რადგანაც დაწესებულებაში არ ფიქსირდებოდა მობილობის შემთხვევა.

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მუხლი-30 არეგულირებს ფორმალური განათლების აღიარების მექანიზმს. აღნიშნული მექანიზმი შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N 121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესთან.“ აღნიშნული რეგულაციის პრაქტიკაში გადამოწმება ვერ განხორციელდა, რადგანაც დაწესებულებაში არ ფიქსირდებოდა ფორმალური განათლების აღიარების შემთხვევა.

„ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი“ წესის მუხლი 31 არეგულირებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარების მიდგომებს.

„სასწავლო პროცესის მართვის წესის“ მუხლი 5-19 არეგულირებს აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის მექანიზმს (მე-3 და მე-4 დონე) აღნიშნული მუხლები შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებიდან გამოთხოვილი იქნა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის მტკიცებულებები. დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება შპს „ილია–ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2025 წლის შემოდგომის მიღებისათვის შესარჩევი მოტივაციური გასაუბრების დანიშვნის ვადებისა და დროის განსაზღვრის შესახებ“, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი როგორც გასაუბრების ჩატარების ვადები და პროცედურები, ასევე შესარჩევი კომისიის შემადგენლობა. **რადგან ბრძანების დასახელება მოიცავს შესარჩევი მოტივაციური გასაუბრების დანიშვნის ვადებსა და დროს, ხოლო ბრძანების შინაარსით ასევე განსაზღვრულია შესარჩევი კომისიის შემადგენლობა, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია რომ ბრძანების სათაური უფრო ზუსტად ასახავდეს მის შინაარსს.** დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილ იქნა: აპლიკანტთა შეფასების კითხვარი, კომისიის მიერ შევსებული შეფასების ფორმები, ბრძანება აპლიკანტთა ჩარიცხვის შესახებ (დამატ. 15.07.2025, N 00000088). წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში პრაქტიკა სრულად შეესაბამება დაწესებულების შიდა რეგულაციებით დადგენილ პროცედურებს.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა „კოლეჯის მიერ ორგანიზებული შიდა გასაუბრების შეფასების“ დოკუმენტი. (2025 წლის) აღნიშნული დოკუმენტის შესწავლით დგინდება, რომ აპლიკანტები დადებითად აფასებენ დაწესებულების მიერ ორგანიზებულ შეფასების პროცესს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 3.1.1.1 შესაბამისობაშია**

**2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;**

ავტორიზაციის ექსპერტები გაეცნენ დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებს, მათ შორის არასრულწლოვან სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებასაც, სადაც მკაფიოდა გაწერილი მათი უფლებები და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები. სასწავლო წლის დაწყებისას თითოეული ჯგუფისთვის ტარდება გაცნობითი ხასიათის შეხვედრები. შეხვედრებში მონაწილეობენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რომლებიც სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას: მათი უფლებებისა და მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ, პროგრამის სტრუქტურასა და სასწავლო მეთოდოლოგიის შესახებ, მხარდაჭერის სერვისებსა და კომუნიკაციის არხებზე. პროფესიული სტუდენტების უფლებებთან დაკავშირებული ყველა ძირითადი დოკუმენტი განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე. პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუების (ინტერვიუ სტუდენტებთან ჩატარდა შერჩევითი პრინციპით) შედეგად დაზუსტდა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას მათი უფლებებისა და კანონების დაცვის მექანიზმების შესახებ. პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში მათ ჩაუტარდათ საინფორმაციო შეხვედრა, რომელზეც ადმინისტრაციის წარმომადგენლები თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინეს პროფესიული სტუდენტების ინფორმირება ზემოთხსენებულ საკითხებზე.

**ინდიკატორი 3.1.1.2 შესაბამისობაშია**

**3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;**

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (დამტ.ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.) გაწერილია სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმები.სტუდენტის შეფასების შესახებ ინფორმაცია ასევე მოცემულია შეფასების ინსტრუმენტში. მოდულის განმახორციელებელი პირი აცნობს პროფესიულ სტუდენტებს დაწესებულებაში მოქმედ შეფასების სისტემის მექანიზმებს. აღნიშნული ვალდებულება ასევე გაწერილია პროფესიული განათლების მასწავლებლების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რეგულაციის პრაქტიკაში გადამოწმება ვერ განხორციელდა, რადგანაც დაწესებულებაში არ ფიქსირდება შეფასების შედეგების გასაჩვრების ფაქტი. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის და იმის შესახებ, რომ საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ ისარგებლონ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

**ინდიკატორი 3.1.1.3 შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;**

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებს. ხელშეკრულებებში გაწერილია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება -მოვალეობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი, გაწერილია პერსონალურ მონაცემთა მოპოვების, დაცვის მექანიზმები და სტუდენტთა თანხმობის მოპოვების პროცედურა პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე. აღნიშნულ ხელშეკრულებაში პუნქტი 4.6-ით დაწესებულება იღებს უფლებას „სტუდენტის ფოტო გამოყენებული იქნას კოლეჯის პოპულარიზაციისთვის“. ვინიდან ხელშეკრულებაზე ხელმოწერა წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას დაწესებულებაში ჩასარიცხად, პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს უჩნდება ვალდებულება განაცხადოს თანხმობა ხელშეკრულებაში გაწერილ ყველა ჩამოთვლილ საკითხზე, მაშინაც კი, თუ რომელიმე მათგანს არ ეთანხმება. აღნიშნული მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან, რომელიც ითვალისწინებს, რომ თანხმობა პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე უნდა იყოს თავისუფლად გაცემული, კონკრეტული და ინფორმირებული. **სასურველია დაწესებულებამ აღნიშნული საკითხებზე (თანხმობა ფოტო/ვიდეო გადაღებაზე) უზრუნველყოს სტუდენტისთვის/კანონიერი წარმომადგენელისთვის არჩევანის მინიჭების უფლება, რისთვისაც შესაძლებელია ხელშეკრულებაში გააჩინოს დამატებით მოსანიშნი გრაფა ან აღნიშნული საკითხი დაარეგულიროს ხელშეკრულების მიღმა.**

დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები,მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა და არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში, მათი კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

**ინდიკატორი 3.1.1.4 შესაბამისობაშია**

**5.პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“(დამტ ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.)) გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საფუძვლები, მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს სსსმ და შშმ პირებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შესაძლებლობას, მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტრესების გათვალისწინებით. გაწერილია პროცესში ჩართული პირები -მათ შორის პროფესიული სტუდენტი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მექანიმზის მოქმედება პრაქტიკაში ვერ შეფასდა, რადგანაც დაწესებულებას არ ჰქონია ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საჭიროება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 3.1.1.5 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებლ წესში“(დამტ ბრძანება N111 - 29/11/2023წ.  ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.)
- პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმე
- პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- მთავარი დებულება  (დამტ.ბრძანება N111 - 29/11/2023წ.  ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ. )
- დაწესებულების  მიერ ორგანიზებული შიდა გასაუბრების შეფასების ანგარიში 2025 წელი
- ინტერვიუს შედგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2 პროფესიული სტუდენტების  მხარდაჭერის ღონისძიებები**

**3.2.1** პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

**1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით კონსულტაციებისა და მხარდამჭერი აქტივობების განხორციელება ევალებათ სასწავლო პროცესის მენეჯერსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტებს უტარდებათ როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური და დამატებითი კონსულტაციები, რომლებიც ტარდება თემატურად რთული ან ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი საკითხების დასაზუსტებლად. მხარდამჭერი ღონისძიებების პრაქტიკული განხორციელება დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ, პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუებით. ინტერვიუების შედეგების მიხედვით, სტუდენტები ადასტურებენ, რომ პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების მხრიდან სისტემატურად ხორციელდება მათ საჭიროებებზე მორგებული საკონსულტაციო და მხარდამჭერი აქტივობები, რაც ხელს უწყობს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. აღნიშნულს ასევე ადასტურებენ პროფესიული განათლების მასწავლებლებიც. აღსანიშნავია , რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს „მთავარი დებულება“, (დამტ.ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ. )) სადაც გაწერილია დაწესებულებაში დასაქმებული პირების უფლებები და მოვალეობები. თუმცა, პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობებში კონკრეტულად არ არის გაწერილი სტუდენტებისთვის საჭიროების შემთხვევაში დამატებითი კონსულტაციების გაწევის ვალდებულება. არსებული დებულების თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებლის მოვალეობებში მითითებულია ზოგადი ჩანაწერი – „მოქმედი კანონმდებლობით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით, პროფესიული სტანდარტებით, შინაგანაწესით და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.“ **სასურველია, რომ დაწესებულებამ პროფესიული განათლების მასწავლებლის მოვალეობებში ცალკე განუსაზღვროს სტუდენტებისთვის კონსულტაციისა და მხარდამჭერი აქტივობების განხორციელება. ამ მიდგომით უზრუნველყოფილი იქნება აღნიშნული პროცესის ფორმალიზება, თანმიმდევრულობა და სტუდენტზე ორიენტირებული მხარდაჭერის გამართული სისტემა.**

**ინდიკატორი 3.2.1.1. შესაბამისობაშია**

**2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტების აქტიურ მხარდაჭერას ყველა, განსააკუთრებით კი სწავლების დაწყების საწყის ეტაპზე ასევე ნებისმიერ ეტაპზე როცა მათი სასწავლო გარემო იცვლება. აღნიშნული გაწერილია „პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერ მექანიზმებში".(დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.) . სტუდენტთა და მსმენელთა ადაპტაციის პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი: სასწავლო პროცესის მენეჯერი რომელიც უზრუნველყოფს პირველადი კომუნიკაციის ეფექტიანობას, კონსულტირებას და საჭირო მიმართულებების მოძიებაში მხარდაჭერას; პროგრამის ხელმძღვანელი – ეხმარება სტუდენტებს პროგრამის ფარგლებში არსებულ საკითხებში ორიენტირებაში და ახდენს სწავლების პროცესზე ზედამხედველობას; ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები – სტუდენტებს აწვდიან მათ კომპეტენციაში შემავალ მხარდაჭერასა და დამატებით ინფორმაციას.

მიღებული პროფესიული სტუდენტთა ყველა ნაკადისთვის სწავლის დასაწყისში ტარდება საინფორმაციო შეხვედრა, სადაც მონაწილეობენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პროფესიულ სტუდენტებს აწვდიან მათთვის საჭირო ინფორმაციას. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებით, ასევე დაწესებულების facebook გვერდზე განთავსებული ინფორმაციით დადასტურდა აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკაში მოქმედება.

**ინდიკატორი 3.2.1.2. შესაბამისობაშია**

**3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;**

პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა გულისხმობს პროფესიული სტუდენტების საჭიროებაზე სწრაფ რეაგირებასა და შესაბამისი დოკუმენტაციის ოპერატიულ მომზდებას/მიწოდებას. პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა (სერთიფიკატის თუ დიპლომის გაცემა, შიდა და გარე მობილობის ხელშეწყობა, სააპელაციო საჩივრის განხილვა და სხვა) ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა მომართვიდან გონივრულ ვადაში. შემოსული განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების სხვა საკითხები რეგულირდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისთ განსაზღვრულ ვადებში. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მიმართვის შემთხვევაში ადმინისტრაციული პერსონალს მხრიდან იმავე ან/და მომდევნო სამუშაო დღეს ხორციელდებოდა ინფორმაციის მიწოდება ან სხვა მოთხოვნილი სერვისით უზრუნველყოფა. პროფესიული სტუდენტები მიღებულ ადმინისტრაციულ სერვისებს აფასებენ დადებითად.

**ინდიკატორი 3.2.1.3 შესაბამისობაშია**

**4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;** „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმების " (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ.; (ცვლილება: N00000129 - 26/08/2025წ.)). დოკუმენტის მიხედვით, ექსტრაკურიკულური აქტივობების ინიცირება შეუძლიათ: პროფესიულ სტუდენტებსა და მსმენელებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ინდივიდუალურად ან საინიციატივო ჯგუფის სახით); პროფესიულ პროგრამებში ჩართულ პერსონალს; ადმინისტრაციულ პერსონალს, დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ინიციატივა იწერება წერილობით ან იგზავნება ელექტრონულად, რეგისტრირდება დაწესებულების კანცელარიაში და განხილვას ექვემდებარება არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა. ინიციატივის განხილვაში საჭიროებისამებრ ჩაერთვება დირექტორი და შესაბამისი პირები. დასაშვებად მიიჩნევა ინიციატივა, რომელიც შეესაბამება დადგენილ მიზნებს, არ აზიანებს დაწესებულების რეპუტაციას და შეესაბამება კოლეჯის მისიასა და შესაძლებლობებს. ინიციატივის დაკმაყოფილების შემთხვევაში დირექტორი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას და ნიშნავს პასუხისმგებელ პირს. უარყოფის შემთხვევაში ინიციატორი წერილობით იღებს განმარტებას. დაკმაყოფილებული ინიციატივები აისახება ექსტრაკურიკულური აქტივობების კალენდარში და ქვეყნდება საჯაროდ. განხორციელებული აქტივობების შესახებ ანგარიშგებას უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირი და ინფორმაცია გადაეცემა სასწავლო პროცესის მენეჯერს. კოლეჯში მოქმედებს ანონიმური გამოხმაურების სისტემა – „სურვილების ყუთი“, რომელიც განთავსებულია ფოიეში. იგი იხსნება თვეში ერთხელ ადმინისტრაციული პერსონალის სხდომაზე. შემოსული წინადადებები განიხილება დირექტორის ხელმძღვანელობით და საჭიროების შემთხვევაში იგეგმება შესაბამისი შემხვედრი ღონისძიებები. დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკაში მოქმედების მტკიცებულებები, კერძოდ, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის მოხსენებითი ბარათები, საიდანაც დგინდება, რომ სტუდენტთა მოთხოვნა იყო დაწესებულების შიდა სივრცეში ინტელექტუალური და დასასვენებელი თამაშების ხელმისაწვდომობის შესახებ. (ჭადრაკი, შაში და სხვა). დაწესებულებამ უზრუნველყო სტუდენტების აღნიშნული ინიციატივის შესრულება. ასევე სტუდენტების ინიციატივით მოეწყო და ჩატარდა მხიარული სტარტები, სტუდენტური სივრცე აღიჭურვა კომფორტული, რბილი სავარძლებით. სტუდენტებთან ინტერვიუირებითაც დადასტურდა, რომ დაწესებულება ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.

**ინდიკატორი 3.2.1.4 შესაბამისობაშია**

**5.პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.**

დაწესებულებაში უკუკავშირის სისტემა მრავალფორმატიანია და კოორდინაციას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. იგი რეგულარულად ახორციელებს ანონიმურ კითხვარებს, ფოკუს ჯგუფურ შეხვედრებს და ინდივიდუალურ ინტერვიუებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა კმაყოფილებისა და საჭიროებების ობიექტურ შეფასებას. მიღებული მონაცემები მუშავდება და განიხილება მმართველ გუნდთან. შედეგების საფუძველზე დაწესებულება ახორციელებს ცვლილებებს სასწავლო პროგრამებში, მომსახურების პროცესებში, კონსულტაციებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით. უკუკავშირი ინტეგრირებულია მმართველ პროცესებში და წარმოადგენს მტკიცებულებაზე დაფუძნებულ, შედეგზე ორიენტირებულ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა რეალურ ჩართულობას ხარისხის მართვაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 3.1.2.5 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერ მექანიზმებში“.(დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ.  ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.)
- მთავარი დებულება (დამტ.ბრძანება N111 - 29/11/2023წ.  ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ. )
- საქმისწარმოების წესი (დამტ. ბრძანება N111 – 29.11.2023 წ.; ცვლილება: ბრძანება N00000129 – 26.08.2025 წ.
- ადამიანური რესურსებისა და მართვის სპეციალისტის  მოხსენებითი ბარათი N 1 03.02.2025
- ადამიანური რესურსებისა და მართვის სპეციალისტის  მოხსენებითი ბარათი N 2 20.05.2025
- ადამიანური რესურსებისა და მართვის სპეციალისტის  მოხსენებითი ბარათი N 3 16.06.2025
- ადამიანური რესურსებისა და მართვის სპეციალისტის  მოხსენებითი ბარათი N 4 14.07.2025
- ინტერვიუს შედეგები;

**3.2.2** პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

**1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;**

დაწესებულება  პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს სთავაზობს მოქნილ და საჭიროებებზე მორგებულ კარიერულ მხარდაჭერას, რაც ხელს უწყობს მათი პროფესიული უნარების წარმოჩენასა და შრომის ბაზართან ეფექტიან კავშირს. დაწესებულება  ოპერატიულად აწვდის ინფორმაციას დასაქმებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებზე, უზრუნველყოფს კონსულტაციას კარიერული დაგეგმვისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიის შერჩევის მიმართულებით; თანამშრომლობს დამსაქმებელ ორგანიზაციებთან კურსდამთავრებულთა დასაქმების გასამარტივებლად. კარიერული მხარდაჭერის გასაძლიერებლად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, ღია კარის დღეები და აქტიურად გამოიყენება ციფრული არხები ვებგვერდი და სოციალური ქსელები. დაწესებულება მუდმივად აანალიზებს დასაქმების მონაცემებს, აგროვებს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა კარიერული სტატუსის შესახებ და მიღებული შედეგების საფუძველზე აუმჯობესებს სერვისებს. დაწესებულების პოლიტიკა მიმართულია რეალური დასაქმებისა და პროფესიული განვითარებისთვის, ხოლო კარიერული მხარდაჭერა წარმოადგენს მის სტრატეგიულ პრიორიტეტს, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამის წარმატებულ კურსდამთავრებულებს. ინტერვიურებისას კურსდამთავრებულებმა დაადასტურებს აღნიშნული ფაქტის პრაქტიკაში მოქმედება.

**ინდიკატორი 3.2.2.1 შესაბამისობაშია**

**2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;**

პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დასაქმების შესაძლებლობებისა და ვაკანსიების, ასევე შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ პერმანენტულად მიეწოდებათ ინფორმაცია ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან. კერძოდ, დაწესებულება უკავშირდება კურსდმთავრებულებს და აწვდის ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ. ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია ასევე თავსდება პროფესიულ სტუდენტებისთვის შექმნილ massanger ჯგუფებში. დაწესებულება მონაწილეობას ღებულობს კერძო კოლეჯების ასოციაციის ფარგლებში ჩატარებულ დასაქმების ფორუმებში. ინტერვიურებისას კურსდამთავრებულებმა დაადასტურებს აღნიშნული ფაქტის პრაქტიკაში მოქმედება.

**ინდიკატორი 3.2.2.2. შესაბამისობაშია**

**3.პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;**

კერძოდ დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „კვლევის მეთოდოლოგია“ (დამტ. შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025)) რომლის, მიხედვითაც დაწესებულება ატარებს კურსდამთავრებულთა კვლევას. დაწესებულებამ წარმოადგინა ჩატარებული კვლევის ამსახველი მტკიცებულებები. ინტერვიუირებით დადგინდა, რომ კურსდამთავრებულთა კვლევა ტარდება სწავლის დასრულებიდან დაახლოებით 6 თვის პერიოდში. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაშია არ არის გაწერილი თუ რა პერიოდულობით ტარდება აღნიშნული კვლევა. სასურველია **დაწესებულებამ უზრუნველყოს კვლევის მეთოდოლოგიაში კურსდამთავრებულთა კვლევის ჩატარების პერიოდის განსაზღვრა, რაც უზრუნველყოფს კვლევის პროცესის ეფექტურ დაგეგმვას, შედეგების შედარების შესაძლებლობას და კვლევის გამჭვირვალობას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 3.2.2.3 შესაბამისობაშია**

**4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.**

კერძოდ დაწესებულების ადმინისტრაციის უფლებამოსილ პირებთან გასაუბრებისა და კვლევის შედეგების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შემდგომ მათი მხრიდან მნიშვნელოვანი ცვლილების საჭიროება ჯერჯერობით არ გამოვლენილა. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

**ინდიკატორი 3.2.2.4 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კვლევის მეთოდოლოგია ( დამტ. შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მიერ
- ბრძანება N111 - 29/11/2023წ.  ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025)
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერული კმაყოფილების კვლევის შედეგები 30.10.2025
- სტუდენტთა გამოკითხვის ანგარიში 2025 წელი
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევ 2025
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. **ადამიანური რესურსები**

**4.1 პერსონალის და პროცესების მართვა**

**4.1.1** პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

დაწესებულებას მიზნების და ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად შემუშავებული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა. სტრუქტურით განსაზღვრულია: პარტნიორთა კრება, დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, რეესტრისა და საქმისწარმოების სპეციალისტი, ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი, IT სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, მატერიალური რესურსების მართვის და წესრიგის დაცვის მენეჯერი, რომელსაც ექვემდებარება: ექთანი, დარაჯი და დამლაგებელი. სასწავლო პროცესის მენეჯრი რომელსაც ექვემდებარება: სასწავლო პროცესის, პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „მთავარი დებულება“ (დამტ.ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.)) სადაც გაწერილი აქვს სტრუქტურით განსაზღვრული თითოეული პირის ფუნქცია-მოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტაციის და პერსონალთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული და პერსონალი იცნობს საკუთარ ფუნქცია -მოვალეობებს.

**ინდიკატორი 4.1.1.1. შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „მთავარი დებულება" (დამტ..ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ)). სადაც გაწერილი აქვს სტრუქტურით განსაზღვრული თითოეული პირის ფუნქცია-მოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტაციის და დაწესებულების სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესწავლის შედეგად, ასევე პერსონალთან ინტერვიუირების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულების პერსონალს შორის ფუნქციების და პასუხისმგებლობის განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორი 4.1.1.2 შესაბამისობაშია**

**3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „მთავარი დებულება" (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N111 – 29/11/2023 წ.; )ცვლილება: ბრძანება N00000129 – 26/08/2025 წ.)) , სადაც გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები. დოკუმენტის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პასუხისმგებელია: დაწესებულებაში არსებული ყველა ძირითადი და დამხმარე პროცესის შესაბამისობაზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან და შესაბამის საკანონმდებლო მოთხოვნებთან, საჭიროების შემთხვევაში პროცესების გაუმჯობესების, პრევენციული და მაკორექტირებელი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციების შემუშავებაზე, პროფესიული საგანმანათლებლო, მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შესაბამისობის მონიტორინგსა და შეფასებაზე, კურსდამთავრებულთა დასაქმების და კმაყოფილების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილების (სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, მოდულის განხორციელება და სხვა) კვლევის კოორდინაციაზე, სტუდენტთა/მსმენელთა კვლევის, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მონიტორინგისა და სასწავლო პროცესზე დასწრების პროცესების ორგანიზებაზე, თვითშეფასების პროცესის კოორდინაციაზე და შედეგების საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტების, ინსტრუქციების და წესების განახლების ან ინიცირების უზრუნველყოფაზე. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამუშაო გეგმის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ინტერვიუირების შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, რაც უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობასა და დამოუკიდებლობას.

**ინდიკატორი 4.1.1.3 შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების სტრუქტურა;
- „მთავარი დებულება“ (დამტ.ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ. )
- ხარისხის უზრუნველყოფის წესი(დამტ. შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.)
- ხარისხის მენეჯერის 2024-2025 წწ სამოქმედო გეგმა
- ინტერვიუს შედეგები;

**4.1.2** პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**1.პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

დაწესებულებაში პერსონალის მართვა ხორციელდება „პერსონალის მართვის პოლიტიკისა“ (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ). და „შინაგანაწესის“ (დამტ.ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ)). საფუძველზე. პერსონალის მართვის პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს დაწესებულებაში მაღალკვალიფიციური თანამშრომლების შერჩევა, დასაქმება და შენარჩუნება, ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესების ეფექტიანი წარმართვის ხელშეწყობა, მოტივირებული და ნაყოფიერი პროფესიული საქმიანობისთვის პირობების შექმნა და თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული ზრდისა და განვითარების მხარდაჭერა. დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის შერჩევის, კონკურსის ჩატარების პროცედურა. თანამშრომელთა ადაპტაციის და სოციალიზაციის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მექანიზმები; პერსონალის შეფასების და განვითარების პროცედურები. შინაგანაწესი არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შრომითი ურთიერთობის საფუძვლები და ზოგადი პირობები, შრომის ანაზღაურების პირობები, შრომითი ურთიერთობის შეჩერება და შეწყვეტა, დასაქმებულის და დამსაქმებლის უფლება - მოვალეობები, სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო, დასაქმებულის მიერ სამუშაო გაცდენილი დროის საპატიოდ ან არასაპატიოდ ჩათვლა, სამსახურში გამოუცხადებლობა, ზეგანაკვეთური სამუშაო, შვებულება, მივლინება, შეთავსებით მუშაობის უფლება, წახალისება და კომპესაცია. შინაგანაწესით არის განსაზღვრული ასევე სამსახურში მიღების წესი, რომლის თანახმად, შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე, აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით. შინაგანაწესით განსაზღვრულია ასევე, რომ დაწესებულებაში აკრძალულია იმ პირის დასაქმება, რომელიც ნასამართლევია „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ან რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე ჩამოერთვა აღნიშნულ დაწესებულებაში საქმიანობის უფლება. დაწესებულების მიერ დადგენილი პირობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

**ინდიკატორი 4.1.2.1 შესაბამისობაშია**

**2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;**

დაწესებულებაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. პერსონალის მართვა ხორციელდება დოკუმენტით – „პერსონალის მართვის პოლიტიკა" (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N111 – 29/11/2023 წ.; (ცვლილება: ბრძანება N00000129 – 26/08/2025 წ.)) კადრების მოზიდვის პროცესში დაწესებულება იყენებს სხვადასხვა მექანიზმს, მათ შორის: ვაკანსიების საჯარო გამოქვეყნება ოფიციალურ წყაროებსა და ხელმისაწვდომ პლატფორმებზე და თანამშრომელთა პროფესიული ქსელებისა და რეკომენდაციების გამოყენება; შერჩევის პროცესის ინიცირება ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისას ან დაწესებულების განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევებში, დაწესებულების დირექტორი, ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტთან შეთანხმებით, ახორციელებს საშტატო განრიგის ცვლილების ინიცირებას და განსაზღვრავს შერჩევის პროცესის მიმდინარეობას. დგინდება ვაკანტური პოზიციების რაოდენობა და, საჭიროების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემთხვევაში, კონკურსის სავარაუდო ვადა. ვაკანტური პოზიციის დაკავება შესაძლებელია დანიშვნის ან ღია კონკურსის წესით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პერსონალის პირად საქმეები, რომლებშიც დაცულია შინაგანაწესით განსაზღვრული ყველა აუცილებელი დოკუმენტი. ასევე შემოწმდა დასაქმებულებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც სრულად შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს. ინტერვიუირებით და პირადი საქმის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში ახალი თანამშრომლების აყვანა განხორციელებული იყო პირდაპირი დანიშვნის გზით, რის გამოც ვერ მოხერხდა ექსპერტთა მხრიდან კონკურსის წესის ჩატარებისა და შესაბამისი პროცედურების გადამოწმება.

შესწავლილი დოკუმენტების და განხორციელებული ინტერვიუირების შედეგად დასტურდება, რომ დაწესებულებაში მოქმედი პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

**ინდიკატორი 4.1.2.2 შესაბამისობაშია**

**3.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ პირად საქმეებში დაცულია ყველა ის დოკუმენტი და ინფორმაცია, რომელიც პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილებას ადასტურებს. პერსონალთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხები წარმოებს დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკისა და შინაგანაწესის შესაბამისად. პერსონალი იცნობს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია**

**4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

დაწესებულების მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტებით გაწერილი მექანიზმების შესაბამისად, უზრუნველყოფილია დასაქმებულთა ჩართულობა სხვადასხვა პროცესში, მათ შორის პროგრამის შემუშავების, ინიცირების, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სხვა პროცესებთან დაკავშირებით. დაწესებულების ფუნქციონირება ემყარება გუნდური მუშაობის პრინციპებს და მოვალეობებიც დელეგირებულია მართვის პროცესში. დაწესებულების თანამშრომლებთან ინტერვიუებითაც დასტურდება, რომ თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულნი დაწესებულების ფუნქციონირების ნაწილში და არსებული ადამიანური რესურსით ხელს უწყობენ დაწესებულების ინსტიტუციურ განვითარებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ წარმოდგინა სამუშაო ჯგუფებისა და კომისიის შექმნის შესახებ ბრძანებები, თანამშრომელთა მიერ სხვადასხვა ტრენინგების გავლის მტკიცებულებები. გუნდური მუშაობის პრინციპების მოქმედება დასტურდება ასევე პერსონალთან ინტერვიუირების შედეგად.

**ინდიკატორი 4.1.1.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პერსონალის მართვის პოლიტიკისა" (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.
- „შინაგანაწესის" (დამტ.ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.
- პერსონალის პირადი საქმე;
- დაწესებულები სტრუქტურა;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2 პერსონალის განვითარება**

**4.2.1** პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;**

დაწესებულებაში მოქმედი „პერსონალის მართვის პოლიტიკის" (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023 წ.; (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025 წ)). დოკუმენტში გაწერილია პერსონალის შეფასების პროცედურა. პერსონალის შეფასების მიზანია ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის საქმიანობის ანალიზი, პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და ეფექტიანობის გაუმჯობესება. ადმინისტრაციული პერსონალი ფასდება ყოველწლიურად, პროგრამის განმახორციელებელი პირები მინიმუმ ერთი სასწავლო წლის მანძილზე ერთხელ. შეფასების მეთოდებია: თვითშეფასება, სტუდენტთა/მსმენელთა უკუკავშირი, კოლეგიალური შეფასება, ხელმძღვანელის შეფასება, დამსაქმებლების შეფასება. პერსონალის შეფასებას ატარებს ადამიანური რესურსების მართვის, პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის სპეციალისტი. დოკუმენტში მითითებულია, რომ ხორციელდება „სტუდენტებისა და პედაგოგების საჭიროებების შეფასება", თუმცა არ არის გაწერილი ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროებების კვლევის პროცედურა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის ანგარიში რომელიც მოიცავდა ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროების კვლევასაც. **სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს მარეგულირებელ დოკუმენტში ადმინისტრაციული პერსონალის კვლევის მექანიზმის განსაზღვრა, რათა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები და მარეგულირებელი დოკუმენტები თანხვედრაში იყოს ერთმანეთთან.**

**ინდიკატორი 4.2.1.1. შესაბამისობაშია**

**2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;**

დაწესებულებაში შემუშავებულია 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად არის გაწერილი პერსონალის განვითარების მიმართულებით დაგეგმილი აქტივობები. პერსონალის განვითარების ფარგლებში დაწესებულება გეგმაზომიერად ახორციელებს ტრენინგებს, სემინარებსა და სხვა საგანმანათლებლო აქტივობებს, რომლებიც მიზნად ისახავს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, არსებული უნარების გაძლიერებასა და ახალი კომპეტენციების განვითარებას. დაწესებულების თანამშრომლებს ასევე ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ პროფესიული განვითარების ღონისძიებებსა და ინიციატივებში. დაწესებულებამ წარმოადგინა პერსონალის საქმიანობის შეფასების ანგარიში, რომელშიც ასახულია გამოკითხვის შედეგად იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარეები. აღნიშნულ საჭიროებებზე რეაგირების მიზნით დაწესებულებამ თანამშრომლებს ჩაუტარა შესაბამისი ტრენინგები. ასევე წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი, საიდანაც იკვეთება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გასაუმჯობესებელ მიმართულებას წარმოადგენს სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა რაც ასევე გაწერილია დაწესებულების 2025-2026 წწ სამოქმედო გეგმაში.

**ინდიკატორი 4.2.1.2 შესაბამისობაშია**

**3.პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;**

დაწესებულება სისტემატურად სთავაზობს მასწავლებლებს ტრენინგებს, სემინარებს და პრაქტიკულ სამუშაო ფორმატებს, რომლებიც ორიენტირებულია სწავლების თანამედროვე მიდგომების, ციფრული და ინოვაციური ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებაზე საგანმანათლებლო პროცესში. •მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, პროფესიული უნარების სააგენტოსა და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ პროფესიულ პროგრამებში, რაც ხელს უწყობს მათ კარიერულ წინსვლასა და პროფესიულ გაძლიერებას.პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარება რეგულირდება შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტებითა და სტანდარტებით. დაწესებულება თავისი რესურსებით უზრუნველყოფს შესაბამის გარემოსა და პირობებს, რომლებიც ხელშემწყობია მასწავლებელთა პროფესიული ზრდისთვის, უწყვეტი განათლებისთვისა და პოზიციური წინსვლისთვის.

**ინდიკატორი 4.2.1.3 შესაბამისობაშია**

**4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;**

დაწესებულებაში მოქმედი **„პერსონალის მართვის პოლიტიკის“** (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023 წ.; ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025 წ.) დოკუმენტში გაწერილია თანამშრომელთა სამუშაო გარემოში ადაპტაციის მექანიზმები.

ახალდანიშნული თანამშრომლის ადაპტაციის მიზანია მისი:

- სწრაფი ჩართვა დაწესებულების საქმიანობაში,
- კოლექტივში ინტეგრაცია,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწესებულების მიზნებისა და ღირებულებების გაცნობა.

ადაპტაციის პროცესის ორგანიზებას ახორციელებს **ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი** ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად. პროცესის ფარგლებში ახალ თანამშრომელს ეცნობება:

- კოლეჯის ღირებულებები, სტრატეგია, წესები და პროცედურები;
- გადაეცემა თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- განემარტება მისი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები.

საჭიროების შემთხვევაში, ახალ თანამშრომელს შეიძლება მოეწყოს **სპეციალური ტრენინგ-პროგრამა** მისი პროფესიული ადაპტაციის ხელშესაწყობად. **ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუირებისას დადასტურდა**, რომ აღნიშნული მექანიზმები პრაქტიკაში ეფექტურად გამოიყენება და უზრუნველყოფს თანამშრომელთა ინტეგრაციის პროცესის გამართულობას.

**ინდიკატორი 4.2.1.4 შესაბამისობაშია**

**5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

დაწესებულება სისტემატურად ავლენს, აღიარებს და უწყობს ხელს იმ ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია თანამშრომელთა პროფესიულ ზრდასა და უნარების გაუმჯობესებაზე. თანამშრომელთა საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესწავლა ხორციელდება რეგულარულად, რაც დაწესებულებას აძლევს საშუალებას ეფექტურად დაგეგმოს მიზნობრივი პროფესიული განვითარების აქტივობები. პერსონალის მხარდაჭერა მოიცავს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს, მათ შორის: ტრენინგებს, სემინარებსა და პროფესიულ კონფერენციებს ;სამუშაო ჯგუფებსა და პრაქტიკულ სესიებს; თანამშრომელთა მიერ წამოწყებულ ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია ცოდნის გაღრმავებაზე, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასა და ინოვაციური მიდგომების ათვისებაზე. თანამშრომლებს ეძლევათ საშუალება ჩაერთონ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე ორგანიზებულ პროფესიულ ღონისძიებებში, რაც ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარებას. დაწესებულებაში პერსონალის განვითარების ინიციატივები აღიქმება როგორც ჩამოყალიბებული და გრძელვადიანი პრაქტიკა, რომელიც არა მხოლოდ ემსახურება ინდივიდუალური თანამშრომლის პროფესიულ წინსვლას, არამედ მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დაწესებულების ორგანიზაციული ხარისხის გაუმჯობესებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას.

**ინდიკატორი 4.2.1.5 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023 წ.; ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025 წ.)
- 2025-2026 წწ სამოქმედო გეგმა;
- შპს ილია -ილია ჭავჭავაძის სახ. ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის პერსონალის საქმიანობის შეფასება 2025
- ხარისხის მენეჯრის მოხსენებითი ბარათი 15.12. 2024
- ადმინისტრაციის თანმშრომელთა გამოკითხვის შედეგები 2025 წელი
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

### 5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**5.1.1** პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;**

დაწესებულების სარგებლობაშია ქ. საგარეჯოში, ლეონიძის N 33 ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდი N 55.12.54.000.014). შენობის მესაკუთრეა სსიპ „თვითმართველი თემი – საგარეჯოს მუნიციპალიტეტი“. აღნიშნული შენობა-ნაგებობა ქონების აღნაგობის ხელშეკრულებით გადაცემულია შპს „ილია-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯს“, ხელშეკრულება დადებულია 2011 წელს 30 წლის ვადით. დაწესებულება განთავსებულია 3,994 კვ.მ-ზე. შენობა აღჭურვილია საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვისთვის საჭირო ინვენტარით. შიდა აზომვითი ნახაზისა და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ: პირველი სართულზე განთავსებულია სასწავლო აუდიტორიები, სტუდენტური სივრცე, სამზარეულო, სველი წერტილი. მეორე სართულზე განთავსებულია: სასწავლო სივრცეები, ბიბლიოთეკა, დოკუმენტების საცავი, საკონფერენციო სივრცე.

სასწავლო გარემო აღჭურვილია: პროფესიული სტუდენტების მაგიდებითა და სკამებით, დაფებით, პროექტორებით, პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსით და პროფესიული მასწავლებლების მაგიდებითა და სკამებით.

დაწესებულებაში განთავსებულია:

- 11 აუდიტორია;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ადმინისტრაციული სივრცე;
- 1 სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის;
- 1 სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისთვის;
- 1 დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისთვის;
- სივრცე პროფესიული სტუდენტთა სპორტული ან შემოქმედებითი საქმიანობისათვის;
- 3 სანიტარული კვანძი;
- ბიბლიოთეკის სივრცე;
- არქივის სივრცე.

შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას, კომფორტულ და უსაფრთხო გარემოს სტუდენტებისა და პერსონალისთვის.

**ინდიკატორი 5.1.1.1.შესაბამისობაშია**

**2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;**

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. აღნიშნული განსაზღვრულია „ მატერიალური რესურსების განკარგვის წესით" (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.)) პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ეთიკის კოდექსით (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.)) ბიბლიოთეკი დებულებით (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ)) და პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებაში. პროფესიული სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსები სრულად ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის და გამოიყენება მათი სასწავლო და პრაქტიკული საქმიანობის პროცესში.

**ინდიკატორი 5.1.1.2 შესაბამისობაშია**

**3.დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმები. დაწესებულებას სტრუქტურით განსაზღვრული ჰყავს დამლაგებელი, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების ყოველდღიურ და გენერალურ დასუფთავებას დადგენილი წესის შესაბამისად. დაწესებულებაში შემუშავებულია და მოქმედებს „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (დამტ. ბრძანება N111 – 29.11.2023; (ცვლილება: ბრძანება N00000129 – 26.08.2025)). აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სანიტარული წესების დაცვის დეტალურ პროცედურებსა და პასუხისმგებელ პირებს. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა დასტურდება ჰიგიენური საშუალებების შეძენის ფინანსური დოკუმენტაციით და ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით.

**ინდიკატორი 5.1.1.3 შესაბამისობაშია**

**4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;**

დაწესებულების შენობაში არსებული სასწავლო, ადმინისტრაციული და საერთო სარგებლობის სივრცეები აღჭურვილია ცენტრალურ გათბობაზე დაერთებული რადიატორებით, რაც უზრუნველყოფს ოპტიმალურ ტემპერატურულ პირობებს სასწავლო პროცესის უწყვეტად და კომფორტულად წარმართვისთვის. ცენტრალური გათბობის სისტემა რეგულარულად გადის ტექნიკურ შემოწმებას, რის შედეგადაც ხდება მისი ეფექტიანობისა და უსაფრთხოების კონტროლი. აღნიშნული სისტემის პრაქტიკული გამოყენება დასტურდება კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრებით;

**ინდიკატორი 5.1.1.4 შესაბამისობაშია**

**5.დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;**

დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა “ (დამტ. 26.07.2022 ) სადაც გაწერილია შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვა, რისკების განსაზღვრა და შეფასება, ინციდენტების მოკვლევის და აღრიცხვის მექანიზმები, პერსონალის სწავლება. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს რისკების შეფსების და მართვის მეთოდოლოგია (დამტ. ბრძანებაN 39 31.03.2025) სადაც გაწერილია რისკის შეფასების მართვა, რისკის ანალიზი და რისკის დონე, რისკების კონტროლი, მონიტორინგის პროცედურა და მექანიზმები. დაწესებულებამ წარმოადგინა პერსონალისთვის და პროფესიული სტუდენტებისათვის ჩატარებულ ინსტრუქტაჟებზე დასწრების ფურცლები. დაწესებულებას აყვანილი ყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა. მის პირად საქმეში დაცულია აღნიშნული კურსების გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

**ინდიკატორი 5.1.1.5 შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსების განკარგვის წესი (დამტ. ბრძანება N111 – 29/11/2023 წ.; (ცვლილება: ბრძანება N00000129 – 26/08/2025 წ.)), რომლის მიხედვით: ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შეძენას ახორციელებს დაწესებულების დირექტორი ან მისი ნდობით აღჭურვილი პირი, ბუღალტერთან ერთად, დირექტორთან შეთანხმებით. საჭირო ინვენტარისა და ნედლეულის ჩამონათვალს ადგენს სასწავლო პროცესის მენეჯერი პროფესიულ მასწავლებელთან ან პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და წარუდგენს დირექტორს მოდულის დაწყებამდე არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა . ნედლეულის შეძენა შესაძლებელია როგორც წელიწადში ერთხელ მთლიანად, ისე ეტაპობრივად, მარაგის შევსების პრინციპით, ვარგისიანობის ვადებისა და შენახვის პირობების დაცვით. ინვენტარისა და ნედლეულის გადაცემას პროფესიულ მასწავლებლისთვის უზრუნველყოფს მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი, რაც დადასტურებულია მიმღების ხელმოწერით. პროგრამის დასრულების შემდეგ, დარჩენილი ნედლეული და მასალები უნდა დაბრუნდეს, რის აღრიცხვასაც უზრუნველყოფს იგივე პასუხისმგებელი პირი. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება მათი სპეციფიკური პირობებისა და ვადების დაცვით. დაწესებულებამ წარმოადგინა მატერიალური რესურსების განკარგვის მექანიზმის პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები., კერძოდ პროფსიული მასწავლებლებისათვის მასალა ნედლეულის გადაცემის ჟურნალი. ინტერვიუირებით სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია საჭირო მასალებითა და ნედლეულით.

**ინდიკატორი 5.1.1.6 შესაბამისობაშია**

**7.ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;**

დაწესებულების რესურსების შეფასებასა და განვითარების შესახებ გაწერილია დაწესებულებია შიდა მარეგულირებელ აქტში „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში“. (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.)) დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი მისი გეგმის შესაბამისად ახდენს რესურსების შეფასებას, რაც გამოიყენება მატერიალური რესურსის შემდგომი განვითარებისათვის.

**ინდიკტორი 5.1.1.7 შესაბამისობაშია**

**8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში მოწყობილია გამიჯნული და სათანადოდ მოწესრიგებული სანიტარული კვანძები, რომლებიც სრულად უზრუნველყოფენ პირადი ჰიგიენის დაცვასა და სტუდენტებისათვის უსაფრთხო გარემოს არსებობას. სანიტარული კვანძები აღჭურვილია ყველა აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ფუნქციური ელემენტით, რაც მათ ეფექტიან და უწყვეტ ექსპლუატაციას უზრუნველყოფს. თითოეული სანიტარული კვანძი უზრუნველყოფილია უწყვეტი წყლის მარაგით, უზრუნველყოფილია მუდმივი განათების სისტემით, რომელიც ქმნის ვიზუალურად კომფორტულ და უსაფრთხო გარემოს დღის ყველა მონაკვეთში. განათება მოიცავს როგორც საერთო, ისე ადგილობრივ ზონებს, რაც უზრუნველყოფს საჭირო ხილვადობას ყველა სივრცეში. თითოეული სანიტარული კვანძი აღჭურვილია ვენტილაციის სისტემით. დაწესებულებაში არის ადაპტირებული სანიტარული კვანძი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის.

**ინდიკატორი 5.1.1.8 შესაბამისობაშია**

**9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;**

დაწესებულებაში არსებულ ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათლების შესაძლებლობა.

**ინდიკატორი 5.1.1.9 შესაბამისობაშია**

**10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;**

დაწესებულების შენობაში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს სწავლების, მართვისა და დამატებითი აქტივობების ეფექტურ ორგანიზებას. დაწესებულების შენობა აგებულია დერეფნული სისტემის პრინციპით, რაც უზრუნველყოფს თითოეული კაბინეტის და სივრცის გამიჯნულობას. ყველა ძირითადი სივრცე და კაბინეტი აღჭურვილია დამოუკიდებელი შესასვლელით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და თანამშრომლების თავისუფალ გადაადგილებას და სივრცეების ოპტიმალურ გამოყენებას.

**ინდიკატორი 5.1.1.10 შესაბამისობაშია**

**11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

დაწესებულებას შემოშავებული აქვს „ბიბლიოთეკის დებულება“ (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.)) სადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში გაწევრიანების, წიგნების გატანა-დაბრუნების, ბიბლიოთეკაში ქცევის წესების შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით არსებული) ხელმოსაწვდომია მომხმარებლისათვის. ბიბლიოთეკა განთავსებულია დაწესებულების სასწავლო კორპუსის მეორე სათულზე, წიგნადი ფონდის შესაბამისი ფართით, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით და ტექნიკით (ინტერნეტში ჩართული 2 კომპიუტერი, პრინტერი). დაწესებულების ბიბლიოთეკაში ყოველწლიურად ხდება ბიბლიოთეკის ფონდის შევსება-განახლება საგანმანათლებლო პროგრამებში (მოდულებში) მითითებულ ლიტერატურით და ასევე ელექტრონული წიგნებით, რომლებიც განთავსებულია ვებ გვერდზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და ხელმისაწვდომია პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის და სტუდენტებისათვის. დაწესებულებაში ხორციელდება საბიბლიოთეკო რესურსების აღრიცხვა საინვენტარო წიგნების სახით. ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი არის ბიბლიოთეკარი. დაწესებულება თანამშრომლობს საკანონმდებლო მაცნესთან, აღნიშნულის დასტურად დაწესებულებამ წარმოადგინა საკანონმდებლო მაცნესთან გაფორმებული ხელშეკრულება. დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტის, ვიზუალური დათვალიერების და სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით დადასტურდა რომ მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული სახით.

**ინდიკატორი 5.1.1.11 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რესტრიდან;
- ქონების აღნაგობის ხელშეკრულება რეგისტრაციის N 111129205 17.10.2011 ;
- შიდა აზომვითი ნახაზი;
- „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (დამტ. ბრძანება N111 – 29.11.2023; ცვლილება: ბრძანება N00000129 – 26.08.2025);
- დაწესებულების სტრუქტურა;
- „ბიბლიოთეკის დებულება“ (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.
- სისტემატიზირებული სახით ნორმატიული აქტების გაცნობის შესახებ ხელშკრულება 6 აგვისტო 2025 წელი.
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა დამტ. (დამტ. N 26.07.2022 )
- რისკების შეფსების და მართვის მეთოდოლოგია (დამტ. ბრძანებაN 39 31.03.2025)
- შრომის უსაფრთხოების ისტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი;
- ვიზუალური დათვალიერება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5.1.2** პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;**

დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. ორივე სართულზე დამონტაჟებულია შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. დაწესებულების შენობაში ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, შენობაში წესრიგის დაცვის მიზნით გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო ჩანაწერის/შენახვის ფუნქციით აღჭურვილი ვიდეო-კამერები. დაწესებულებაში შემუშავებულია სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია (დამტ. ბრძანებაN 46/00000047 14.04.25) სადაც გაწერილია სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარების პერიოდულობა, უსაფრთხოების წესები. დაწესებულებამ წარმოადგინა კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა დაწესებულების სახანძრო უსაფრთოების ნორმების შესაბამისობის შესახებ. დაწესებულებაში ორივე სართულზე განთავსებულია ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების განთავსების ადგილებში გამოკრულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის სატელეფონო ნომერი. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა შპს ზნიეპის **„ტექნიკური ინსპექტირების ანგარიში შენობა ნაგებობის მდგარდობასთან დაკავშირებით“.**

**ინდიკატორი 5.1.2.1 შესაბამისობაშია**

**2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;**

დაწესებულებაში შემუშავებულია „პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები“ (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023 წ.; (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025 წ.)) დაწესებულებას აქვს სამედიცინო პუნქტი, სადაც დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექთანი, რომელიც ფლობს დადგენილ კომპეტენციას პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის მიზნით. ექთანი პასუხისმგებელია საჭიროების შემთხვევაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის პირველადი გადაუდებელი დახმარების დროულად და სწორად გაწევაზე. დაწესებულების ყველა სართულზე განთავსებულია სტანდარტულად აღჭურვილი პირველადი დახმარების ყუთები. მათი შევსება, კონტროლი და ტექნიკური მდგომარეობის შეფასება ხორციელდება რეგულარულად, რაც უზრუნველყოფს საჭირო ინვენტარის მუდმივ ხელმისაწვდომობას. თითოეულ სართულზე, თვალსაჩინო ადგილას, განთავსებულია როგორც დაწესებულების ექთნის საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ნომერი (112) რაც უზრუნველყოფს სწრაფ, კოორდინირებულ და ეფექტურ რეაგირებას საგანგებო შემთხვევის დროს.

**ინდიკატორი 5.1.2.2 შესაბამისობაშია**

**3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;**

საგანგებო სიტუაციების მართვის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. დაწესებულების შენობაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული საევაკუაციო გეგმა და გამაფრთხილებელი ნიშნები. დაწესებულებაში შექმნილია საგანგებო რეაგირების შტაბი, გაწერილია მათი ფუნქციები და საკონტაქტო ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომია.

**ინდიკატორი 5.1.2.3 შესაბამისობაშია**

**4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.**

დაწესებულებაში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია მატერიალური რესურსების მართვის და წესრიგის დაცვის მენეჯერი. მენეჯერის ძირითადი ფუნქციები: კოლეჯის ტერიტორიაზე უცხო პირთა შეშვების პრევენცია შესაბამისი ნებართვის ან აკრედიტაციის არსებობის შემთხვევაში, შენობის შესასვლელებისა და გამოსასვლელების კონტროლი უსაფრთხოების კუთხით საეჭვო ქცევისა და საფრთხის პრევენციის მიზნით; ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების შეშვების აკრძალვა, შეიარაღებული პირების შეშვების შეზღუდვა, გარდა კანონით განსაზღვრული სპეციალური ნებართვის მქონე შემთხვევებისა.

დაწესებულების ტერიტორიაზე აკრძალულია ალკოჰოლის, ნარკოტიკული საშუალებებისა და თამბაქოს დაწესებულების ტერიტორიაზე განტავსებულია ვიდეო კამერები. ვიდეოკამერები აღჭურვილია ჩანაწერის ფუნქციით და ხელს უწყობს პერსონალისა და ვიზიტორების იდენტიფიკაცია. ყველა კამერა მოქმედებს ჩაწერის რეჟიმში, ინფორმაცია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნებითაა აღნიშნული; ვიდეოჩანაწერებზე წვდომა გააჩნიათ მხოლოდ: დაწესებულების დირექტორს, დაცვის თანამშრომლებს, მატერიალური რესურსების მართვის და წესრიგის დაცვის მენეჯერს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 5.1.2.4 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *„პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები" (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023 წ.; ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025 წ.).*
- *ექთნის პირადი საქმე;*
- *მთავარი დებულება*
- *ვიზუალური დათვალიერება;*
- *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისები სააგენტოს წერილი N MIA 324 00116581*
- *სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებისა და მოწყობილობების გამოცდის აქტი 11.01.24*
- *შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა*
- *საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;*
- *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის წერილი N MIA 4 25 03308251*
- *პერსონალის სამუშაოა აღწერილობები*
- *შპს ილია-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ ბრძანება N 41 03.04.2025*
- *ინტერვიუს შედეგები;*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5.2 საინფორმაციო რესურსები**

**5.2.1** პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

**1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;**

დაწესებულების IT ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული ტექნიკა, აქსესუარები, კომპიუტერული ქსელი და სისტემები) შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. დაწესებულებას კომპიუტერული ტექნიკით აქვს აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, პროფესიული სტუდენტებისთვის სამუშაო სივრცე, ადმინისტრაციის პერსონალის სამუშაო სივრცე. დაწესებულებას ინტერნეტ პროვაიდერთან სილქნეტთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. დაწესებულებამ წარმოადგინა აიტი სპეციალისტის მოხსენებითი ბარათი (N 1 16.06.2025 ) რითიც დგინდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა ტექნიკური ინვენტარის განახლება. აღნიშნული ასევე დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინვენტარიზაციით.

**ინდიკატორი 5.2.1.1. შესაბამისობაშია**

**2.პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;**

დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. აღნიშნულის რეგულირების მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს „მატერიალური რესურსების განკარგვის" წესი (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ)). დაწესებულებას ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს კვალიფიციური IT სპეციალისტი. დაწესებულების კომპიუტერებზე დაყენებულია ვირუსებისაგან დაცვის პროგრამები, შეზღუდულია წვდომა არასანდო ვებ გვერდებზე. მონაცემთა შენახვის მიზნით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება იყენებს უსართხო გარე მოწყობილობებს და ღრუბლოვან სისტემებს. დაწესებულებამ წარმოადგინა IT რისკების მართვის გეგმა სადაც ასევე გაწერილია IT რისკების იდენტიფიცირების მექანიზმი, რისკების შეფასება,რისკების მართვა, მონაცემთა დაცვის მექანიზმები. დაწესებულებამ წარმოდგინა IT სპეციალისტის მოხენებითი ბარათი (N 2 01.08.2025) რითიც დგინდება, რომ დაწესებულებაში არსებულ კომპიუტერებზე ხორციელდება ანტივირუსული პროგრამებს მუდმივი განახლება. დაწესებულებაში ხორციელდება პროგრამული და ტექნიკური მდგომარეობის სისტემური მონიტორინგი.

**ინდიკატორი 5.2.1.2 შესაბამისობაშია**

**3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;**

დაწესებულებაში შემუშავებულია პერსონალური მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (დამტ. ბრძანება N 00000179 26.11. 2025) მონაცემთა დამუშავება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევებში და იმ ფარგლში, რაც პირდაპირ არის განსაზღვრული კანონით. ყველა პროცესი ემყარება კანონიერებას, გამჭვირვალობისა და მიზნობრიობის პრინციპებს. მონაცემების დამუშავების ეტაპები: მიღება, შენახვა, გამოყენება და განადგურება, რეგულირდება მკაცრი შიდა დოკუმენტაციითა და ტექნიკური სტანდარტებით. დაწესებულებას აყვანილი ყავს სერთიფიცირებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებსა და პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებების თანმხლები დანართებით დადასტურებულია, რომ დაწესებულება იღებს შესაბამის თანხმობას აღნიშნული პირებისგან პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. ხელშეკრულების პირობებში მკაფიოდ არის გაწერილი მონაცემთა დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რაც უზრუნველყოფს პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

**ინდიკატორი 5.2.1.3 შესაბამისობაშია**

**4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;**

დაწესებულება სისტემურად აფასებს IT ინფრასტრუქტურისა და მასთან დაკავშირებული პროცესების ეფექტიანობას, რათა უზრუნველყოს მათი ოპტიმალური ფუნქციონირება და შესაბამისობა თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებთან. შეფასების პროცესი მოიცავს IT სისტემის ყველა ძირითადი კომპონენტის ანალიზს, კერძოდ: კომპიუტერული ტექნიკისა და ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის ეფექტიანობას; მონაცემთა დაცვის, მართვისა და ინფორმაციული უსაფრთხოების ხარისხს; სისტემის ხელმისაწვდომობას, ინტერფეისის კომფორტულობასა და მომხმარებლისთვის (სტუდენტები, პედაგოგები, ადმინისტრაცია) ტექნოლოგიურ პირობებთან ადაპტაციის დონეს.

**ინდიკატორი 5.2.1.4 შესაბამისობაშია**

**5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომ IT ინფრასტრუქტურასა და მომსახურებას, რაც გულისხმობს ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების უწყვეტი მუშაობის, ტექნიკური მხარდაჭერის და რესურსების მიწოდებას. ეს მომსახურება მოიცავს როგორც კომპიუტერულ აღჭურვილობას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას, რაც აუცილებელია განათლებისა და სამუშაო პროცესის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენება სასწავლო პროცესში დადასტურდა დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებით.

**ინდიკატორი 5.2.1.5 შესაბამისობაშია**

**6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.**

დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული კომუნიკაციის სისტემის მეშვეობით. ესენია: ელ. ფოსტა, ვებ გვერდი, სოციალური ქსელი, მესიჯების სისტემა. აღნიშნული ელექტრონული კომუნიკაციის სისტემა მიზნად ისახავს ინფორმაციის სწრაფად და ეფექტურად გავრცელებსა შესაბამის პირებთან. სტუდენტებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადასტურდა აღნიშნული საკომუნიკაციო სისტემების გამოყენება სასწავლო პროცესში.

**ინდიკატორი 5.2.1.6 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ მატერიალური რესურსების განკარგვის“ წესი (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ.  ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ).
- სილქნეტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პერსონალური მონაცემთა  დაცვის პოლიტიკა  (დამტ.  ბრძანება N 00000179 26.11. 2025)
- აიტი სპეციალსიტის მოხსენებითი ბარათი (N 1 16.06.2025
- აიტი სპეციალსიტის მოხსენებითი ბარათი (N 2 01.08.2025)
- შრომის უსაფრთხოების მენეჯერის პირადი საქმე;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის პირადი საქმე;
- დომეინის და ჰოსტინგის ჰელშეკრულება;
- ინტერვიუს შედეგები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5.2.2** პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად
1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;**

დაწესებულებაში მოქმედებს „საქმისწარმოების წესი“ (დამტ. ბრძანება N111 – 29.11.2023 წ.; (ცვლილება: ბრძანება N00000129 – 26.08.2025 წ.)), რომელიც განსაზღვრავს დოკუმენტების მომზადების, დამტკიცების, რეგისტრაციისა და შენახვის პროცედურებს. დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №414 „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცების შესახებ“ (01.07.1999) საფუძველზე და სრულად შეესაბამება მოქმედ სამართლებრივ მოთხოვნებს. საქმისწარმოების წესში დეტალურად არის გაწერილი:

- დოკუმენტების დამტკიცების, ცვლილებების შეტანის და გადახედვის პროცედურები;
- საქმისწარმოების ფორმები და დოკუმენტაციის ტიპები;
- შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციისა და დამუშავების წესი;
- ბრძანებების, ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების რეგისტრაციისა და შენახვის წესი;
- სხდომებისა და სამუშაო შეხვედრების ოქმების შედგენისა და გაფორმების წესი;
- პერსონალური (პირადი) საქმეების წარმოებისა და განთავსების პრინციპები;
- დოკუმენტებიდან ამონაწერების გაცემის წესი და შესაბამისი ადმინისტრაციული პროცედურები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში საქმისწარმოების პროცესი უზრუნველყოფს დოკუმენტების მართვის გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და სტრუქტურირებულობას. ყველა ადმინისტრაციული პროცესი დაწყებული დოკუმენტის შემოსვლიდან, დამთავრებული მის დარქივირებამდე ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების საქმისწარმოების წესში გაწერილია ოქმის გაფორმების და რეგისტრაციის წესი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ოქმები არ იყო სრულად შესაბამისი აღნიშნულ **მეთოდოლოგიასთან. სასურველია, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს საქმისწარმოების წესის შესაბამისი ფორმატის ოქმების მომზადება და წარმოება, რათა დოკუმენტაცია სრულად შეესაბამებოდეს შიდა რეგულაციებს.**

**ინდიკატორი 5.2.1.1. შესაბამისობაშია**

**2.პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;**
დაწესებულებაში ელექტრონული დოკუმენტბრუნვა ხორციელდება Eflow-ს სისტემის გამოყენებით. ადმინისტრაციის ორი თანამშრომელი ჩართულია სისტემაში. დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება efflow-ს ორი იუზერის ფლობასთან დაკავშირებით. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა დაწესებულების Eflow-ში მუშაობის სპეციფიკა. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუირების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულება იყენებს საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემას. დაწესებულებში ასევე გამოიყენება ისეთი მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორიცაა zoom-ი, office-365 და ა.შ.
**ინდიკატორი 5.2.1.2 შესაბამისობაშია**

**3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;**
დაწესებულებაში შემუშავებულია „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მონაცემთა მართვის წესი" (დამტ. ბრძანება N111 – 29.11.2023 წ.; (ცვლილება: ბრძანება N00000129 – 26.08.2025 წ.)) აღნიშულ წესში დეტალურად არის გაწერილი პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მონაცემთა შეტანის, განახლებისა და სიზუსტის უზრუნველყოფის პროცედურები, პასუხისმგებელი პირები და მონაცემთა უსაფრთხოების პრინციპები. EMIS-ის მონაცემებზე წვდომა შეზღუდულია და გაიცემა მხოლოდ უფლებამოსილ პირებზე, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა კონფიდენციალურობასა და სისტემის დაცულობას.
დაწესებულების მიერ ბაზაში ასახულია შემდეგი ინფორმაცია:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწესებულების ზოგადი მონაცემები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მათთან დაკავშირებული მოდულები (დაწყებისა და დასრულების თარიღებით);
- სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი და კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტები;
- ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მონაცემები;
- შესაბამისი ბრძანებებისა და ადმინისტრაციული დოკუმენტების რეკვიზიტები.
- კურსდამთავრებულთა განყოფილებაში ატვირთულია დიპლომები დანართებით;

დაწესებულება უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ, სრულ და სანდო განახლებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც სრულად შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №11/ნ (17.02.2021) ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 5.2.1.3 შესაბამისობაში**

**4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ანგარიშის, დოკუმენტის და ინფორმაციის დროულ და სრულფასოვან მიწოდებას შესაბამისი სახელმწიფო ან კერძო კონტროლის უწყებებისთვის .ვიზიტისას ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების მიერ მიღებული და გაგზავნილ კორესპონდენცია, დასტურდება კომუნიკაციის არსებობა დაწესებულებასა და იმ დაინტერესებულ მხარეს შორის, რომელიც მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელია (მაგ: განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი).

**ინდიკატორი 5.2.1.4 შესაბამისობაში**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მონაცემთა მართვის წესი"( დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
- Efflow-ს ბაზა;
- საქმისწარმოების წესი (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.)
- ინტერვიუს შედეგი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კერძო კოლეჯების ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება 01.11. 2025

**5.2.3** პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;**

დაწესებულება საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის იყენებს ოფიციალურ ვებ გვერდს https://iliaedu.ge/ და სოციალურ ქსელს, კერძოდ FACEBOOK გვერდს. ორივე გვერდი წარმოადგენს საინფორმაციო და საკომუნიკაციო პლატფორმას. დაწესებულების ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის გვერდის პლატფორმებზე შესაძლებელია წერილობითი კომუნიკაცია დაწესებულებს ადმინისტრაციასთან. დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სიახლების, დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებების, დაწესებულების სტრუქტურის შესახებ. ვებ გვერდზე განთავსებულია მარეგულირებელი დოკუმენტები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სამქომედო გეგმის შესრულების ანგარიშები. დაწესებულების ვებგვერდი ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. დაწესებულების ვებგვერდზე დაინტერესებულ პირს აქვს საშუალება მიიღოს ინფორმაცია დაწესებულების მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ: ვებგვერდზე განთავსებულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების კატალოგები წლების მიხედვით(2024 და 2025 წწ) და საკონტაქტო ინფორმაცია. ვებგვერდის სიახლეების ველში და დაწესებულების ფეისბუქგვერდზე ინფორმაცია განახლებულია გონივრულ ვადაში.

**ინდიკატორი 5.2.3.1 შესაბამისობაშია**

**2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

დაწესებულების მისიაში დაკონკრეტებული არაა საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი, შესაბამისად დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია მხოლოდ ქართულ ენაზე.

**ინდიკატორი 5.2.3.2 შესაბამისობაშია**

**3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

დაწესებულების “მთავარი დებულება “ და „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“ სხვა საკითხებთან ერთად არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი და ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები. დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, პარტნიორობის შესახებ არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადასტურება.

**ინდიკატორი 5.2.3.3 შესაბამისობაშია**

**4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;**

დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებული კატალოგი წარმოადგენს სრულყოფილ წყაროს, რომელიც ასახავს დაწესებულების მიერ განხორციელებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. კატალოგში მოცემულია დეტალური ინფორმაცია თითოეული პროგრამის შესახებ, მათ შორის: პროგრამის დასახელება; მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მონაცემები კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარისთვის სწორი წარმოდგენის მიღებას დაწესებულების საქმიანობისა და ფუნქციონირების შესახებ.

**ინდიკატორი 5.2.3.4 შესაბამისობაშია**

**5.პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;**

დაწესებულების კატალოგი ახლდება წლიურად, ამის დასტურად დაწესებულებას ვებ გვერდზე განთავსებული აქვს 2024 და 2025 წლების კატალოგი.

**ინდიკატორი 5.2.3.5 შესაბამისობაშია**

**6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

დაწესებულებაში შემუშავებულია **„საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“** (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023 წ.; (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025 წ.)), რომელშიც დეტალურად არის გაწერილი ინფორმაციის გავრცელების წყაროები და კომუნიკაციის მექანიზმები. ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებში ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელია ადმინისტრირებაზე დანიშნული პირი, რომელსაც შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდება კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირს გააჩნია ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებში შემოსული შეკითხვებზე პასუხის გაცემისა და საჭიროების შემთხვევაში მათ გადამისამართების პრეროგატივა. დაწესებულება საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში იყენებს სხვადასხვა არხებიდან მიღებულ უკუკავშირს საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. უკუკავშირისთვის ვებგვერდზე განთავსებულია სპეციალური ფუნქცია, რომლის საშუალებითაც სტუდენტები, მასწავლებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებსა და შეფასებებს. მიღებული უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე, დაწესებულება ახორციელებს საჭირო ცვლილებებსა და გაუმჯობესებებს, რაც ხელს უწყობს:

- სწავლების მეთოდების დახვეწას,
- საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესებას,
- მართვის პროცესების ოპტიმიზაციას და
- განათლების ხარისხის ამაღლებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უკუკავშირის ეფექტურად გამოყენება საშუალებას აძლევს კოლეჯს მოახდინოს ოპტიმიზაცია, დახვეწოს სწავლების მეთოდები, გააუმჯობესოს გარემო და უფრო სათანადო პასუხები გასცეს სხვადასხვა გამოწვევებს. ასეთ მიდგომას, ამასთანავე, აქვს გავლენა საზოგადოებისგან ნდობისა და პატივის აღიარების მოპოვებაზე, რაც ხელს უწყობს კოლეჯის რეპუტაციის გამყარებას.

**ინდიკატორი 5.2.3.6 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი" (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023 წ.; ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025 წ.),
- მთავარი დებულება
- კატალოგი
- https://iliaedu.ge/
- https://www.facebook.com/profile.php?id=100077892887379
- დომეინის და ჰოსტინგის ხელშეკრულება
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5.3 ფინანსური რესურსები**

**5.3.1** დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

**1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;**

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. დაწესებულებას შემუშავებული აქვს "ფინანსური რესურსების დაგეგმვის, გამოყენებისა და მონიტორინგის წესი" (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.)). დაწესებულება ყოველწლიურად, წლის დასაწყისში გეგმავს ბიუჯეტს .რომელიც შინაარსობრივად მოიცავს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ და დაწესებულების ფუნქციონირებისათვის აუცილებელ აქტივობებს. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებას დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტების თანადაფინანსებიდან და ვაუჩერული დაფინანსებიდან მიღებული სახსრებით.

**ინდიკატორი 5.3.1.1. შესაბამისობაშია**

**2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;**

დაწესებულების საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ და სტუდენტთა თანადაფინანსებული წყაროებიდან მიღებული ფულადი სახსრებით. რომელიც მოიცავს როგორც სახელფასო ანაზღაურების, ასევე მატერიალური რესურსებისა და ადმინისტრაციულ ხარჯებს. დაწესებულებას გააჩნია ფინანსური დოკუმენტაცია, ინვენტარის შესყიდვების, კომუნალური გადასახადების გადარიცხვების, სახელფასო ანაზღაურების, სხვადასხვა მომსახურების შესყიდვების და სხვა საოპერაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია.

**ინდიკატორი 5.3.1.2 შესაბამისობაშია**

**3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს "ფინანსური რესურსების დაგეგმვის, გამოყენებისა და მონიტორინგის წესი" (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.). რომლის მიხედვითაც ფინანსური მდგომარეობის შეფასება წარმოებს ყოველთვიურად ან კვარტლურად. დაწესებულებას შედგენილი აქვს შესაბამისი ანგარიშები, საიდანაც დგინდება, რომ დაწესებულება ფინანსურად მდგრადია. დაწესებულება ყოველწლიურად წარადგენს შესაბამის ფინანსურ ანგარიშებს კონტროლის განმახორციელებელ უწყებებში. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას, რეგულარულ ანალიზს უკეთებს საკუთარ ფინანსურ მდგომარეობას. ეს პროცესი მოიცავს ფინანსური ანგარიშგების, შემოსავლებისა და ხარჯების განხილვას, ასევე სხვადასხვა ფინანსური მაჩვენებლების შეფასებას.

**ინდიკატორი 5.3.1.3 შესაბამისობაშია**

**4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**

დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე. დაწესებულებას შემუშავებული აქვს "ფინანსური რესურსების დაგეგმვის, გამოყენებისა და მონიტორინგის წესი" (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.). რომლის მიხედვითაც სხვადასხვა ფინანსური მაჩვენებლების საფუძველზე აანალიზებს დაწესებულების შედეგებს. თუ ფინანსური ანალიზი და შეფასება ცხადყოფს რომელიმე პრობლემის არსებობას ან საჭიროებას, დაწესებულების დირექტორი იღებს შესაბამის ზომებს. როგორც ბუღალტერთან და დირექტორთან გასაუბრებისას აღინიშნა, ეს შეიძლება მოიცავდეს ხარჯების ოპტიმიზაციას, ფინანსური რესურსების ეფექტური გამოყენებას, რათა ხელი შეეწყოს დაწესებულების ფინანსური მდგრადობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას. რეაგირება შეფასების შედეგებზე მნიშვნელოვანია, რადგან ის უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრადობას და განვითარების შესაძლებლობას გრძელვადიან პერიოდში.

**ინდიკატორი 5.3.1.4 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- "ფინანსური რესურსების დაგეგმვის, გამოყენებისა და მონიტორინგის წესი" (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.).
- დაწესებულების ბიუჯეტი;
- ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე განთავსებული
- ფინანსური ანგარიშები;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

### I. ზოგადი ინფორმაცია

*ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)*

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საფინანსო სერვისები |
| პროფესიული განათლების დონე | III |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში/ Basic Vocational Qualification in Finance Services |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0412 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | შპს ილია ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 აგვისტოს ბრძანება N 127 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. საგარეჯო ლეონიძის ქ. 33 ა |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალური სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 20 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 52 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 67 |

**II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

*იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.*

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |

**დასაბუთება**

.......................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................
............................



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

*ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| **2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და სრულად შეესაბამება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. დაწესებულებაში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების“ მეთოდოლოგიის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს თანხვედრაში დაწესებულების მისიასთან, სტრატეგიულ გეგმასთან და პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების დადგენილ პროცედურებთან. აღნიშნული დოკუმენტის მე–2 მუხლის თანახმად, პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს ბაზრის კვლევას, შეხვედრებს პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, რესურსების ანალიზსა და კონსულტაციას დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და სხვა საჭირო აქტივობებს. ამავე დოკუმენტის მე-3 მუხლის თანახმად, დაინტერესებულმა პირმა (დაინტერესებული პირი შესაძლოა იყოს დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელი, პროგრამის განმახორციელებელი პირი, პარტნიორი ორგანიზაცია და სხვა) შესაძლებელია წარმოადგინოს დაწესებულების დირექტორის სახელზე არგუმენტირებული სამსახურებრივი ბარათი პროგრამ(ებ)ის შემუშავების საჭიროების შესახებ. ბარათში უნდა ჩანდეს რის საფუძველზე, ან რა გარემოებებით არის განპირობებული პროგრამის შემუშავების/დანერგვის სურვილი/საჭიროება. დირექტორი განიხილავს აღნიშნულს სამსახურეობრივ ბარათის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 24 სამუშაო დღეში და თანხმობის შემთხვევაში გამოცემს შესაბამის ბრძანებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დაწყების შესახებ, სადაც განისაზღვრება: სამუშაო ჯგუფის ფორმირება, ჯგუფის ხელმძღვანელი, პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი, ჯგუფის შემადგენლობა და სამუშაო ვადები. შესაძლოა დაწესებულების დირექტორი თვითონ იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის/საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაგეგმვის/შემუშავების ინიციატორი. ამ შემთხვევაში იწყება პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაბამისი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მოძიება/ანალიზი. შესაძლოა კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/ადაპტირები მიზნით დირექტორის ბრძანებით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის"საფინასნო სერვისების" შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ანგარიშები. აღნიშნული ანგარიშების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებას საფინასნო სერვისების პროგრამა შემუშავებული აქვს აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტის დაცვით.
პროგრამის დამატება შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან. დაწესებულების მისიაა — ადგილობრივი და ეროვნული შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული, კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, სოციალური ჩართულობის ზრდას და ინდივიდის პიროვნულ-პროფესიულ განვითარებას.
აღნიშნული პროგრამის განხორციელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების მიზნით, დაწესებულებამ განახორციელა შრომის ბაზრის კვლევა, რომლის ფარგლებშიც გაანალიზა საბანკო-საფინანსო სექტორში მოქმედი ორგანიზაციების საჭიროებები და დასაქმების საიტებზე — Jobs.ge, HR.ge და Worknet.gov.ge განთავსებული ვაკანსიები აღნიშნულ სფეროში. ჩატარებული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ:

• ბოლო 12 თვის განმავლობაში Jobs.ge-ზე გამოქვეყნებული განცხადებების დაახლოებით 45% დაკავშირებული იყო საბანკო ან საფინანსო სერვისებთან;
• აღნიშნულ პორტალებზე თვეში საშუალოდ ქვეყნდება 400–450 ვაკანსია საფინანსო-საბანკო მომსახურების სფეროში;
• Worknet.gov.ge-ის (2024) მონაცემებით, საფინანსო სფეროზე მოდიოდა რეგისტრირებული ვაკანსიების საერთო რაოდენობის დაახლოებით 19%;
• საერთაშორისო ტენდენციების მიხედვით (EU Skills Panorama 2023), ევროკავშირში ფინანსური სექტორის სპეციალისტებზე მოთხოვნა საშუალოდ 2–3%-ით იზრდება წელიწადში, რაც მსგავს დინამიკას მიუთითებს საქართველოშიც.

დაწესებულების სტრატეგიულ გეგმაში (2025–2032) ხაზგასმულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განახლებისა და განხორციელების პრიორიტეტულობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მიღებული გადაწყვეტილება ემყარება მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ანალიზს და სრულად შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიულ მიმართულებებს.
**ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

საგანმანათლებლო პროგრამაზე „საფინანსო სერვისები“ დაშვების წინაპირობაა:

- საბაზო განათლება;
- არანაკლებ 17 წელი;

დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან და არ მოიცავს სხვა სპეციფიკურ მოთხოვნებს. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად უზრუნველჰყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველჰყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

**ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია**

**3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

დაწესებულებაში შემუშავებულია „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ რომლის თანახმადაც საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები:

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა;

- A სასწავლო გარემო/თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე - სტუდენტების რაოდენობა თეორიული მეცადინეობის ოთახში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით:

  ა) ყოველ პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე სამუშაო ადგილების რაოდენობა;

  ბ) კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა;
- B სასწავლო გარემო/კომპიუტერული კლასი გამოიყენება ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამისათვის და გაანგარიშდება სტუდენტთა საერთო რაოდენობაზე. კომპიუტერების რაოდენობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომ ყველა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე ინდივიდუალურ კომპიუტერთან მუშაობა;

- C სასწავლო გარემო/პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე, რომელიც იძლევა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების საშუალებას. C სასწავლო გარემოში სტუდენტების რაოდენობის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება:

ა) ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
ბ) ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოს ფართი; კონკრეტული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით/საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა;
აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გაოყოფილი აქვს ერთი AB გარემო, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ ამ პროგრამის განხორციელებისთვის. დაწესებულებას აქვს საშუალება მიიღოს ჯგუფში 10 , ხოლო ორ ცვლაში 20 პროფესიული სტუდენტი. გარემო სრულად აღჭურვილია პროგრამის სპეციფიკით გათვალიწინებული მატერიალური-რესურსებითა და ინვენტარით. პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულება გაფორმებული აქვს წინარე ხელშეკრულებები 13 განმახორციელებლ პირთან. მათგან ოთხი არის დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პირი, ხოლო 11 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი პირი.
**ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია**

**4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**
პროგრამით გათვალისწინებული რესურსი როგორც მატერიალური, ასევე საგანმანათლებლო უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
**ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია**

**5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**
საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.
**ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისობაშია**

**6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია დაწესებულების „მთავარი დებულების“ დამტ. (დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 29 ნოემბრის ბრძანება N 111 ცვლილება შესულია 2025 წლის 26 აგვისტოს ბრძანება N 000000129) მიხედვით და მინიჭებული აქვს დაწესებულების დირექტორს. წარმოდგენილი პროგრამა „საფინანსო სერვისები“ დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 22 აგვისტოს ბრძანება N 127-ით. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

**ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია**

**7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება საფინანსო სერვისები / Finance services თანხვედრაშია პროფესიული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ პროგრამის სახელწოდებასთან. მისანიჭებელი კვალიფიკაცია საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services რაც ასევე შესაბამისობაშია პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან.

**ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია**

**8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ შეიმუშავების საფუძვლია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი საფინანსო სერვისები/ Finance services (სარეგისტრაციო ნომერი 04117-პ). დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს რეალურ სამუშაო გარემოში. პროგრამა მოიცავს: 6 ზოგად მოდულს ჯამში 17 კრედიტი და 13 პროფესიულ მოდულს ჯამში 35 კრედიტი. კვალიფიკაციის მისანიჭებლად განსაზღვრულია 52 კრედიტი ქართულენოვანი სტუდენტებისთვის და სწავლების ხანგძლივობაა 9,5 თვე, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მისანიჭებლად განსაზღვრულია 67 კრედიტი, ხოლო სწავლების ხანგძლივობაა 13,5 თვე. პროგრამით განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია და მინიჭების პირობები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევის სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა. დაწესებულების მიერ, წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის მოდული (A2; ჯამში 15 კრედიტი) სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. წაროდგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

**ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები;
- დაწესებულების 2025-2032 წწ სტრატეგიული გეგმა დამტ. *დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 30 აგვისტოს ბრძანება N 00000132*
- საფინასნო სერვისების პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების“ მეთოდოლოგია დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025
- „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ დამტკიცებულია ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.
- პროგრამა საფინანსო სერვისები დამტ.დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 22 აგვისტოს ბრძანება N 127
- მთავარი დებულება დამტ დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 29 ნოემბრის ბრძანება N 111 ცვლილება შესულია 2025 წლის 26 აგვისტოს ბრძანება N 000000129
- საფინანსო სერვისების პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ანგარიში N 1 14.08.2025
- საფინანსო სერვისების პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ანგარიში N 2 15.08.2025
- საფინანსო სერვისების პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ანგარიში N 318 .08.2025
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯრის მონიტორინგის ანგარიში 19.08.2025
- ინტერვიუს შედეგები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. დაწესებულებას „ საფინანსო სერვისების" პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აქვს ერთი AB გარემო, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ ამ პროგრამის განხორციელებისთვის. აუდიტორია აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით. ექსპერტებმა ჩაატარეს ინტერვიუირება პრაქტიკის ობიექტის წარმოამდგენელთან. დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებულია აქვს სს „ლიბერთი ბანკთან". აღნიშნული დაწესებულება სრულადაა აღჭურვილი პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსით. დაწესებულებას ასევე გაფორმებული აქვს მემორანდუმი ალტა სოფთვიართან და შესაბამისად სასწავლო კომპიუტერებში ჩატვირთული აქვს " alta" პროგრამის დემო ვერსია, რომლის საშუალებითაც სტუდენტები შეძლებენ სხვადასხვა პროფესიული მოდულის სწავლის შედეგების მიღწევას.

**ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია**

**2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისების"განხორციელების მიზნით, თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი და მეტი პირი, სასწავლო გეგმის და გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის შესაბამისად, მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი. დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის წინარე ხელშეკრულება გაფორმებულია აქვს 13 განმახორციელებლ პირთან. მათგან ოთხი არის დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პირი, ხოლო 11 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი პირი.

**ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება. ექსპერტები გაესაუბრენ განმახორციელებელ პირებს, გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორც დაწესებულების , ასევე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის მიმართულებით. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული იყვნენ მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში.

**ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია**

**4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენცია დასტურდება როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. აღნიშნულ პირს აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში და სამუშაო აღწერილობის დოკუმენტში. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, გათავისებული აქვს მისი ფუნქცია მოვალეობები, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდეს პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, მეცადინეობებზე პერიოდულად ესწრებოდეს პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული იყოს შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში და მის განვითარებაში.

**ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია**

**5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური/ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკებში არის სამუშაო სივრცე აღჭურვილი კომპიუტერებით, რომლებშიც ჩატვირთულია პროგრამის სასწავლო რესურსი და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. სამკითხველოში განთავსებულია 2 კომპიუტერი(ლეპტოპი) ჩართული ინტერნეტის ქსელში, ასევე ხელმისაწვდომია პრინტერი/ კომბაინი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაცის მოძიებას და დაბეჭდვას მატერიალური სახით. დაწესებულება შეძენილი აქვს ლიცენზირებული საკანონმდებლო მაცნეს მომსახურება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნული სიის მიხედვით შემოწმდა დაწესებულებაში საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსების ფლობა.

**ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია**

**6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

დაწესებულებას სასწავლო პროცესის მართვის წესში (დამტ.ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ)). გაწერილი აქვს სასწავლო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს:

- სპეციალისტის მოწვევას;
- საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფას; (საგანმანათლებლო რესურსის ამობეჭდვას პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტით და სხვა მახასიათებლებით; საგანმანათლებლო რესურსის შინაარსობრივ ცვლილებას და მის მორგებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე, რაც გულისხმობს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის შესაძლებლობას და სხვა.)
- დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილების ხელშეწყობას ( ხელჯოხით უსაფრთხოდ გადაადგილების სწავლებას სპეციალისტის ჩართულობით)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერას;
- ადმინისტრაციული მხარდაჭერას
- სხვა ღონისძიებას საჭიროების მიხედვით .

**ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისობაშია**

**7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საფინანსო სერვისების“ პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლის და ხარჯები სახეობა. შემოსავლების სახეობად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტის ვაუჩერი და სწავლის საფასური. ხარჯებს ნაწილში გაწერილია: საიჯარო გადასახადი, სასწავლო სატრანსპორტო ხარჯი, სასწავლო მასალები, მასწავლების და ადმინისტრაციის ანაზღაურება, საკანცელარიო ხარჯი, რეკლამის ხარჯი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხარჯი, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ხარჯი. რენტაბელობის ზღვრად მიჩნეულია 12 სტუდენტი.

**ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მართვის წესი (დამტ.ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ).
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის პირადი საქმე;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პროგრამა საფინანსო სერვისები დამტ.დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 22 აგვისტოს ბრძანება N 127
- ალტა სოფთვიართან გაფორმებული მემორანდუმი 01.08.2025
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია“ (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.)) მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რომელიც ეფუძნება ხარისხის მართვის ციკლურ მოდელს (დემინგის ციკლი: დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე) და უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობასა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების გარემოს განვითარებას. შეფასების პროცესი მოიცავს როგორც შიდა, ისე გარე მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს და ხორციელდება რეგულარულად, ასევე საჭიროების შემთხვევაში – საგანგებო გარემოებების არსებობისას. შეფასების საფუძვლად გამოიყენება: პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგები, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების ხარისხი და დასაქმების მაჩვენებლები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებები, დამსაქმებელთა და პარტნიორი ორგანიზაციების უკუკავშირი, შრომის ბაზრის ტენდენციები და მოთხოვნები, საგანმანათლებლო სტანდარტებში განხორციელებული ცვლილებები, გარე შეფასებებისა და ექსპერტიზის დასკვნები და სხვა შესაბამისი მონაცემები. შეფასების შედეგების საფუძველზე დაწესებულება აიდენტიფიცირებს პროგრამის ძლიერ და გასაუმჯობესებელ ასპექტებს, ამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს. პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილეობენ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი (პროცესის მონიტორინგის ნაწილში), პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის განმახორციელებელი პირები და საჭიროების შემთხვევაში – სხვა დაინტერესებული მხარეები. შესაბამისად, აღნიშნული მექანიზმი სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირთან და ხარისხის მართვის პრინციპებთან შესაბამის შეფასებასა და განვითარებას.

**ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია**

**2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №111, 29.11.2023 წ.; (ცვლილება: №00000129, 26.08.2025 წ.)), რომელიც განსაზღვრავს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზისა და მათი საფუძველზე ცვლილებების განხორციელების წესებსა და პროცედურებს. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება შეფასების შედეგების, შრომის ბაზრის ტენდენციების, საგანმანათლებლო სტანდარტებსა და პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებების, ტექნოლოგიური და სხვა რელევანტური ფაქტორების საფუძველზე. ცვლილების ინიცირება შესაძლებელია დირექტორის, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, სასწავლო პროცესის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამის განმახორციელებელი პირის ან პარტნიორი ორგანიზაციის მხრიდან. ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს მოდულის დამატებას ან ამოღებას, მოდულის შინაარსის ან სწავლების მეთოდების განახლებას, სასწავლო გეგმის კორექტირებას, პროგრამის მიზნებისა და შედეგების გადახედვას, საგანმანათლებლო რესურსებისა და თემატიკის განახლებას და სხვა შესაბამის ცვლილებებს. ცვლილებების განხორციელება ხდება სამუშაო ჯგუფის მეშვეობით, რომელიც ადგენს ცვლილების საჭიროებებს, ამზადებს შესაბამის დოკუმენტაციას და წარადგენს დირექტორისთვის დამტკიცების მიზნით. სამუშაო ჯგუფის ფორმირება ხდება დირექტორის ბრძანებით ან პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით. ცვლილებები თანხვედრაში უნდა იყოს პროგრამის მიზნებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებთან. პროგრამის განხორციელებისას უზრუნველყოფილია სტუდენტთა ინტერესების დაცვა და სწავლის უწყვეტობა. აღსანიშნავია, რომ პროგრამა „საფინანსო სერვისები“ დაწესებულება ახლა იმატებს და შესაბამისად, მექანიზმის პრაქტიკაში განხორციელების შეფასება ამ ეტაპზე ექსპერტთა მხრიდან არ მომხდარა.

**ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია“ (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.)
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „საფინანსო სერვისები" თან ახლავს სასწავლო გეგმები პროგრამის ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს არაინტეგრირებული მიდგომით. სწავლის ხანგრძლივობა წარმოდგენილი გეგმებით შეადგენს: ქართულენოვანი კონტინგენტისთვის: 37 სასწავლო კვირა, (52 კრედიტი), არაქართულენოვანი კონტინგენტისთვის - 52 სასწავლო კვირა, 67 კრედიტი). სასწავლო გეგმით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას, კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების განხორციელებისთვის ლოგიკური თანმიმდევრობა და დადასტურების/განმეორებითი დადასტურებისთვის ვადები.

**ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია**

**2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

დაწესებულება სასწავლო პროცესს გეგმავს და ახორციელებს პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, სადაც მათ აწვდიან სრულ ინფორმაციას პროგრამის შინაარსზე, სწავლის პირობებსა და შესაძლებლობებზე, ასევე მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში განხორციელდება ცვლილება ან მოხდება მისი შეწყვეტა, დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის განათლების გაგრძელების შესაძლებლობას. დაწესებულება ოპერატიულად რეაგირებს სტუდენტების საჭიროებებზე და მაქსიმალურ მხარდაჭერას უწევს სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე.

**ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია**

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის შესაბამისი სასწავლო რესურსი და მატერიალური ბაზა იძლევა იმის გარანტიას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით. პროფესიული განათლების მასწავლებლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით, ასევე ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები. როგორც უკვე აღინიშნა, პროფესიულ მასწავლებლებს გავლილი აქვთ არა ერთი ტრენინგი სწავლების მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით. შესაბამისად გამოიყენებული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების პროცესში სასწავლებელი იყენებს საფინანსო პროგრამის "Alta" დემო ვერსიას.

**ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისობაშია**

**4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

დაწესებულება სწავლების პროცესში გაითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს მათთვის შესაბამისი პირობების შექმნას პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდება ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და განსაზღვრავს სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებსა და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. „სასწავლო პროცესის მართვის წესის" მიხედვით, პროფესიულ სტუდენტს ინდივიდუალურ რეჟიმში შეუძლია კომპონენტის გავლა შემდეგ შემთხვევებში: თუ დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების შედეგის გათვალისწინებით ვერ მიიღო დადებითი შეფასება არარენტაბელური ჯგუფის ფორმირების შემთხვევაში, როცა დაწესებულება ვალდებულია სტუდენტს გაატაროს შესაბამისი კომპონენტი, სტატუსშეჩერებული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის შემდეგ, პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში ცალკეული კომპონენტების გაუვლელობის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არ ხდება სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა, მიღებული ფორმალური განათლების აღიარების შედეგად დარჩენილი კომპონენტის გავლისას, შიდა ან გარე მობილობის შემთხვევაში. აღნიშნულ შემთხვევებში სასწავლო პროცესის დაგეგმვის საფუძველია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული ან სტატუს აღდგენილი სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას და მათი სწავლის პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფას.

**ინდიკატორი 2.4.1.4 შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

დაწესებულებას გაფორმებული აქვს გრძელვადიანი (7-წლიანი) ხელშეკრულება სს „ლიბერთი ბანკთან", რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული პრაქტიკის პროცესის ორგანიზებასა და მდგრადობას. ხელშეკრულება მოიცავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, სტუდენტთა მიღების ზღვრულ რაოდენობას (არაუმეტეს 20 პროფესიული სტუდენტი) და პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობებს. პრაქტიკის პერიოდში სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, თეორიული ცოდნა გამოიყენონ რეალურ სამუშაო გარემოში, ბანკის საოფისე და საკონსულტაციო განყოფილებებში. აღნიშნული თანამშრომლობა ხელს უწყობს პროფესიული უნარების განვითარებას, კომუნიკაციისა და მომსახურების კულტურის ჩამოყალიბებას. პრაქტიკის პროცესისას უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია პრაქტიკის ობიექტი – სს „ლიბერთი ბანკი", რომელიც ასრულებს შრომის უსაფრთხოების, სამუშაო ჰიგიენისა და პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პარტნიორ ორგანიზაციასთან არსებული შეთანხმება უზრუნველყოფს სწავლების პროცესის უწყვეტობასა და ხარისხის სტანდარტების დაცვას, რაც პროგრამის ეფექტიანი განხორციელების წინაპირობაა.

**ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისობაშია**

**6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

პროგრამით განსაზღვრული მოდულების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისთვის გამოიყენებენ დაწესებულების აუდიტორია სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისების" განხორციელება არ საჭიროებს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს. B გარემოში უსაფრთხოების და ზოგადი უსაფრთხოების წესები დაწესებულებას განსაზღვრული აქვს „ მატერიალური რესურსების განსაზღვრის წესში" (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.))

**ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროგრამა საფინანსო სერვისები დამტ.დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 22 აგვისტოს ბრძანება N 127
- სასწავლო პროცესის მართვის წესი (დამტ.ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ).
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ალტა სოფთვიართან გაფორმებული მემორანდუმი 01.08.2025



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინტერვიუს შედეგები;

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მართვის წესი" (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №111, 29.11.2023 წ.; (ცვლილება: №00000129, 26.08.2025 წ.)), რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის პრინციპებსა და განხორციელების წესს. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლების შედეგების ობიექტურ და სამართლიან დადასტურებას და ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი დარგის სპეციალისტთან ერთად (საჭიროების შემთხვევაში პროცესში შეიძლება ჩაერთოს მოწვეული გარე ექსპერტი/ვალიდატორი). ვალიდაცია ტარდება შეფასების ჩატარებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე. შეფასების ინსტრუმენტის პროექტი, საჭიროების შემთხვევაში, უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს ან სამუშაო ჯგუფს რეკომენდაციებისა და შენიშვნების გასათვალისწინებლად, რომლებიც ვალდებულნი არიან განახორციელონ შესაბამისი შესწორებები მოკლე ვადაში. ვალიდაციის პროცესი დოკუმენტირდება სპეციალური კითხვარის მეშვეობით, რომელსაც ხელს აწერენ სასწავლო პროცესის მენეჯერი და ვალიდაციაში ჩართული დარგის სპეციალისტი. ვალიდურად მიიჩნევა მხოლოდ ის ინსტრუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს, და შეფასების მიზნებისთვის გამოიყენება მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტი.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას, რაც სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას.

**ინდიკატორი 2.4.2.1 შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023 წ.; (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025 წ.)), რომლის მე-14 მუხლი არეგულირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, წინასწარ შემუშავებული ფორმების საფუძველზე. პროცესში მონაწილეობენ ორი მიმართულების ვერიფიკატორები:განათლების მიმართულებით ვერიფიკატორი და დარგის მიმართულებით ვერიფიკატორი. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, ვერიფიკატორი არ მონაწილეობს იმ ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციაში, რომელთა შექმნასა ან ვალიდაციაში თავად იყო ჩართული. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოთხოვნით იწვევს შესაბამისი დარგის სპეციალისტს. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი დირექტორს წარუდგენს ვერიფიკაციის გეგმის პროექტს და საჭირო დოკუმენტაციას დასამტკიცებლად. დამტკიცების შემდეგ, დირექტორი ქმნის ვერიფიკაციის ჯგუფს და განსაზღვრავს მის ხელმძღვანელს. ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით:

- გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;
- შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაცია არის შერჩევითი პროცესი და ეფუძნება რისკების ანალიზს. რისკის ფაქტორებად დამწყები პროფესიული მასწავლებლის ფაქტორი, პირველადი შეფასებისას ერთნაირი შედეგების მიღება ყველა სტუდენტისთვის, ან სხვა გარემოებები, რომლებიც ზრდის შეუსაბამობის ალბათობას. შერჩევა შეიძლება მოიცავდეს საერთო მტკიცებულებების 15–20%-ს ან სხვა მოცულობას, რაც განისაზღვრება რისკების ანალიზის საფუძველზე. ვერიფიკაციის შედეგები ფორმდება დასკვნაში, სადაც აისახება შეფასების ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, ობიექტურობა, გამოვლენილი პრობლემური საკითხები და რეკომენდაციები პროცესების გაუმჯობესებისთვის. დასკვნის განხილვაში მონაწილეობენ მასწავლებლები, თანამშრომლები, დარგის ექსპერტები, დამსაქმებლები და პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები. განხილვის შედეგად მუშავდება სამოქმედო გეგმა პრობლემების აღმოსაფხვრელად, განისაზღვრება ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსები. ფართომასშტაბიანი საკითხების შემთხვევაში, სამოქმედო გეგმა შეიძლება გახდეს წლიური გეგმის ნაწილი, ხოლო ინდივიდუალური შემთხვევებისას, ცალკე დოკუმენტი. გეგმის შესრულება ექვემდებარება მონიტორინგს. განმეორებითი ვერიფიკაცია ტარდება ახალი ინსტრუმენტების შექმნისას, არსებულებში ცვლილებების შეტანისას, განმახორციელებელი პირის შეცვლისას ან სხვა მნიშვნელოვანი გარემოებებისას. ცვლილებების ინიცირების უფლება აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის წევრს, სასწავლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესის მენეჯერს და პროგრამის განმახორციელებელ პირს. ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, ინსტრუმენტები თავიდან გადიან ვალიდაციის პროცესს. დაწესებულება ახლა იმატებს აღნიშნულ პროგრამას, შესაბამისად ექსპერტთა მხრიდან ვერ განხორციელდა აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებების შესწავლა.

**ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისობაშია**

**3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მართვის წესი“ (დამტ .ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ)), რომელიც განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების აღრიცხვისა,შენახვის წესებსა და ვადებს. აღნიშნული წესის 58-ე მუხლის 58.3 პუნქტის მიხედვით, შეფასების მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რის შემდეგაც ხდება მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ან შენარჩუნება საგანმანათლებლო მიზნებისთვის, ან გადაცემა ავტორს. პუნქტის 58.4 თანახმად, შეფასების პროცესში შექმნილი მალფუჭებადი პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს კონკრეტული მოდულის სწავლის შედეგის დადასტურების მტკიცებულებას, ფიქსირდება სპეციალურ ფორმულარში. აღნიშნულ ფორმულარში აისახება მოდულის დასახელება, სასწავლო შედეგი, შემსრულებელი პირი, მოდულის განმახორციელებელი, თარიღი და სხვა შესაბამისი მონაცემები. პროდუქტის ფოტომასალა ფორმულართან ერთად ინახება დაწესებულებაში შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რის შემდეგაც მტკიცებულება ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ან რჩება დაწესებულებაში საგანმანათლებლო მიზნებისთვის ან გადაეცემა ავტორს.

58.5 პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას შექმნილი ელექტრონული პროდუქტი, რომელიც დაკავშირებულია სწავლის შედეგის დადასტურებასთან, ინახება ციფრულ მატარებელზე იგივე პრინციპით შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, შემდგომში მისი განადგურება ან შენარჩუნება ხორციელდება ზემოაღნიშნული წესით. აღნიშნული პროცედურები უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, მტკიცებულებათა სათანადო აღრიცხვასა და შენახვას დადგენილ ვადებში.

**ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია**

**4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მართვის წესი რომლის მიხედვითაც, პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, ჯგუფური ან ინდივიდუალური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტივობების განხორციელების გზით. სასწავლო პროცესის მენეჯერთან, პროფესიული სტუდენტებთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენებენ განმავითარებელი შეფასებას, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. პროფესიული სტუდენტები უკუკავშირს მიიღებენ პერსონალური მონაცემების დაცვით.

**ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მართვის წესი (დამტ.ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ).
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023 წ.; ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025 წ.)
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ადმინისტრაციული სერვისები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ადმინისტრაციულ სერვისებში, secondary vocational qualification in administrative services |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0413 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | დირექტორის 2025 წლის 22 აგვისტოს N126 ბრძანება |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. საგარეჯო ლეონიძის ქ. 33 ა |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალური სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 30 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 70 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 100 |

## III. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

*იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |

**დასაბუთება**

..................................................................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................................................................
...........................

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**
*ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია შპს ილია-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 29.11.2023 წლის N111 ბრძანებით (ცვლილება: დირექტორის 26.08.2025 წლის N00000129 ბრძანება) დამტკიცებულ „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგიით.“ აღნიშნული დოკუმენტის მე–2 მუხლის თანახმად, პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს ბაზრის კვლევას, შეხვედრებს პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, რესურსების ანალიზსა და კონსულტაციას დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და სხვა საჭირო აქტივობებს. ამავე დოკუმენტის მე-3 მუხლის თანახმად, დაინტერესებულმა პირმა (დაინტერესებული პირი შესაძლოა იყოს დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელი, პროგრამის განმახორციელებელი პირი, პარტნიორი ორგანიზაცია და სხვა) შესაძლებელია წარმოადგინოს დაწესებულების დირექტორის სახელზე არგუმენტირებული სამსახურებრივი ბარათი პროგრამ(ებ)ის შემუშავების საჭიროების შესახებ. ბარათში უნდა ჩანდეს რის საფუძველზე, ან რა გარემოებებით არის განპირობებული პროგრამის შემუშავების/დანერგვის სურვილი/საჭიროება. დირექტორი განიხილავს აღნიშნულს სამსახურებირივი ბარათის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 24 სამუშაო დღეში და თანხმობის შემთხვევაში გამოცემს შესაბამის ბრძანებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დაწყების შესახებ, სადაც განისაზღვრება: სამუშაო ჯგუფის ფორმირება, ჯგუფის ხელმძღვანელი, პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი, ჯგუფის შემადგენლობა და სამუშაო ვადები. შესაძლოა დაწესებულების დირექტორი თვითონ იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის/საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის დაგეგმვის/შემუშავების ინიციატორი. ამ შემთხვევაში იწყება პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაბამისი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მოძიება/ანალიზი. შესაძლოა კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/ადაპტირები მიზნით დირექტორის ბრძანებით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამუშაო ჯგუფი შეისწავლის შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს/ჩარჩო დოკუმენტს და შესაბამისი დონის პროგრამისათვის ქმნის საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებას, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროგრამის მოცულობას (კრედიტებით), პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს, სასწავლო გეგმას პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის), შეფასების მიმართულების, სწავლების მეთოდების, პროგრამის რესურსების შესახებ ინფორმაციის მოგროვებას. სამუშაო ჯგუფი ასევე განსაზღვრავს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ, ადამიანურ და საგანმანათლებლო რესურსს და შეისწავლის პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის (პრაქტიკული პროექტი, საწარმოო პრაქტიკა და სხვა) განხორციელების მიდგომებს.

სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი დასამტკიცებლად, წარედგინება დაწესებულების დირექტორს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს არგუმენტირებულ ანალიზს საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ განხორციელების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ადმინისტრაციული სერვისები“ ქ. საგარეჯოში, გ.ლეონიძის ქ. 33ა.

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 13 აგვისტოს #112 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ შემუშავების მიზნით. სამუშაო ჯგუფს დაევალა პროგრამის შემუშავება/ადაპტირება დაწესებულების ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით ადმინისტრაციულ პერსონალთან და დარგის სპეციალისტებთან კონსულტაციით. სამუშაო ჯგუფმა დაგეგმვის ეტაპზე მოახდინა შიდა რესურსების შეფასება (მასწავლებლები, მატერიალური ბაზა, ბიბლიოთეკა), გარე მოთხოვნების ანალიზი - საჯარო და კერძო სექტორის საჭიროებებიდან გამომდინარე, გამართა კონსულტაციები არსებულ დამსაქმებლებთან და ორგანიზება გაუწია შეხვედრებს დარგის სპეციალისტებთან. შუალედურ ეტაპზე სამუშაო ჯგუფმა მოახდინა ადმინისტრაციული სერვისების მიმართულებით მოქმედი პროფესიული სტანდარტების ანალიზი. სტანდარტის მოთხოვნები აისახა პროგრამის შინაარსსა და სწავლების შედეგებში, ასევე გადაიხედა პროგრამის სწავლის შედეგები, მოხდა პროგრამის სტრუქტურის ფორმირება, კონსულტაციები გაიმართა დამსაქმებლებთან, რომლებმაც დაადასტურეს პროგრამის სრული შესაბამისობა ბაზრის საჭიროებებთან და გამოხატეს მზადყოფნა პრაქტიკული კომპონენტის მხარდაჭერისთვის. საბოლოო ეტაპზე, სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის საჭიროება და დაადგინა, რომ ადგილობრივ შრომით ბაზარზე ადმინისტრაციული კადრების მოთხოვნა მაღალია როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში. სამუშაო ჯგუფმა მოახდინა პროგრამის საბოლოო სტრუქტურის შემუშავება, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრა, სწავლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგების და პროგრამის შინაარსისა და მოდულების ჩამოყალიბება, დასაქმების შესაძლებლობების განსაზღვრა, პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ დასრულებული ვარიანტი დასამტკიცებლად წარედგინა დაწესებულების დირექტორს.

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 22 აგვისტოს #126 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისების“ შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიულ გეგმას. დაწესებულების მისიაში გაცხადებულია, რომ კოლეჯის მისიაა ადგილობრივი და ეროვნული შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული, კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, სოციალური ჩართულობის ზრდასა და ინდივიდის პიროვნულ-პროფესიულ წინსვლას. აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

**ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია**

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 29 ნოემბრის #111 ბრძანებით (ცვლილება 2025 წლის 26 აგვისტოს #00000129) დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირების წესით“, რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას, მათ შორის პროგრამაზე მიღების გამოცხადებას და დასრულებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებას. საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, შესაბამისად პროგრამაზე ჩარიცხულნი იქნებიან ისეთი პირები, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

**ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია**

**3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

დაწესებულებაში შემუშავებულია „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ რომლის თანახმადაც საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

A სასწავლო გარემო/თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე - სტუდენტების რაოდენობა თეორიული მეცადინეობის ოთახში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით:

ა) ყოველ პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე სამუშაო ადგილების რაოდენობა;

ბ) კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა;

B სასწავლო გარემო/კომპიუტერული კლასი გამოიყენება ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამისათვის და გაანგარიშდება სტუდენტთა საერთო რაოდენობაზე. კომპიუტერების რაოდენობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ყველა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე ინდივიდუალურ კომპიუტერთან მუშაობა;

C სასწავლო გარემო/პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე, რომელიც იძლევა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების საშუალებას. C სასწავლო გარემოში სტუდენტების რაოდენობის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება:

ა) ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

ბ) ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოს ფართი; კონკრეტული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით/საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, წარმოდგენილი პროგრამის შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, დაწესებულების ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა განსახილველ პროგრამაზე დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ასევე, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გამტარუნარიანობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია**

**4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით ახლავს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი. რომლის რელევანტურობა დასტურდება ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დოკუმენტების შეფასებით, მატერიალური რესურსების ვიზუალური დათვალიერებით. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

**ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია**

**5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა“ადმინისტრაციული სერვისები“ არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს,

**ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისობაშია**

**6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები” დამტკიცებულია შპს ილია-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს დირექტორის 2025 წლის 22 აგვისტოს N126 ბრძანებით. დაწესებულების დირექტორი, როგორც უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, უფლებამოსილია დაამტკიცოს საგანმანათლებლო პროგრამები და მათში განხორციელებული ცვლილებები, რასაც ცხადჰყოფს კოლეჯის მთავარ დებულებაში, კერძოდ თავი II, კოლეჯის მმართველობა, მუხლი 6 „დირექტორი“ პუნქტი 5.

**ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია**

**7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 19 აგვისტოს #170/ნ ბრძანების საფუძველზე. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ადმინისტრაციული სერვისების" სახელწოდებას, პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამის მიხედვით კურსდამთავრებულთა სწავლის შდეგებია: დაგეგმოს შეხვედრები და მივლინებები; მართოს ორგანიზაციის დოკუმენტბრუნვა; მართოს ორგანიზაციის შესყიდვები და მომარაგება; გააფორმოს დოკუმენტების რეკვიზიტები და ბლანკები; მოამზადოს დოკუმენტები არქივისთვის; მოამზადოს დოკუმენტების პროექტები; აწარმოოს მიმოწერა სხვადასხვა საკითხებზე; დაგეგმოს პერსონალის/ადამიანური რესურსების მართვის საკითხები.

**ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია**

**8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ადმინისტრაციული სერვისები" შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 19 აგვისტოს #170/ნ ბრძანების საფუძველზე. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია", რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 29.11.2023 წლის N111 ბრძანებით (ცვლილება: დირექტორის 26.08.2025 წლის N00000129 ბრძანება). დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სამუშაო ჯგუფის მიერ პროგრამის პოტენციურ ხელმძღვანელთან, სხვა განმახორციელებლებთან და ადმინისტრაციის შესაბამის პირებთან თანამშრომლობით აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად ადაპტირდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები", რომელიც დამტკიცდა დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ. დაწესებულების მიერ, წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სავალდებულოა მხოლოდ იმ პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. ქართული ენა A2-15 კრედიტი, ქართული ენა B1 -15 კრედიტი. შესაბამისად, პროგრამის მოცულობა არაინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 70 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის -100 კრედიტს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.
შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს კოლეჯის დირექტორის კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 13 აგვისტოს #112 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ შემუშავების მიზნით.
- შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 აგვისტოს N126 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები", (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 29 ნოემბრის N111 ბრძანებით (ცვლილება: დირექტორის 26.08.2025 წლის N00000129 ბრძანება) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია“.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 29 ნოემბრის N111 ბრძანებით (ცვლილება: დირექტორის 26.08.2025 წლის N00000129 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირების წესი“;
- ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი აქვს სასწავლო გარემო AC და B (მის: ქ. საგარეჯო, გ. ლეონიძის 33ა). აუდიტორიები აღჭურვილია ტექნიკური საშუალებებით და კეთილმოწყობილია. აუდიტორიებში განთავსებულია მაგიდები და სკამები, კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლებისთვის; ტელევიზორები დემონსტრირების ციფრული საშუალება; დაფები, თემატური თვალსაჩინოებები და სხვ. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დისტანციური სწავლების წესი, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 29 ნოემბრის N111 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: ბრძანება N00000129 (26.08.2025). წესი არეგულირებს დაწესებულებაში ელექტრონული პლატფორმებისა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო პროცესის დაგეგმვის, უწყვეტი და ეფექტიანი წარმართვისა და ადმინისტრირების საკითხებს. სასწავლო პროცესში გარკვეული მოდულების განსახორციელებლად დაწესებულება გამოიყენებს ZOOM პლატფორმას სასწავლო პროცესის უწყვეტი რეჟიმით დაგეგმვა-განხორციელებისთვის, თუმცა სხვა პლატფორმის გამოყენება დასაშვებია დაწესებულების დირექტორის წინასწარი თანხმობით.

დაწესებულებას გაცნობითი პრაქტიკის და საწარმოო პრაქტიკის განსახორციელებლად მემორანდუმები აქვთ გაფორმებული შემდეგ საჯარო და კერძო დაწესებულებებთან: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია და შპს სამი ფარი. ხელშეკრულების თანახმად თითოეული პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს მომსახურება გაუწიოს დაწესებულების 30 პროფესიულ სტუდენტს. პარტნიორ ორგანიზაციებში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულია გაცნობითი პრაქტიკა და საწარმოო პრაქტიკა. ხელშეკრულება გულისხმობს მხარეებს შორის ურთერთთანამშრომლობას და მიზნად ისახავს პრაქტიკული კომპონენტის გავლის, დასაქმებისა და პროფესიული უნარების განვითარების შესაძლებლობის მოძიებაში პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობას, პრაქტიკის განხორციელებისთვის საკადრო რეზერვის შექმნას და მისი სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, იმისთვის, რომ პროფესიულ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა პრაქტიკაში გამოსცადონ მიღებული თეორიული ცოდნა და უნარები და პრაქტიკული უნარების განვითარების გზით უკეთ მოემზადონ მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის.

ექსპერტები გაესაუბრნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელს, რომელიც ასევე არის „ადმინისტრაციული სერვისების" პროგრამის ხელმძღვანელი. გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და ტექნიკით და დასაქმებული კადრი შესრულებს მხარდამჭერ როლს პროფესიული სტუდენტების დაწესებულებაში ვიზიტის დროს. პრაქტიკის ობიექტი სრულად მზად არის პრაქტიკული კომპონენტის შესწავლის მიზნით მომსახურება გაუწიოს აკადემიის პროფესიულ სტუდენტებს.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ობიექტი თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

**ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია**

**2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო აღწერილობები თან ერთვის მასწავლებელთა პირად საქმეებს, რომლის მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურეობრივი ინსტრუქცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს" და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია.

პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლო პროცესის მენეჯერი სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახდენს მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები (მაგალითად, მათი დატვირთვა სხვა პროგრამის ფარგლებში). წამოდგენილ პროგრამაზე გათვალისწინებულია 21 პროფესიული განათლების მასწავლებელი, როგორც პროფესიული მოდულების, ასევე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი მოდულების განსახორციელებლად. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მდგრადობისთვის თითოეულ მოდულის სწავლებისთვის განსაზღვრულია 2-3 განმახორციელებელი პირი თითოეული მოდულისთვის. ექსპერტთა მიერ შემოწმებული იქნა პროფესიული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

**ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია**

**3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება და პრაქტიკული გამოცდილება დარგში. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით შედეგად დადგინდა, რომ ყველა მათგანი არის კვალიფიციური და გამოცდილი, იცნობენ პროგრამას, მონაწილეობდნენ მოდულების ადაპტირებაში, აქვთ ინფორმაცია მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში. მოდულების განმახორციელებლების ნაწილს გავლილი აქვთ დაწესებულების , სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგები. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი. შესაბამისად, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია,

**ინდიკატორი 2.2.1.3 მოთხოვნები შესაბამისობაშია**

**4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ განსახილველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური პირი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშობის პრაქტიკული გამოცდილება. იგი ჩართული იქნება, როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელების, ისე პროგრამის ადმინიტრირების პროცესებში. ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად პერიოდულად დაესწრება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეცადინეობებს, კომპეტენციის ფარგლებსა და ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით, ჩართული იქნება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის/ან/და ვერიფიკაციის პროცესებში. იზრუნებს პროგრამისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარებაზე. პროგრამის ხელმძღვანელის გამოცდილება და კვალიფიკაცია დასტურდება მისი პირადი საქმით, ისე გასაუბრებით, რომლის დროსაც კიდევ უფრო გამოიკვეთა მისი პროფესიონალიზმი, გამოცდილება დარგში და პროგრამის განხორციელების შემთხვევაში სასწავლო პროცესებში მისი აქტიური ჩართულობა. აქედან გამომდინარე, დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

**ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია**

**5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 29 ნოემბრის #111 ბრძანებით (ცვლილება: ბრძანება #00000129 (26/08/2025წ) დამტკიცებული „ბიბლიოთეკის დებულების“ მიხედვით დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად იქნება გამოყენებული სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. განსახილველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი (ლიტერატურა) ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიულ სტუდენტებსა და განმახორციელებლებს. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს: სამკითხველო სივრცეს, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისთვის; კომპიუტერს, რომელიც ჩართულია ინტერნეტქსელში; პრინტერს და მრავალფუნქციურ კომბაინს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალების ბეჭდვასა და სკანირებას. ბიბლიოთეკის რესურსები ორგანიზებულია ისე, რომ სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ შეუფერხებელი წვდომა სასწავლო მასალებზე. დამატებით, დაწესებულებას შეძენილი აქვს ლიცენზირებული საკანონმდებლო მაცნეს მომსახურება, რაც აძლევს სტუდენტებსა და პერსონალს შესაძლებლობას, გაეცნონ შესაბამის საკანონმდებლო დოკუმენტაციას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ დაწესებულების სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ ხელმისაწვდომი, თანამედროვე და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები. შესაბამისად, დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია.**

**6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის სწავლისა და მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა. დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ აღნიშნულ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა როგორც პროგრამით გათვალისწინებულ, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებზე (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) , რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. დაწესებულების მიერ შეთავაზებული მხარდაჭერის ღონისძიებები მოიცავს:

- სპეციალისტის ჩართულობას, რათა მოხდეს თითოეული სტუდენტის საჭიროების დეტალური შეფასება და მათი სასწავლო პროცესში ეფექტური ინტეგრაცია;
- სპეციალურად ადაპტირებული სასწავლო რესურსების უზრუნველყოფას, რომელიც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ელექტრონულ და ბეჭდურ მასალებს, ადაპტირებულ შრიფტსა და ფორმატს, ვიზუალური აღქმის გამარტივებულ საშუალებებს;
- დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და სივრცის მორგებას, რათა უზრუნველყოს სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება და სრულფასოვანი ჩართულობა სასწავლო პროცესში;
- სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერის გაწევას, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მენტორული დახმარების ორგანიზებას. ინდივიდუალური გეგმის შემუშავების რეგულაცია გაწერილია დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულ "სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის" 43 მუხლში
- ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, რაც მოიცავს პროცედურების გამარტივებას და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას
- სხვა დამატებით ღონისძიებებს, რომლებიც განისაზღვრება ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო რესურსების ადაპტაციას, რათა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ინფორმაცია ხელმისაწვდომ ფორმატში. დაწესებულების ბიბლიოთეკა ვალდებულია უზრუნველყოს: საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონული ვერსიების შექმნა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს მიეწოდება მისთვის მოსახერხებელ ფორმატში, ბეჭდური რესურსების ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით ადაპტირება, მათ შორის შრიფტის ზომის და სტილის ოპტიმიზაცია; საგანმანათლებლო რესურსების შინაარსობრივი ადაპტირება, რაც მოიცავს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის ხელშეწყობასა და სხვა შესაბამის ცვლილებებს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარდა ამისა, შეზღუდული შესაძლებლობის ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სასწავლო პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, აღნიშნული პირები შესაძლოა დაიშვან მოდულებზე მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე, იმ პირობით, რომ მათი სასწავლო წარმატების უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებული იქნება შესაბამისი დამატებითი ღონისძიებები.
ამ მიდგომის გათვალისწინებით, დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიურ და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ყველა სტუდენტს საშუალებას აძლევს სრულფასოვნად განავითაროს თავისი უნარები და მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება.

**ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია**

**7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ადმინისტრაციული სერვისების “ პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლის და ხარჯები სახეობა. შემოსავლების სახეობად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტის ვაუჩერი და სწავლის საფასური. ხარჯებს ნაწილში გაწერილია: საიჯარო გადასახადი, სასწავლო სატრანსპორტო ხარჯი, სასწავლო მასალები, მასწავლების და ადმინისტრაციის ანაზღაურება, საკანცელარიო ხარჯი, რეკლამის ხარჯი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხარჯი, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ხარჯი, რენტაბელობის ზღვრად მიჩნეულია 18 სტუდენტი.

**ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ილია-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 აგვისტოს N126 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები”, (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 29 ნოემბრის #111 ბრძანებით (ცვლილება: ბრძანება #00000129 (26/08/2025წ) დამტკიცებული „ბიბლიოთეკის დებულება“
- კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 29 ნოემბრის #111 ბრძანებით (ცვლილება: ბრძანება #00000129 (26/08/2025წ) დამტკიცებული „ფინანსური რესურსების დაგეგმვის, გამოყენებისა და მონიტორინგის წესი“;
- დისტანციური სწავლების წესი ( დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 29 ნოემბრის N111 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: ბრძანება N00000129 (26.08.2025)).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვები;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები;
- კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 29 ნოემბრის #111 ბრძანებით (ცვლილება: ბრძანება #00000129 (26/08/2025წ) დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი,
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ ადმინისტრაციული სერვისები“
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დაწესებულების პარტნიორებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

3. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია“ (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.)) მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რომელიც ეფუძნება ხარისხის მართვის ციკლურ მოდელს (დემინგის ციკლი: დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე) და უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობასა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების გარემოს განვითარებას. შეფასების პროცესი მოიცავს როგორც შიდა, ისე გარე მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს და ხორციელდება რეგულარულად, ასევე საჭიროების შემთხვევაში – საგანგებო გარემოებების არსებობისას. შეფასების საფუძვლად გამოიყენება: პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგები, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების ხარისხი და დასაქმების მაჩვენებლები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებები, დამსაქმებელთა და პარტნიორი ორგანიზაციების უკუკავშირი, შრომის ბაზრის ტენდენციები და მოთხოვნები, საგანმანათლებლო სტანდარტებში განხორციელებული ცვლილებები, გარე შეფასებებისა და ექსპერტიზის დასკვნები და სხვა შესაბამისი მონაცემები. შეფასების შედეგების საფუძველზე დაწესებულება აიდენტიფიცირებს პროგრამის ძლიერ და გასაუმჯობესებელ ასპექტებს, ამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს. პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილეობენ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი (პროცესის მონიტორინგის ნაწილში), პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის განმახორციელებელი პირები და საჭიროების შემთხვევაში – სხვა დაინტერესებული მხარეები. შესაბამისად, აღნიშნული მექანიზმი სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირთან და ხარისხის მართვის პრინციპებთან შესაბამის შეფასებასა და განვითარებას.

**ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია**

**2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №111, 29.11.2023 წ.; (ცვლილება: №00000129, 26.08.2025 წ.)), რომელიც განსაზღვრავს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზისა და მათი საფუძველზე ცვლილებების განხორციელების წესებსა და პროცედურებს. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება შეფასების შედეგების, შრომის ბაზრის ტენდენციების, საგანმანათლებლო სტანდარტებსა და პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებების, ტექნოლოგიური და სხვა რელევანტური ფაქტორების საფუძველზე. ცვლილების ინიცირება შესაძლებელია დირექტორის, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, სასწავლო პროცესის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამის განმახორციელებელი პირის ან პარტნიორი ორგანიზაციის მხრიდან. ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს მოდულის დამატებას ან ამოღებას, მოდულის შინაარსის ან სწავლების მეთოდების განახლებას, სასწავლო გეგმის კორექტირებას, პროგრამის მიზნებისა და შედეგების გადახედვას, საგანმანათლებლო რესურსებისა და თემატიკის განახლებას და სხვა შესაბამის ცვლილებებს. ცვლილებების განხორციელება ხდება სამუშაო ჯგუფის მეშვეობით, რომელიც ადგენს ცვლილების საჭიროებებს, ამზადებს შესაბამის დოკუმენტაციას და წარადგენს დირექტორისთვის დამტკიცების მიზნით. სამუშაო ჯგუფის ფორმირება ხდება დირექტორის ბრძანებით ან პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით. ცვლილებები თანხვედრაში უნდა იყოს პროგრამის მიზნებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებთან. პროგრამის განხორციელებისას უზრუნველყოფილია სტუდენტთა ინტერესების დაცვა და სწავლის უწყვეტობა. აღსანიშნავია, რომ პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“დაწესებულება ახლა იმატებს და შესაბამისად, მექანიზმის პრაქტიკაში განხორციელების შეფასება ამ ეტაპზე ექსპერტთა მხრიდან არ მომხდარა.

**ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია“ (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.)
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 22 აგვისტოს #126 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“ მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. ექსპერტებისთვის წარდგენილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის სასწავლო ცხრილი, რომელიც შესაბამისობაშია სასწავლო გეგმასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

**ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დაწესებულება მოქნილად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე. აღნიშნული გათვალისწინებულია დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. დაწესებულებაში არსებული თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი იძლევა საშუალებას ყველა პროფესიული სტუდენტი უზრუნველყოფილი იყოს განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში შემუშავებულია მექანიზმები, რომლის მიხედვითაც შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად ხდება პროფესიული სტუდენტის საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმის შემუშავება. ის ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს/ მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასების მიზნით ჩატარდა გასაუბრებები ადმინისტრაციის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და მასწავლებლებთან. ადმინისტრაციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება იმოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და მაქსიმალურად გაითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. არსებული მექანიზმები, მათ შორის სასწავლო პროცესის რეგულაციები, ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის რეგულაცია, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები და სასწავლო ცხრილის ადაპტაციის შესაძლებლობა, ხელს უწყობს სტუდენტების საჭიროებებზე დროულ რეაგირებას. ჩართული მხარეების (ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელები, მასწავლებლები) შეფასებები ადასტურებს, რომ დაწესებულებაში პროცესი გამჭვირვალედ და ეფექტურად წარიმართება. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

**ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია**

**3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

პროგრამის განხორციელების შემთხვევაში დაწესებულება აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელთან და მასწავლებლებთან, რომელთა შეფასებები დადებითია. პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებელმა პირებმა აღნიშნეს, რომ სწავლების მეთოდოლოგია რეგულარულად გადაისინჯება და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განავითარებენ თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს. ადგილზე დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს,მოდულებში გამოყენებულია სწავლების აქტიური მეთოდები: ინტერაქციული ლექცია, სემინარი, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით და სხვა. სასწავლო პროცესში გამოიყენებულ იქნება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორიები შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას. საბიბლიოთეკო რესურსების შემოწმების დროს გადამოწმდა სასწავლო მასალები და რესურსები, რომელიც ელექტრონულადაც ხელმისაწვდომია, რაც გაზრდის სტუდენტების შესაძლებლობას, გაიმყარონ მიღებული ცოდნა და დამოუკიდებლად იმუშაონ.

შეფასების პროცესის შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულება სრულად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

**ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია**

**4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

დაწესებულება სწავლების პროცესში გაითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს მათთვის შესაბამისი პირობების შექმნას პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდება ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და განსაზღვრავს სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებსა და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. „სასწავლო პროცესის მართვის წესის" მიხედვით, პროფესიულ სტუდენტს ინდივიდუალურ რეჟიმში შეუძლია კომპონენტის გავლა შემდეგ შემთხვევებში: თუ დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების შედეგის გათვალისწინებით ვერ მიიღო დადებითი შეფასება არარენტაბელური ჯგუფის ფორმირების შემთხვევაში, როცა დაწესებულება ვალდებულია სტუდენტს გაატაროს შესაბამისი კომპონენტი, სტატუსშეჩერებული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის შემდეგ, პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში ცალკეული კომპონენტების გაუვლელობის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არ ხდება სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა, მიღებული ფორმალური განათლების აღიარების შედეგად დარჩენილი კომპონენტის გავლისას, მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების შედეგად დარჩენილი კომპონენტის გავლისას, შიდა ან გარე მობილობის შემთხვევაში. აღნიშნულ შემთხვევებში სასწავლო პროცესის დაგეგმვის საფუძველია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული ან სტატუს აღდგენილი სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას და მათი სწავლის პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფას.

**ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია**

**5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

5.დაწესებულებას გაცნობითი პრაქტიკის და საწარმოო პრაქტიკის განსახორციელებლად მემორანდუმები აქვს გაფორმებული შემდეგ დაწესებულებებთან: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია და შპს სამი ფარა. ხელშეკრულების თანახმად პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს მომსახურება გაუწიოს  დაწესებულების 30 პროფესიულ სტუდენტს. პარტნიორ ორგანიზაციებში გათვალისწინებულია გაცნობითი პრაქტიკის და და საწარმოო პრაქტიკის განხორციელება.

ხელშეკრულება გულისხმობს მხარეებს შორის ურთერთთანამშრომლობას და მიზნად ისახავს პრაქტიკული კომპონენტის გავლის, დასაქმებისა და პროფესიული უნარების  განვითარების შესაძლებლობის მოძიებაში პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობას, პრაქტიკის განხორციელებისთვის საკადრო რეზერვის შექმნას და მისი სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, იმისთვის, რომ დაწესებულების პროფესიულ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა პრაქტიკაში გამოსცადონ მიღებული თეორიული ცოდნა და უნარები და პრატქიკული უნარების განვითარების გზით უკეთ მოემზადონ მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის. ექსპერტები გაესაუბრნენ ერთ-ერთი პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელს. გასაუბრებიდან დადგინდა, რომ დაწესებულება აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და ტექნიკურად სათანადოდ და დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. პრაქტიკის ობიექტები მზად არიან პრაქტიკული კომპონენტის შესწავლის მიზნით მომსახურება გაუწიოს დაწესებულების პროფესიულ სტუდენტებს. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებთან, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებებით და პრაქტიკის განმახორციელებლებთან ინტერვიუებით.

**ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისობაშია**

**6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

შპს ილია-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მიერ 2023 წლის 29 ნოემბრის N111 ბრძანებით (ცვლილება: N 00000129- 26/08/2025) დამტკიცებულია მატერიალური რესურსების განკარგვის წესი, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, ნარჩენების მართვის წესი, პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები, რომელიც დაწესებულებამ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოადგინა. ბარჩენების მართვის უტილიზაცია ხორციელდება “ნარჩენების მართვის წესის” მიხედვით უტილიზაციის კომპანიის მიერ. ( 2025 წლის 25 ივნისის ხელშეკრულება შპს „ეკომედთან“). ამასთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა 2024 წლის 11 იანვარს გაცემული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემისა და მოწყობილობების გამოცდის აქტი, სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების სახანძრო სიგნალიზაციის მდგომარეობის შეფასების და ხანძრის დრის ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემის შეფასების შესახებ. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, რომლის მიზანია სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშესაწყობად უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას. დაწესებულებას აყვანილი ყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მიერ 2023 წლის 29 ნოემბრის N111 ბრძანებით (ცვლილება: N 00000129- 26/08/2025);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ დამტკიცების ბრძანება - #126 22.08.2025;
- მატერიალური რესურსების განკარგვის წესი (შპს ილია-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მიერ 2023 წლის 29 ნოემბრის N111 ბრძანებით (ცვლილება: N 00000129- 26/08/2025) დამტკიცებული)
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები
- შპს ეკომედთან გაფორმებული ხელშეკრულება 25.06.2025
- ნარჩენების მართვის წესი კოლეჯის დირექტორის მიერ 2023 წლის 29 ნოემბრის N111 ბრძანებით (ცვლილება: N 00000129- 26/08/2025) დამტკიცებული)
- პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები
- პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ორგანიზაციები დადებული ხელშეკრულებებით;
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან.
- კოლეჯის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა.
- კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სერტიფიკატი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 2024 წლის 11 იანვარს გაცემული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემისა და მოწყობილობების გამოცდის აქტი;
- მემორანდუმი დამსაქმებლებთან.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას
1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**
დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მართვის წესი“ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №111, 29.11.2023 წ.; ცვლილება: №00000129, 26.08.2025 წ.), რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის პრინციპებსა და განხორციელების წესს. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლების შედეგების ობიექტურ და სამართლიან დადასტურებას და ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი დარგის სპეციალისტთან ერთად (საჭიროების შემთხვევაში პროცესში შეიძლება ჩაერთოს მოწვეული გარე ექსპერტი/ვალიდატორი). ვალიდაცია ტარდება შეფასების ჩატარებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე. შეფასების ინსტრუმენტის პროექტი, საჭიროების შემთხვევაში, უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს ან სამუშაო ჯგუფს რეკომენდაციებისა და შენიშვნების გასათვალისწინებლად, რომლებიც ვალდებულნი არიან განახორციელონ შესაბამისი შესწორებები მოკლე ვადაში. ვალიდაციის პროცესი დოკუმენტირდება სპეციალური კითხვარის მეშვეობით, რომელსაც ხელს აწერენ სასწავლო პროცესის მენეჯერი და ვალიდაციაში ჩართული დარგის სპეციალისტი. ვალიდურად მიიჩნევა მხოლოდ ის ინსტრუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს, და შეფასების მიზნებისთვის გამოიყენება მხოლოდ ასეთი ვალიდური შეფასების ინსტრუმენტი.
აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას, რაც სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 2.4.2.1 შესაბამისობაშია**

**2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023 წ.; (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025 წ.)), რომლის მე-14 მუხლი არეგულირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, წინასწარ შემუშავებული ფორმების საფუძველზე. პროცესში მონაწილეობენ ორი მიმართულების ვერიფიკატორები:განათლების მიმართულებით ვერიფიკატორი და დარგის მიმართულებით ვერიფიკატორი. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, ვერიფიკატორი არ მონაწილეობს იმ ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციაში, რომელთა შექმნასა ან ვალიდაციაში თავად იყო ჩართული. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოთხოვნით იწვევს შესაბამისი დარგის სპეციალისტს. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი დირექტორს წარუდგენს ვერიფიკაციის გეგმის პროექტს და საჭირო დოკუმენტაციას დასამტკიცებლად. დამტკიცების შემდეგ, დირექტორი ქმნის ვერიფიკაციის ჯგუფს და განსაზღვრავს მის ხელმძღვანელს. ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით:

- გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;
- შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაცია არის შერჩევითი პროცესი და ეფუძნება რისკების ანალიზს. რისკის ფაქტორებად განიხილება დამწყები პროფესიული მასწავლებლის ფაქტორი, პირველადი შეფასებისას ერთნაირი შედეგების მიღება ყველა სტუდენტისთვის, ან სხვა გარემოებები, რომლებიც ზრდის შეუსაბამობის ალბათობას. შერჩევა შეიძლება მოიცავდეს საერთო მტკიცებულებების 15–20%-ს ან სხვა მოცულობას, რაც განისაზღვრება რისკების ანალიზის საფუძველზე. ვერიფიკაციის შედეგები ფორმდება დასკვნაში, სადაც აისახება შეფასების ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, ობიექტურობა, გამოვლენილი პრობლემური საკითხები და რეკომენდაციები პროცესების გაუმჯობესებისთვის. დასკვნის განხილვაში მონაწილეობენ მასწავლებლები, თანამშრომლები, დარგის ექსპერტები, დამსაქმებლები და პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები. განხილვის შედეგად მუშავდება სამოქმედო გეგმა პრობლემების აღმოსაფხვრელად, განისაზღვრება ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსები. ფართომასშტაბიანი საკითხების შემთხვევაში, სამოქმედო გეგმა შეიძლება გახდეს წლიური გეგმის ნაწილი, ხოლო ინდივიდუალური შემთხვევებისას, ცალკე დოკუმენტი. გეგმის შესრულება ექვემდებარება მონიტორინგს. განმეორებითი ვერიფიკაცია ტარდება ახალი ინსტრუმენტების შექმნისას, არსებულებში ცვლილებების შეტანისას, განმახორციელებელი პირის შეცვლისას ან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვა მნიშვნელოვანი გარემოებებისას. ცვლილებების ინიცირების უფლება აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის წევრს, სასწავლო პროცესის მენეჯერს და პროგრამის განმახორციელებელ პირს. ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, ინსტრუმენტები თავიდან გადიან ვალიდაციის პროცესს.დაწესებულება ახლა იმატებს აღნიშნულ პროგრამას, შესაბამისად ექსპერტთა მხრიდან ვერ განხორციელდა აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკაში განხორიცელების მტკიცებულებების შესწავლა.

**ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია**

**3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მართვის წესი“ (დამტ .ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ)), რომელიც განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების აღრიცხვისა,შენახვის წესებსა და ვადებს. აღნიშნული წესის 58-ე მუხლის 58.3 პუნქტის მიხედვით, შეფასების მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რის შემდეგაც ხდება მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ან შენარჩუნება საგანმანათლებლო მიზნებისთვის, ან გადაცემა ავტორს. პუნქტის 58.4 თანახმად, შეფასების პროცესში შექმნილი მალფუჭებადი პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს კონკრეტული მოდულის სწავლის შედეგის დადასტურების მტკიცებულებას, ფიქსირდება სპეციალურ ფორმულარში. აღნიშნულ ფორმულარში აისახება მოდულის დასახელება, სასწავლო შედეგი, შემსრულებელი პირი, მოდულის განმახორციელებელი, თარიღი და სხვა შესაბამისი მონაცემები. პროდუქტის ფოტომასალა ფორმულართან ერთად ინახება კოლეჯში შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რის შემდეგაც მტკიცებულება ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ან რჩება დაწესებულებაში საგანმანათლებლო მიზნებისთვის/გადაეცემა ავტორს.

58.5 პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას შექმნილი ელექტრონული პროდუქტი, რომელიც დაკავშირებულია სწავლის შედეგის დადასტურებასთან, ინახება ციფრულ მატარებელზე იგივე პრინციპით შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, შემდგომში მისი განადგურება ან შენარჩუნება ხორციელდება ზემოაღნიშნული წესით. აღნიშნული პროცედურები უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, მტკიცებულებათა სათანადო აღრიცხვასა და შენახვას დადგენილ ვადებში.

**ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია**

**4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება გამოიყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას პროფესიულ სტუდენტთა განვითარების ხელშეწყობისთვის. ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამის განმახორციელებელი პირები დანერგავენ ახალი მიდგომებს და ინიციატივებს, რომლებიც ხელს შეუწყობს როგორც მეთოდების გაუმჯობესებას, ისე შეფასების სისტემის დახვეწას. დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის რეგულირდება კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის საშუალებით. დაწესებულება ზრუნავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით განავითაროს პროფესიული სტუდენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციები.

განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს ზოგადად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის შეფასებასაც. პროფესიული პროფესიულ სტუდენტები მოახდენენ საკუთარი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების ხარისხის მონიტორინგს, ხოლო პროგრამის განმახორციელებელი პირები მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მიიღებენ ჩატარებული საქმიანობის უკუკავშირს, რათა მომავალში გაითვალისწინონ და გააუმჯობესონ სწავლების მიდგომები. ასევე, განმავითარებელი შეფასების პროცესი იქნება ერთგვარი მომზადება შუალედური და განმსაზღვრელი შეფასებისათვის. დაწესებულების მიერ შუალედური შეფასების განხორციელება მიიჩნევა პროფესიული სტუდენტების და ასევე სასწავლო პროცესის ხარისხის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ საშუალებად.

**ინდიკატორი 2.4.2.4. შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მართვის წესი (დამტ.ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ).
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023 წ.; ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025 წ.)
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | აღმზრდელი |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0112 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცებულია შპს ილია –ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 05.09.2018 წლის #54 ბრძანებით |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | საგარეჯო, ლეონიძის ქ. 33ა |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალური სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | – |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 116 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | – |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 146 |

IV. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული  რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.*

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული  რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული  რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |

დასაბუთება
..........................................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................................
............................

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
*ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურა განსაზღვრულია დაწესებულების დირექტორის მიერ 2023 წლის 29 ნოემბრის # 111 ბრძანებით (ცვლილება 26.08.2025 #00000129) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით". აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, პროფესიული პროგრამის შემუშავება ხდება პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის მიერ, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი, შემადგენლობაში შედიან: პროგრამის ინიციატორი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პრაქტიკის მენეჯერი, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებლები და სხვა.
სამუშაო ჯგუფს ევალება შეისწავლოს შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტი/ჩარჩო დოკუმენტი, განსაზღვროს პროგრამის სახელწოდება, რომელიც უნდა შეესაბამებებოდეს პროგრამის შინაარსს/ პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს, განახორციელოს საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული მოდულების ადაპტირება და განსაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამისთვის არჩევითი მოდულ(ებ)ი (იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საგანმანათლებლო სტანდარტი იძლევა არჩევითი მოდულების ინტეგრირების შესაძლებლობას), მოიძიოს და განახორციელოს წინასწარი შეთანხმება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან/პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.
მას შემდეგ რაც განისაზღვრება/შეირჩევა პროფესიული მასწავლებელი/განმახორციელებელი პირი ამა თუ იმ მოდულისათვის/შედეგისათვის, ჯგუფი უფლებამოსილია იგი ჩართოს პროგრამის შემუშავების ჯგუფში. სამუშაო ჯგუფი ასევე ახორციელებს კოლეჯის მფლობელობაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არსებული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსის შედარებას საგანმანათლებლო სტანდარტში/მოდულში მოცემულ ტექნიკური აღჭურვილობის სარეკომენდაციო ჩამონათვალთან და ადგენს მოსაძიებელი/შესასყიდი რესურსის სიას და დაახლოებით ხარჯთაღრიცხვას. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ პროგრამ(ებ)ის საბოლოო პროექტ(ებ)ს, მონიტორინგის მიზნით, ეცნობა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომლის დასტურის შემთხვევაში პროფესიული პროგრამის პროექტი დასამტკიცებლად გადაეცემა დაწესებულების დირექტორს.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად დაწესებულებამ პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების პროცესში იხელმძღვანელა სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევების ანალიზით. აღნიშნულ კვლევებში გაანალიზებულია დასაქმებისა და უმუშევრობის დინამიკა საქართველოს მასშტაბით, მათ შორის სექტორული, ასაკობრივი, გენდერული და რეგიონული ჭრილში. კვლევები ასევე განიხილავს შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტებს და განსაზღვრავს ძირითად ეკონომიკურ სექტორებს, სადაც მომდევნო წლებში მოსალოდნელია ეკონომიკური აქტივობისა და დასაქმების ზრდა. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის ანალიზმა დაწესებულებას შესაძლებლობა მისცა გამოავლინოს შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციები და მოთხოვნები, რაც თავის მხრივ, საფუძვლად დაედო აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას.

დაწესებულება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას ასაბუთებს ასევე იმ გარემოებით, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 30 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც აღმზრდელ-პედაგოგების დიდი ნაწილი შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომის გარეშე მუშაობს, აქედან გამომდინარე, დაწესებულების არსებობა და აღნიშნული პროგრამის განხორციელება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

დაწესებულების მისიაა: ადგილობრივი და ეროვნული შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული, კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, სოციალური ჩართულობის ზრდასა და ინდივიდის პიროვნულ-პროფესიულ წინსვლას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

**ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი" დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 29 ნოემბრის #111 (ცვლილება 26.08.2025წ. #00000129) ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" არეგულირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და შერჩევის, ზოგადად, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, დაწესებულების დირექტორი, ყოველწლიურად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, განსაზღვრავს აპლიკანტთა შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს. ასევე, რეგულაცია ითვალისწინებს სსსმ პირთა შერჩევის პროცედურის თავისებურებებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

**ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია**

**3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მიერ 2023 წლის 29 ნოემბრის №111 (ცვლილება: 26.08.2025წ. №00000129) ბრძანებით დამტკიცებული„პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის" მიხედვით, კვოტის განსაზღვრისას დაწესებულება ითვალისწინებს: სასწავლო გარემოს ოდენობას, ფართო ( სტანდარტის მოთხოვნის შემთხვევაში) და მატერიალურ რესურსს, ადამიანური რესურსის ოდენობას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომას, მათ შორის, პარტნიორი კომპანიის მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობას, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით რენტაბელობის ზღვარს და სხვა ისეთ დამატებით ფაქტორებს, როგორიცაა: სხვადასხვა ცვლაში სწავლების შესაძლებლობა, პროგრამის მოთხოვნადობა შრომის ბაზარსა და აპლიკანტთა მხრიდან. გამომდინარე აქედან დასტურდება, რომ დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

**ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია**

**4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

**ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია**

**5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

არჩევითი მოდულები არ აქვს

**ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისობასია**

**6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 05 სექტემბრის N 54 ბრძანებით (ცვლილება 25.08.2025 #128). დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 29 ნოემბრის # 111 ბრძანებით (ცვლილება 26.08.2025 #00000129) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგიის“ მიხედვით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დგინდება რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

**ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია**

**7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება თანხვედრაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან და კვალიფიკაციასთან. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის სახელწოდებაა „აღმზრდელი“ პროგრამა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „აღმზრდელი“ საფუძველზე და მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი
**ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია**

**8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული "აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, სტუქტურა და მოდულები, მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით.სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 116 კრედიტია, აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11 (3 მოდული), პროფესიული/დარგობრივი მოდულების 105 კრედიტი (24 მოდული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 146 კრედიტია. დასტურდება, რომ პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
**ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მისია, ხედვა, სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელის“ სრული პაკეტი;
- ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
- 2023 წლის 29 ნოემბრის №111 (ცვლილება: 26.08.2025წ. №00000129) ბრძანებით დამტკიცებული „ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით**

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**
ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი " განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს:

- A სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი 2 აუდიტორია (№107; №204) ჯამში ორივე აუდიტორიაში განთავსებულია: მაგიდა და სკამი 33 პროფესიულ სტუდენტზე, კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის 2ც; მონიტორი - 2 ც; დაფა - 2ც; კარადა რესურსებისთვის, ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები.
- B სასწავლო გარემო - 1 აუდიტორია №110 - კომპიუტერული კლასი 15 პროფესიულ სტუდენტზე, შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერით, მაგიდებითა და სკამით პროფესიული სტუდენტებისთვის. აუდიტორიაში განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც; პროფესიული მასწავლებლის მაგიდა და სკამი - 1ც; დემონსტრირების საშუალება - 1 ც; ქსელური პრინტერი - 1 ც; ფლეშმეხსიერება -1 ც; დაფა - 1ც. საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი" ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის შემცველი ორი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება" და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება". პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ააიპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებასთან, რომლის შემადგენლობაშიც შედის 30 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება.

ხელშეკრულების თანახმად გაერთიანება უზრუნველყოფს პრაქტიკის კომპონენტის გავლას მის მიერ შერჩეულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან. კონკრეტული ლოკაცია შეირჩევა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ, რომელიც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტების შესამაბის პრაქტიკის ობიექტებზე გადანაწილებას. (ერთ მიღებაზე არაუმეტეს 30 პროფესიული სტუდენტი).
პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულების პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ერთ–ერთი პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მის დაწესებულებას უკვე აქვს გამოცდილება პრაქტიკული კომპონენტის გავლით უზრუნველყოს დაწესებულების პროფესიული სტუდენტების მომსახურება, აღნიშნული ბაგა–ბაღი სამ ჯგუფიანია, პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაცვლეობით გადანაწილდნენ ბავშვთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, დააკვირდნენ სააღმზრდელო პროცესს, მონაწილეობა მიიღონ დღის განრიგის, კვირის გეგმებისა და ბავშვთა დაკვირვება შეფასების ფორმების შევსებაში, მათ საშუალება აქვთ ასევე დამოუკიდებლად დაგეგმონ აქტივობები და დაწესებულების პერსონალის დახმარებით, წარმოადგინონ პრეზენტაცია გავლილი თემის ირგვლივ. ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
**ინდიკატორი 2.2.1.1.შესაბამისობაშია**

**2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 19 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, აქედან 9 პროფესიული მოდულის, 8 ზოგადი და 2 ქართული ენის მოდულების განმახორციელებელი პირი, რომლებთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. თითოეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა და უფლება მოვალეობები, მოდულების დასახელება, რომლის განსახორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს, სამუშაოს ანაზღაურების, შვებულებისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები. პროფესიულ მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო კომპეტენცია და უნარები განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
**ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს, გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორც დაწესებულების ასევე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით. მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

**ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია**

**4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. აღნიშნულ პირს აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება.

პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში (13.01.2025წ. #03). პოგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო კომპეტენცია და უნარები განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართით. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, გათავისებული აქვს მისი ფუნქცია-მოვალეობები, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდეს პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, მეცადინეობებზე პერიოდულად ესწრებოდეს პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული იყოს შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში და მის განვითარებაში. საგანმანათლებლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

**ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია**

**5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

დაწესებულებაში მოწყობილია ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი, სადაც გათვასებულია სასწავლო რესურსი როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული სახით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის, სამუშაო მაგიდა და 1 კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, ასევე 1 ასლგადამღები წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში მოქმედებს დაწესებულების მიერ დამტკიცებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის და გამოკრულია ბიბლიოთეკაში. კოლეჯის რეგულაციების მიხედვით, თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკითა და ინტერნეტრესურსებით. აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

**ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია**

**6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

დაწესებულებას სასწავლო პროცესის მართვის წესში (დამტ.ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ)). გაწერილი აქვს სასწავლო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს:

- სპეციალისტის მოწვევას;
- საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფას; (საგანმანათლებლო რესურსის ამობეჭდვას პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტით და სხვა მახასიათებლებით; საგანმანათლებლო რესურსის შინაარსობრივ ცვლილებას და მის მორგებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე, რაც გულისხმობს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის შესაძლებლობას და სხვა.)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილების ხელშეწყობას ( ხელჯოხით უსაფრთხოდ გადაადგილების სწავლებას სპეციალისტის ჩართულობით)
- სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერას;
- ადმინისტრაციული მხარდაჭერას
- სხვა ღონისძიება, საჭიროების მიხედვით .

**ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისობაშია**

**7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „აღმზრდელის " პროგრამის ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლის და ხარჯები სახეობა. შემოსავლების სახეობად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტის ვაუჩერი და სწავლის საფასური. ხარჯებს ნაწილში გაწერილია: საიჯარო გადასახადი, სასწავლო სატრანსპორტო ხარჯი, სასწავლო მასალები, მასწავლების და ადმინისტრაციის ანაზღაურება, საკანცელარიო ხარჯი, რეკლამის ხარჯი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხარჯი, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ხარჯი,. რენტაბელობის ზღვრად მიჩნეულია 7 სტუდენტი.

**ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „აღმზრდელი"
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები/ შრომითი ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროფესიულ განათლების მასწავლებელთა ტრენინგებზე დასწრების მტკიცებულებები;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"
- ბიუჯეტის ფორმა;
- გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

2.3.1პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია“ (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ).) მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რომელიც ეფუძნება ხარისხის მართვის ციკლურ მოდელს (დემინგის ციკლი: დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე) და უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობასა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების გარემოს განვითარებას. შეფასების პროცესი მოიცავს როგორც შიდა, ისე გარე მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს და ხორციელდება რეგულარულად, ასევე საჭიროების შემთხვევაში – საგანგებო გარემოებების არსებობისას. შეფასების საფუძვლად გამოიყენება: პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგები, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების ხარისხი და დასაქმების მაჩვენებლები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასებები, დამსაქმებელთა და პარტნიორი ორგანიზაციების უკუკავშირი, შრომის ბაზრის ტენდენციები და მოთხოვნები, საგანმანათლებლო სტანდარტებში განხორციელებული ცვლილებები, გარე შეფასებებისა და ექსპერტიზის დასკვნები და სხვა შესაბამისი მონაცემები. შეფასების შედეგების საფუძველზე დაწესებულება აიდენტიფიცირებს პროგრამის ძლიერ და გასაუმჯობესებელ ასპექტებს, ამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს. პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილეობენ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი (პროცესის მონიტორინგის ნაწილში), პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის განმახორციელებელი პირები და საჭიროების შემთხვევაში – სხვა დაინტერესებული მხარეები. შესაბამისად, აღნიშნული მექანიზმი სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირთან და ხარისხის მართვის პრინციპებთან შესაბამის შეფასებასა და განვითარებას.

**ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია**

**2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №111, 29.11.2023 წ.;( ცვლილება: №00000129, 26.08.2025 წ.)), რომელიც განსაზღვრავს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზისა და მათი საფუძველზე ცვლილებების განხორციელების წესებსა და პროცედურებს. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება შეფასების შედეგების, შრომის ბაზრის ტენდენციების, საგანმანათლებლო სტანდარტებსა და პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებების, ტექნოლოგიური და სხვა რელევანტური ფაქტორების საფუძველზე. ცვლილების ინიცირება შესაძლებელია დირექტორის, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, სასწავლო პროცესის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამის განმახორციელებელი პირის ან პარტნიორი ორგანიზაციის მხრიდან. ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს მოდულის დამატებას ან ამოღებას, მოდულის შინაარსის ან სწავლების მეთოდების განახლებას, სასწავლო გეგმის კორექტირებას, პროგრამის მიზნებისა და შედეგების გადახედვას, საგანმანათლებლო რესურსებისა და თემატიკის განახლებას და სხვა შესაბამის ცვლილებებს. ცვლილებების განხორციელება ხდება სამუშაო ჯგუფის მეშვეობით, რომელიც ადგენს ცვლილების საჭიროებებს, ამზადებს შესაბამის დოკუმენტაციას და წარადგენს დირექტორისთვის დამტკიცების მიზნით. სამუშაო ჯგუფის ფორმირება ხდება დირექტორის ბრძანებით ან პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით. ცვლილებები თანხვედრაში უნდა იყოს პროგრამის მიზნებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებთან. პროგრამის განხორციელებისას უზრუნველყოფილია სტუდენტთა ინტერესების დაცვა და სწავლის უწყვეტობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია“ (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.)
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას**

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „აღმზრდელს " თან ახლავს სასწავლო გეგმები პროგრამის ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს არაინტეგირებული მიდგომით. სწავლის ხანგრძლივობა წარმოდგენილი გეგმებით შეადგენს: ქართულენოვანი კონტინგენტისთვის : 80 სასწავლო კვირა (116 კრედიტი), არაქართულენოვანი კონტინგენტისთვის 112 სასწავლო კვირა 146 კრედიტი). სასწავლო გეგმით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას, კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების განხორციელებისთვის ლოგიკური თანმიმდევრობა და დადასტურების/განმეორებითი დადასტურებისთვის ვადები.

**ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია**

**2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

დაწესებულება სასწავლო პროცესს გეგმავს და ახორციელებს პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, სადაც მათ აწვდიან სრულ ინფორმაციას პროგრამის შინაარსზე, სწავლის პირობებსა და შესაძლებლობებზე, ასევე მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში განხორციელდება ცვლილება ან მოხდება მისი შეწყვეტა, დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის განათლების გაგრძელების შესაძლებლობას. დაწესებულება ოპერატიულად რეაგირებს სტუდენტების საჭიროებებზე და მაქსიმალურ მხარდაჭერას უწევს სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე.

**ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია**

**3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

პროგრამის შესაბამისი სასწავლო რესურსი და მატერიალური ბაზა იძლევა იმის გარანტიას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით. პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროგრამის ხელმძღვანელის და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით, ასევე ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები. როგორც უკვე აღინიშნა, პროფესიულ მასწავლებლებს გავლილი აქვთ არა ერთი ტრენინგი სწავლების მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით. შესაბამისად გამოიყენებული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

**ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისობაშია**

**4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

დაწესებულება სწავლების პროცესში გაითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს მათთვის შესაბამისი პირობების შექმნას პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდება ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და განსაზღვრავს სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებსა და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. „სასწავლო პროცესის მართვის წესის“ მიხედვით, პროფესიულ სტუდენტს ინდივიდუალურ რეჟიმში შეუძლია კომპონენტის გავლა შემდეგ შემთხვევებში: თუ დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების შედეგის გათვალისწინებით ვერ მიიღო დადებითი შეფასება, არარენტაბელური ჯგუფის ფორმირების შემთხვევაში, როცა დაწესებულება ვალდებულია სტუდენტს გაატაროს შესაბამისი კომპონენტი, სტატუსშეჩერებული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის შემდეგ, პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში ცალკეული კომპონენტების გაუვლელობის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არ ხდება სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა, , მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების შედეგად დარჩენილი კომპონენტის გავლისას, შიდა ან გარე მობილობის შემთხვევაში. აღნიშნულ შემთხვევებში სასწავლო პროცესის დაგეგმვის საფუძველია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული ან სტატუს აღდგენილი სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას და მათი სწავლის პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფას.

**ინდიკატორი 2.4.1.4 შესაბამისობაშია**

**5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ააიპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებათა გაერთიანებასთან. პარტნიორ ორგანიზაციაში გათვალსიწინებულია შემდეგი სწავლის შედეგების გატანა:

1. დაკვირვება და შეფასება ადრეულ სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში (სწავლის შედეგი II, III, IV ჯამში 112 საათი)

3. პრაქტიკული პროექტი სკოლამდელი აღზრდა და განათლება (სწავლის შედეგი I, II, III, IV, V, VI ჯამში 300 საათი)

მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობის გათვალისწინებით ჯამში ხელშეკრულება გაფორმებულია 30 პროფესიული სტუდენტის სწავლებაზე. დაწესებულება წინასწარ აწვდის ინფორმაციას პრაქტიკის ობიექტს პროფესიულ სტუდენტთა სალექციო განრიგის შესახებ. პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან ჩატარებული ინტერვიუდან დადასტურდა, რომ აღნიშნული შეთანხმება პრაქტიკაში სრულად მოქმედებს და ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული პროცესის ორგანიზებულ განხორციელებას.

**ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისობაშია**

**6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

პროგრამით განსაზღვრული მოდულების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისთვის დაწესებულება გამოიყენება დაწესებულების აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხელშეკრულებებში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

**ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები)

- პროფესიული საგანმანათლებლო პორგრამა“ აღმზრდელი“
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება
- სასწავლო პროცესის მართვის წესი
- ინტერვიუ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მართვის წესი“ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №111, 29.11.2023 წ.; (ცვლილება: №00000129, 26.08.2025 წ.)), რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის პრინციპებსა და განხორციელების წესს. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლების შედეგების ობიექტურ და სამართლიან დადასტურებას და ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი დარგის სპეციალისტთან ერთად (საჭიროების შემთხვევაში პროცესში შეიძლება ჩაერთოს მოწვეული გარე ექსპერტი/ვალიდატორი). ვალიდაცია ტარდება შეფასების ჩატარებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე. შეფასების ინსტრუმენტის პროექტი, საჭიროების შემთხვევაში, უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს ან სამუშაო ჯგუფს რეკომენდაციებისა და შენიშვნების გასათვალისწინებლად, რომლებიც ვალდებულნი არიან განახორციელონ შესაბამისი შესწორებები მოკლე ვადაში. ვალიდაციის პროცესი დოკუმენტირდება სპეციალური კითხვარის მეშვეობით, რომელსაც ხელს აწერენ სასწავლო პროცესის მენეჯერი და ვალიდაციაში ჩართული დარგის სპეციალისტი. ვალიდურად მიიჩნევა მხოლოდ ის ინსტრუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს, და შეფასების მიზნებისთვის გამოიყენება მხოლოდ ასეთი ვალიდური შეფასების ინსტრუმენტი. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუთი და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტის ნიმუშით დასტურდება, რომ დაწესებულებაში არსებული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას, რაც სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას.

**ინდიკატორი 2.4.2.1 შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023 წ.; (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025 წ.)), რომლის მე-14 მუხლი არეგულირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, წინასწარ შემუშავებული ფორმების საფუძველზე. პროცესში მონაწილეობენ ორი მიმართულების ვერიფიკატორები:განათლების მიმართულებით ვერიფიკატორი და დარგის მიმართულებით ვერიფიკატორი. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, ვერიფიკატორი არ მონაწილეობს იმ ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციაში, რომელთა შექმნასა ან ვალიდაციაში თავად იყო ჩართული. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოთხოვნით იწვევს შესაბამისი დარგის სპეციალისტს. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი დირექტორს წარუდგენს ვერიფიკაციის გეგმის პროექტს და საჭირო დოკუმენტაციას დასამტკიცებლად. დამტკიცების შემდეგ, დირექტორი ქმნის ვერიფიკაციის ჯგუფს და განსაზღვრავს მის ხელმძღვანელს. ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით:

- გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;
- შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაცია არის შერჩევითი პროცესი და ეფუძნება რისკების ანალიზს. რისკის ფაქტორებად განიხილება დამწყები პროფესიული მასწავლებლის ფაქტორი, პირველადი შეფასებისას ერთნაირი შედეგების მიღება ყველა სტუდენტისთვის, ან სხვა გარემოებები, რომლებიც ზრდის შეუსაბამობის ალბათობას. შერჩევა შეიძლება მოიცავდეს საერთო მტკიცებულებების 15–20%-ს ან სხვა მოცულობას, რაც განისაზღვრება რისკების ანალიზის საფუძველზე. ვერიფიკაციის შედეგები ფორმდება დასკვნაში, სადაც აისახება შეფასების ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, ობიექტურობა, გამოვლენილი პრობლემური საკითხები და რეკომენდაციები პროცესების გაუმჯობესებისთვის. დასკვნის განხილვაში მონაწილეობენ მასწავლებლები, თანამშრომლები, დარგის ექსპერტები, დამსაქმებლები და პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები. განხილვის შედეგად მუშავდება სამოქმედო გეგმა პრობლემების აღმოსაფხვრელად, განისაზღვრება ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსები. ფართომასშტაბიანი საკითხების შემთხვევაში, სამოქმედო გეგმა შეიძლება გახდეს წლიური გეგმის ნაწილი, ხოლო ინდივიდუალური შემთხვევებისას — ცალკე დოკუმენტი. გეგმის შესრულება ექვემდებარება მონიტორინგს. განმეორებითი ვერიფიკაცია ტარდება ახალი ინსტრუმენტების შექმნისას, არსებულებში ცვლილებების შეტანისას, განმახორციელებელი პირის შეცვლისას ან სხვა მნიშვნელოვანი გარემოებებისას. ცვლილებების ინიცირების უფლება აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, შიდა ვერიფიკაციის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფის წევრს, სასწავლო პროცესის მენეჯერს და პროგრამის განმახორციელებელ პირს. ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, ინსტრუმენტები თავიდან გადიან ვალიდაციის პროცესს. დაწესებულებამ წარმოადგინა ვერიფიკაციის ჯგუფის დამტკიცებისა და ვერიფიკაციის გეგმის დამტკიცების შესახებ შესაბამისი ბრძანებები, ასევე, უკვე განხორციელებული ვერიფიკაციის დასკვნა. წარმოდგენილი დასკვნიდან იკვეთება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელის“ შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები ეხებოდა შეფასების ინსტრუმენტებში არსებულ ტექნიკურ უზუსტობებს. აღნიშნული რეკომენდაციები დაწესებულების მიერ უკვე გათვალისწინებულია ახალი შეფასების ინსტრუმენტებში.

**ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია**

**3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მართვის წესი“ (დამტ .ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ)), რომელიც განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების აღრიცხვისა,შენახვის წესებსა და ვადებს. აღნიშნული წესის 58-ე მუხლის 58.3 პუნქტის მიხედვით, შეფასების მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რის შემდეგაც ხდება მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ან შენარჩუნება საგანმანათლებლო მიზნებისთვის, ან გადაცემა ავტორს. პუნქტის 58.4 თანახმად, შეფასების პროცესში შექმნილი მალფუჭებადი პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს კონკრეტული მოდულის სწავლის შედეგის დადასტურების მტკიცებულებას, ფიქსირდება სპეციალურ ფორმულარში. აღნიშნულ ფორმულარში აისახება მოდულის დასახელება, სასწავლო შედეგი, შემსრულებელი პირი, მოდულის განმახორციელებელი, თარიღი და სხვა შესაბამისი მონაცემები. პროდუქტის ფოტომასალა ფორმულართან ერთად ინახება დაწესებულებაში შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რის შემდეგაც მტკიცებულება ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ან რჩება დაწესებულებაში საგანმანათლებლო მიზნებისთვის/გადაეცემა ავტორს.

58.5 პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას შექმნილი ელექტრონული პროდუქტი, რომელიც დაკავშირებულია სწავლის შედეგის დადასტურებასთან, ინახება ციფრულ მატარებელზე იგივე პრინციპით შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, შემდგომში მისი განადგურება ან შენარჩუნება ხორციელდება ზემოაღნიშნული წესით.დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები, შევსებული უწყისები რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევთ იქნა გადამოწმებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება რომ დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული პროცედურები უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, მტკიცებულებათა სათანადო აღრიცხვასა და შენახვას დადგენილ ვადებში.

**ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია**

**4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მართვის წესი რომლის მიხედვითაც , პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით. სასწავლო პროცესის მენეჯერთან, პროფესიული სტუდენტებთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენებენ განმავითარებელი შეფასებას, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. პროფესიული სტუდენტები უკუკავშირს მიიღებენ პერსონალური მონაცემების დაცვით.

**ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მართვის წესი (დამტ.ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ).
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023 წ.; ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025 წ.)
- შპს ილიას ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 19 დეკემბრის ბრძანება N 124 ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ
- ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნა
- ვალიდაციის ნიმუში;
- ინტერვიუს შედეგები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

| | |
|---|---|
| **პროგრამის სახელწოდება** | ვეტერინარია / Veterinary |
| **პროფესიული განათლების დონე** | მეხუთე დონე |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში/ Higher Vocational Qualification in Veterinary |
| **სწავლის დეტალური სფეროს კოდი** | 0841 |
| **პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები** | 10.07.2021 წ; ბრძანება N 47 |
| **პროგრამის განხორციელების ენა** | ქართული |
| **პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები** | ქ. საგარეჯო, გ. ლეონიძის ქ. 33ა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალური სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 20 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | -- |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 150 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## V. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

*იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.*

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |

დასაბუთება
......................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................
............................

## III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

გადაწყვეტილება პროგრამის დამატების შესახებ საკმარისად დასაბუთებული და არგუმენტირებულია. „შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების არგუმენტირებული დასაბუთება, რომელიც ეფუძნება შრომის ბაზრის ანალიზსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არსებულ მოთხოვნებს. აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდ გამოკვეთილია პროგრამის აუცილებლობა, მიზანმიმართულობა, რელევანტურობა, რაც სრულ თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან — ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომზადებას. გადაწყვეტილება სრულად ეფუძნება დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომლის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, არსებული პროგრამების მოდერნიზება და მათი სპექტრის გაფართოება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“, განხორციელების უფლება, დაწესებულებას მოპოვებული აქვს 2022 წლის 16 სექტემბრიდან (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N1100210) და მისი განხორციელება შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან. როგორც აღინიშნა, დაწესებულებამ მოიძია კვლევევბი, რომლებიც ადასტურებენ პროგრამის აქტუალობას რეგიონში - რამდენადაც რეგიონის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თვითდასაქმების ფარგლებში მისდევს მესაქონლეობას, რეგიონში მოღვაწეობენ ფერმერები რომლებსაც მსხვილფეხა ცხოველი ჰყავთ. დაწესებულება თანამშრომლობს რეგიონში სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსთან, სადაც . დაწესებულების კურსდამთავრებულები ჩართულები არიან სურსათის სააგენტოს ორგანიზებით ცხოველთა ვაქცინაციის პროცესში და პირველად ვეტერინარულ დახმარებას უწევენ ცხოველებს. აღსანიშნავია ისიც, რომ რეგიონში გაიზარდა ვეტერინარული აფთიაქების რაოდენობა, რომელიც საჭიროებენ კვალიფიციურ კადრს. აქტიურად იხსნება ვეტერინარული კლინიკები. შესაბამისად გაზრდილია მოთხოვნები პროგრამის მიმართ, რასაც ადასტურებს აპლიკანტთა მზარდი სტატისტიკაც. დაწესებულება აწარმოებს კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკასაც, კვლევის შედეგად, რეგიონში დასაქმებულთა 70%-მდე თვითდასაქმებულია ძირითადად სოფლის მეურნეობის მიმართულებით. გამოიკვეთა, რომ ვეტერინარიის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმართულებით კვალიფიციური კადრები საგარეჯოს მუნიციპალიტეტში და მიმდებარე რეგიონებში დეფიციტურია. ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე მოქმედი დამსაქმებლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საჭიროა სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ ცხოველთა მოვლის, დაავადებების პროფილაქტიკისა და დიაგნოსტიკის, ვაქცინაციის, საკვები პროდუქტების უსაფრთხოებისა და თანამედროვე აგროტექნოლოგიების გამოყენების უნარებს. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მოქმედი ფერმერული და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები, აგრეთვე ვეტერინარული კლინიკები და მცირე ფერმები, გამოხატავენ მზარდ მოთხოვნას ასეთი კადრების მიმართ. განსაკუთრებული საჭიროება დგას ისეთ ორგანიზაციებში, როგორიცაა: ადგილობრივი მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობები (მესაქონლეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა). მიმდებარე მუნიციპალიტეტებში (თელავი, გურჯაანი, სიღნაღი) ასევე ფიქსირდება ვეტერინარული სერვისების დეფიციტი, რაზეც მიუთითებენ ვეტერინარული კლინიკები, კერძო აგრობიზნესის წარმომადგენლები. შესაბამისად, ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამა პასუხობს როგორც რეგიონის ეკონომიკური განვითარების საჭიროებებს, ისე ქვეყნის მასშტაბით მოთხოვნილ პროფესიას. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილეობის დროს დაწესებულება განიხილავს რესურსულ შესაძლებლობებსაც, რაც გულისხმობს იმას, რომ დაწესებულებას აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი, ჰყავს კვალიფიციური პროფესიული მასწავლებლები, ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული შესაბამის პრაქტიკის ობიექტებთან, რომელთა საქმიანობა შრომით ბაზარზე იძლევა იმის საფუძველს, რომ პროგრამა განხორციელდეს ეფექტურად არსებული კვოტის გათვალისწინებით.

**ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია**

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვეტერინარია“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო განათლება, დაშვების პროცედურა კი გულისხმობს და უზრუნველყოფს ისეთ პირთა მიღებას, რომელთა ცოდნა და უნარები იძლევა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, პროგრამის განხორციელების ვადაში. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესით.

**ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია**

**3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების დირექტორის N 00005550 (07/06/2023) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრისთვის ითვალისწინებს პროგრამის/მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A,B, C) გარემოს და სამუშაო ადგილებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას, საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსს, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას. პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას საფუძვლად უდევს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამტარობა. ვეტერინარიისათვის, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობად განსაზღვრა 20 სტუდენტი. პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრულია ორი AC გარემო, ასევე B გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. პროგრამის განმახორციელებელი პირთა რაოდენობა არის 21 განმახორციელებელი, მათ შორის 12 დარგის სპეციალისტი. დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებულია აქვს 5 პრაქტიკის ობიექტთან. შესაბამისდ დგინდება, რომ დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.
**ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია**

**4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ვეტერინარია“ განსაზღვრული მატერიალური რესურსი შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ რეკომენდაციებს და უზრუნველყოფილს სწავლის შედეგების მიღწევას. შესაბამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა კი შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს. პროგრამით განსაზღვრული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსი ადეკვატურია როგორც დარგობრივი ასევე ზოგადი მოდულების სწავლებისათვის. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი სრულად მოიცავს ყველა იმ საგანმანათლებლო რესურსს, რომელიც მითითებულია პროგრამის დანართში. ასევე განთავსებულია ელექტრონული სასწავლო რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია, როგორც ყველა პროფესიული სტუდენტისათვის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში.
რამდენადაც დაწესებულება ვეტერინარიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას 2022 წლიდან ახორციელებს, მისი მატერიალური რესურსი წლითიწლობით ივსებოდა და საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური სასწავლო რესურსი გახდა მრავალფეროვანი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების ფლობელობაში არსებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

**ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია**

**5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ვეტერინარია“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

**ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისობაშია**

**6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ვეტერინარია დამტკიცებულია შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (10.07.2021წ; ბრძანების ნომერი-No47). დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 29 ნოემბრის # 111 ბრძანებით (ცვლილება 26.08.2025 #00000129) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგიის“ მიხედვით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დგინდება რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

**ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია**

**7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „ვეტერინარია“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. სახელწოდება არის ნათელი, გასაგები და არ შეიცავს შეცდომაში შეყვანის რისკს.

**ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია**

**8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე, არ არის წინააღმდეგობაში მის მოთხოვნებთან და ადაპტირებულია დაწესებულების მიერ დაშვებებისა და მოთხოვნების შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯის N 00005550 (07/06/2023) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- „შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯის წესდება;
- საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების აქტი;
- პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
- პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ დამტკიცების აქტი; 10.07.2021 წ; ბრძანება N 47
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ინტერვიუს შედეგები..

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**
პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით „შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია" -მიზნებისათვის აქვს: ქ. საგარეჯო, გ. ლეონიძის ქ. 33ა ში პროგრამისთვის განსაზღვრულია ორი AC გარემო, ასევე B გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. აღნიშნული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგები მიღწევას, მათი რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან, სადაც მოწყობილია C გარემო და ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფილი სასწავლო ლაბორატორია. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია" განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის, რისთვისაც დაწესებულებაში მოწყობილია AC და B გარემოები, რომელიც აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები). პრაქტიკული აუდიტორია თეორიული და პრაქტიკულ მეცადინეობისთვის - წარმოადგენს ლაბორატორიულ კაბინეტს სადაც განთავსებულია სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, ონკანი,ნიჟარა, გამწოვი კარადა,კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის და სხვა პროგრამისათვის საჭირო მასალა-ნედლეული. C გარემოს უზრუნველსაყოფად დაწესებულებას ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ ობიექტებთან:

- შპს „ვეტები“
- ი/მ „გოგი „ქვლივიძე“
- შპს „სი-თი ჯგუფი“
- შპს „მატადორი“
- მემორანდუმი - „ბიოტექსი“

აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში მათ შეუძლია მიიღონ და მომსახურეობა გაუწიონ კლინიკური და პროფესიული მოდულებისთვის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ განხორციელების მიზნებისთვის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილი სასწავლო სივრცე და პრაქტიკის ობიექტები აღჭურვილია შესაბამისი რესურსით. ხელშეკრულებებს დანართის ფორმით ახლავს მისაღწევი შედეგების და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი.

**ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია**

**2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ვეტერინარია“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 21 განმახორციელებელი, მათ შორის 12 დარგის სპეციალისტი. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას. ექსპერტებმა შეისწავლეს იმ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა, რომლების პარალელურად სხვა პროფესიულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამაზე ახორციელებენ იმავე მოდულებს და დაადგინეს, რომ განმახორციელებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სრულად პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

**ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია**

**3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვეტერინარია“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილში, რაც დასტურდება მათი პირად საქმეში დაცული კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლები მუდმივად მონაწილეობენ ტრენინგებსა და სწავლებებში. ამგვარად, პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელს, რომელმაც აღწერა პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების მიდგომები. დაწესებულება აქტიურად ზრუნავს პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებაზე. დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ისინი აყვანილნი არიან დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე, საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებული ინფორმაცია, განმახორციელებელ პირს რელევანტურს ხდის ამ კონკრეტული მოდულის განსახორციელებლად. პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ შემოწმებული იქნა პერსონალის დატვირთვის სქემები და დადგინდა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება -კვირაში 40 საათს. საათების განაწილებისას გათვალისწინებულია მასწავლებელთა რეალური შესაძლებლობები/კომპეტენციები, რომლითაც უზრუნველყოფილია პროგრამის განხორცილების მდგრადობა. აგრეთვე, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილების დროს მხედველობაშია მიღებული ის, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო არ შემოიფარგლება მხოლოდ საკონტაქტო საათების ჩატარებით, ის ასრულებს სხვა მნიშვნელოვან აქტივობებსაც, როგორიცაა მომზადება მეცადინეობისათვის, საორგანიზაციო საკითხები, სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, მონაწილეობა საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში და სხვა. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას.
**ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია**
**4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**
. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება, როგორც მისი პირადი საქმით, ისე გასაუბრებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ვეტერინარია პროგრამის ხელმძღვანელი შესაბამისი დარგობრივი განათლების მქონე პირია, დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს დარგობრივი საქმიანობისა და სწავლების გამოცდილება. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება პირის შესაბამისობა დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებსა და დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებთან რომელიც გაწერილია დირექტორის 2024 წლის 2 სექტემბრის N 01-15 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობაში.
პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელების, ისე პროგრამის ადმინისტრირების პროცესებში,
**ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია**

**5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „ვეტერინარია" მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის ელექტრონული სახით ან/და ბიბლიოთეკაში მატერიალური ფორმით. ექსპერტების მიერ შემოწმდა და დადასტურდა ბიბლიოთეკაში რესურსების არსებობა.
**ინდიაკტორი 2.1.1.5 შესაბამისობაშია**

**6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**
დაწესებულებას სასწავლო პროცესის მართვის წესში (დამტ.ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ). გაწერილი აქვს სასწავლო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სპეციალისტის მოწვევას;
- საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფას; (საგანმანათლებლო რესურსის ამობეჭდვას პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტით და სხვა მახასიათებლებით; საგანმანათლებლო რესურსის შინაარსობრივ ცვლილებას და მის მორგებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე, რაც გულისხმობს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის შესაძლებლობას და სხვა.)
- დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილების ხელშეწყობას ( ხელჯოხით უსაფრთხოდ გადაადგილების სწავლებას სპეციალისტის ჩართულობით)
- სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერას;
- ადმინისტრაციული მხარდაჭერას
- სხვა ღონისძიება, საჭიროების მიხედვით .

**ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისობაშია**

**7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**
დაწესებულების ფინანსური რესურსები სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შედგენილია ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების ნაწილს და გათვლილია პროფესიული სტუდენტთა იმ მინიმალურ რაოდენობაზე, რომლის პირობებშიც პროგრამის რენტაბელობა უზრუნველყოფილია. ამ შემთხვევაში მიღებული შემოსავლები სრულად ფარავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა აუცილებელ ხარჯს.

**ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“;
- მოდულები;
- სასწავლო გეგმა;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცა;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვები;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების კატალოგი და საბიბლიოთეკო ჟურნალი;
- ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- კოლეჯის ვებგვერდი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება
2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით
1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია" (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.)) მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რომელიც ეფუძნება ხარისხის მართვის ციკლურ მოდელს (დემინგის ციკლი: დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე) და უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობასა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების გარემოს განვითარებას. შეფასების პროცესი მოიცავს როგორც შიდა, ისე გარე მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს და ხორციელდება რეგულარულად, ასევე საჭიროების შემთხვევაში – საგანგებო გარემოებების არსებობისას. შეფასების საფუძვლად გამოიყენება: პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგები, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების ხარისხი და დასაქმების მაჩვენებლები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებები, დამსაქმებელთა და პარტნიორი ორგანიზაციების უკუკავშირი, შრომის ბაზრის ტენდენციები და მოთხოვნები, საგანმანათლებლო სტანდარტებში განხორციელებული ცვლილებები, გარე შეფასებებისა და ექსპერტიზის დასკვნები და სხვა შესაბამისი მონაცემები. შეფასების შედეგების საფუძველზე დაწესებულება აიდენტიფიცირებს პროგრამის ძლიერ და გასაუმჯობესებელ ასპექტებს, ამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს. პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილეობენ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი (პროცესის მონიტორინგის ნაწილში), პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის განმახორციელებელი პირები და საჭიროების შემთხვევაში – სხვა დაინტერესებული მხარეები. შესაბამისად, აღნიშნული მექანიზმი სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირთან და ხარისხის მართვის პრინციპებთან შესაბამის შეფასებასა და განვითარებას.

**ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია**

**2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია" (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №111, 29.11.2023 წ.; (ცვლილება: №00000129, 26.08.2025 წ.)), რომელიც განსაზღვრავს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზისა და მათი საფუძველზე ცვლილებების განხორციელების წესებსა და პროცედურებს. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება შეფასების შედეგების, შრომის ბაზრის ტენდენციების,

საგანმანათლებლო სტანდარტებსა და პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებების, ტექნოლოგიური და სხვა რელევანტური ფაქტორების საფუძველზე. ცვლილების ინიცირება შესაძლებელია დირექტორის, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, სასწავლო პროცესის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამის განმახორციელებელი პირის ან პარტნიორი ორგანიზაციის მხრიდან. ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს მოდულის დამატებას ან ამოღებას, მოდულის შინაარსის ან სწავლების მეთოდების განახლებას, სასწავლო გეგმის კორექტირებას, პროგრამის მიზნებისა და შედეგების გადახედვას, საგანმანათლებლო რესურსებისა და თემატიკის განახლებას და სხვა შესაბამის ცვლილებებს. ცვლილებების განხორციელება ხდება სამუშაო ჯგუფის მეშვეობით, რომელიც ადგენს ცვლილების საჭიროებებს, ამზადებს შესაბამის დოკუმენტაციას და წარადგენს დირექტორისთვის დამტკიცების მიზნით. სამუშაო ჯგუფის ფორმირება ხდება დირექტორის ბრძანებით ან პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით. ცვლილებები თანხვედრაში უნდა იყოს პროგრამის მიზნებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებთან. პროგრამის განხორციელებისას უზრუნველყოფილია სტუდენტთა ინტერესების დაცვა და სწავლის უწყვეტობა.

**ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია“ (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.)
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება
1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
**1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**
პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ვეტერინარია“ დაწესებულებას მოთხოვნების თანახმად შემუშავებული აქვს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არაქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. გეგმა გაწერილია 2 აკადემიურ წელზე - არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 121 სასწავლო კვირა, ხოლო ქართულენოვანი კონტიგენტისთვის 89 სასწავლო კვირა საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები. წინაპირობების არსებობის შემთხვევაში დაცულია განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული ვადები.
**ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია**
**2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება სასწავლო პროცესს გეგმავს და ახორციელებს პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, სადაც მათ აწვდიან სრულ ინფორმაციას პროგრამის შინაარსზე, სწავლის პირობებსა და შესაძლებლობებზე, ასევე მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში განხორციელდება ცვლილება ან მოხდება მისი შეწყვეტა, დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის განათლების გაგრძელების შესაძლებლობას. დაწესებულება ოპერატიულად რეაგირებს სტუდენტების საჭიროებებზე და მაქსიმალურ მხარდაჭერას უწევს სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე.
**ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია**

**3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, ის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია. სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება დასტურდება პრაქტიკის ობიექტის/პარტნიორ ორგანიზაციაში არსებული რესურსით.
**ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისობაშია**

**4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**
დაწესებულება სწავლების პროცესში გაითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს მათთვის შესაბამისი პირობების შექმნას პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდება ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და განსაზღვრავს სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებსა და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. „სასწავლო პროცესის მართვის წესის" მიხედვით, პროფესიულ სტუდენტს ინდივიდუალურ რეჟიმში შეუძლია კომპონენტის გავლა შემდეგ შემთხვევებში: თუ დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების შედეგის გათვალისწინებით ვერ მიიღო დადებითი შეფასება არარენტაბელური ჯგუფის ფორმირების შემთხვევაში, როცა დაწესებულება ვალდებულია სტუდენტს გაატაროს შესაბამისი კომპონენტი, სტატუსშეჩერებული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის შემდეგ, პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში ცალკეული კომპონენტების გაუვლელობის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არ ხდება სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა, მიღებული ფორმალური განათლების აღიარების შედეგად დარჩენილი კომპონენტის გავლისას, მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების შედეგად დარჩენილი კომპონენტის გავლისას, შიდა ან გარე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მობილობის შემთხვევაში. აღნიშნულ შემთხვევებში სასწავლო პროცესის დაგეგმვის საფუძველია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული ან სტატუს აღდგენილი სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას და მათი სწავლის პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფას.

**ინდიკატორი 2.4.1.4 შესაბამისობაშია**

**5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

პროგრამა ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში. პრაქტიკის ხელშეკრულება გაფორმებულია შემდეგ ორგანიზაციასთან:

- შპს „ვეტები“
- ი/მ „გოგი „ქვლივიძე“
- შპს „სი-თი ჯგუფი“
- შპს „მატადორი“
- მემორანდუმი - „ბიოტექსი“

ხელშეკრულებით დარეგულირებულია: ხელშეკრულების საგანი, მომსახურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები, მოდულების და სწავლის შედეგების დასახელება, საათობრივი დატვირთვა, რომელიც განხორციელდება ბაზაზე, თანამშრომლობის ვადა, ორგანიზების საკითხები, კომპანიის გამტარუნარიანობა (სულ 20 პროფესიული სტუდენტის მიღება), მატერიალურ - ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება.

**ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისობაშია**

**6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, აუდიტორიებში განთავსებულია პირველადი დახმარების ყუთი, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია უსაფრთხოების წესები, გამაფრთხილებელი, ამკრძალავი და დამშვები ნიშნები, სამუშაო ლაბორატორიაში არის ქსელური დამიწება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 2.4.1.7 შესაბამისობაში**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“;
- სასწავლო და კალენდარული გეგმები;
- პარქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას
1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**
დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მართვის წესი“ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №111, 29.11.2023 წ.; (ცვლილება: №00000129, 26.08.2025 წ.)), რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის პრინციპებსა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელების წესს. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლების შედეგების ობიექტურ და სამართლიან დადასტურებას და ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი დარგის სპეციალისტთან ერთად (საჭიროების შემთხვევაში პროცესში შეიძლება ჩაერთოს მოწვეული გარე ექსპერტი/ვალიდატორი). ვალიდაცია ტარდება შეფასების ჩატარებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე. შეფასების ინსტრუმენტის პროექტი, საჭიროების შემთხვევაში, უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს ან სამუშაო ჯგუფს რეკომენდაციებისა და შენიშვნების გასათვალისწინებლად, რომლებიც ვალდებულნი არიან განახორციელონ შესაბამისი შესწორებები მოკლე ვადაში. ვალიდაციის პროცესი დოკუმენტირდება სპეციალური კითხვარის მეშვეობით, რომელსაც ხელს აწერენ სასწავლო პროცესის მენეჯერი და ვალიდაციაში ჩართული დარგის სპეციალისტი. ვალიდურად მიიჩნევა მხოლოდ ის ინსტრუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს, და შეფასების მიზნებისთვის გამოიყენება მხოლოდ ასეთი ვალიდური შეფასების ინსტრუმენტი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები.

შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციისა და შეფასების ადმინისტრირების პროცესები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და დაცულია სამართლიანობის პრინციპები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ნაწილში, რაც დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსერტთა ჯგუფის ინტერვიურების გზით, მათ შორის კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთათვის შეფასების შედეგების გაცნობა. პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუირებით და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტით დასტურდება, რომ აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას, რაც სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას.

**ინდიკატორი 2.4.2.1 შესაბამისობაშია**

**2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023 წ.; (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025 წ.)), რომლის მე-14 მუხლი არეგულირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, წინასწარ შემუშავებული ფორმების საფუძველზე. პროცესში მონაწილეობენ ორი მიმართულების ვერიფიკატორები:განათლების მიმართულებით ვერიფიკატორი და დარგის მიმართულებით ვერიფიკატორი. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, ვერიფიკატორი არ მონაწილეობს იმ ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციაში, რომელთა შექმნასა ან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვალიდაციაში თავად იყო ჩართული. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოთხოვნით იწვევს შესაბამისი დარგის სპეციალისტს. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი დირექტორს წარუდგენს ვერიფიკაციის გეგმის პროექტს და საჭირო დოკუმენტაციას დასამტკიცებლად. დამტკიცების შემდეგ, დირექტორი ქმნის ვერიფიკაციის ჯგუფს და განსაზღვრავს მის ხელმძღვანელს. ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით:

- გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;
- შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაცია არის შერჩევითი პროცესი და ეფუძნება რისკების ანალიზს. რისკის ფაქტორებად განიხილება მოდულის ან დარგის ცვლილება, დამწყები პროფესიული მასწავლებლის ფაქტორი, პირველადი შეფასებისას ერთნაირი შედეგების მიღება ყველა სტუდენტისთვის, ან სხვა გარემოებები, რომლებიც ზრდის შეუსაბამობის ალბათობას. შერჩევა შეიძლება მოიცავდეს საერთო მტკიცებულებების 15–20%-ს ან სხვა მოცულობას, რაც განისაზღვრება რისკების ანალიზის საფუძველზე. ვერიფიკაციის შედეგები ფორმდება დასკვნაში, სადაც აისახება შეფასების ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, ობიექტურობა, გამოვლენილი პრობლემური საკითხები და რეკომენდაციები პროცესების გაუმჯობესებისთვის. დასკვნის განხილვაში მონაწილეობენ მასწავლებლები, თანამშრომლები, დარგის ექსპერტები, დამსაქმებლები და პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები. განხილვის შედეგად მუშავდება სამოქმედო გეგმა პრობლემების აღმოსაფხვრელად, განისაზღვრება ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსები. ფართომასშტაბიანი საკითხების შემთხვევაში, სამოქმედო გეგმა შეიძლება გახდეს წლიური გეგმის ნაწილი, ხოლო ინდივიდუალური შემთხვევებისას ცალკე დოკუმენტი. გეგმის შესრულება ექვემდებარება მონიტორინგს. განმეორებითი ვერიფიკაცია ტარდება ახალი ინსტრუმენტების შექმნისას, არსებულებში ცვლილებების შეტანისას, განმახორციელებელი პირის შეცვლისას ან სხვა მნიშვნელოვანი გარემოებებისას. ცვლილებების ინიცირების უფლება აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის წევრს, სასწავლო პროცესის მენეჯერს და პროგრამის განმახორციელებელ პირს. ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, ინსტრუმენტები თავიდან გადიან ვალიდაციის პროცესს. დაწესებულებამ წარმოადგინა ვერიფიკაციის ჯგუფის დამტკიცებისა და ვერიფიკაციის გეგმის დამტკიცების შესახებ შესაბამისი ბრძანებები, ასევე, უკვე განხორციელებული ვერიფიკაციის დასკვნა. წარმოდგენილი დასკვნიდან იკვეთება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარის " შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები ეხებოდა შეფასების ინსტრუმენტებში არსებულ ტექნიკურ უზუსტობებს. აღნიშნული რეკომენდაციები დაწესებულების მიერ უკვე გათვალისწინებულია ახალი შეფასების ინსტრუმენტებში.

**ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მართვის წესი" (დამტ .ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ)), რომელიც განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების აღრიცხვისა,შენახვის წესებსა და ვადებს. აღნიშნული წესის 58-ე მუხლის 58.3 პუნქტის მიხედვით, შეფასების მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რის შემდეგაც ხდება მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ან შენარჩუნება საგანმანათლებლო მიზნებისთვის, ან გადაცემა ავტორს. პუნქტის 58.4 თანახმად, შეფასების პროცესში შექმნილი მალფუჭებადი პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს კონკრეტული მოდულის სწავლის შედეგის დადასტურების მტკიცებულებას, ფიქსირდება სპეციალურ ფორმულარში. აღნიშნულ ფორმულარში აისახება მოდულის დასახელება, სასწავლო შედეგი, შემსრულებელი პირი, მოდულის განმახორციელებელი, თარიღი და სხვა შესაბამისი მონაცემები. პროდუქტის ფოტომასალა ფორმულართან ერთად ინახება დაწესებულებაში შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რის შემდეგაც მტკიცებულება ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ან რჩება დაწესებულებაში საგანმანათლებლო მიზნებისთვის/გადაეცემა ავტორს.

58.5 პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას შექმნილი ელექტრონული პროდუქტი, რომელიც დაკავშირებულია სწავლის შედეგის დადასტურებასთან, ინახება ციფრულ მატარებელზე იგივე პრინციპით , შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, შემდგომში მისი განადგურება ან შენარჩუნება ხორციელდება ზემოაღნიშნული წესით. აღნიშნული პროცედურები უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, მტკიცებულებათა სათანადო აღრიცხვასა და შენახვას დადგენილ ვადებში. მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალს ავსებს სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, პროფესიული სტუდენტების სახელი და გვარი, ჯგუფის ნომერი, პროგრამის დაწყებისა და დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა, მტკიცებულებების შენახვის ადგილი. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით იქნა გადამოწმებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება რომ დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

**ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მართვის წესი რომლის მიხედვითაც , პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით. სასწავლო პროცესის მენეჯერთან, პროფესიული სტუდენტებთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენებენ განმავითარებელი შეფასებას, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. პროფესიული სტუდენტები უკუკავშირს მიიღებენ პერსონალური მონაცემების დაცვით.

**ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მართვის წესი (დამტ.ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ).
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023 წ.; ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025 წ.)
- შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის დასკვნა
- შპს ილიას ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 19 დეკემბრის ბრძანება N 124 ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ
- ვერიფიკაციის დასკვნა
- ვალიდაციის ნიმუში
- შპს ილიას ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2025 20 აგვისტოს ბრძანება N 123 ვერიფიკაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

შეფასება:

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

| | |
|---|---|
| **პროგრამის სახელწოდება** | ფარმაცია (საფთიაქო) |
| **პროფესიული განათლების დონე** | მეხუთე დონე |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higher Vocational Qualification in Pharmacy |
| **სწავლის დეტალური სფეროს კოდი** | 0916 |
| **პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები** | საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (საფთიაქო)“ დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 16.07 N 50 ბრძანებით ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 10.01 2022წ. N2ბრძანებით. |
| **პროგრამის განხორციელების ენა** | ქართული |
| **პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები** | ქ. საგარეჯო. ლეონიძის ქ. N33 ა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალური სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 150 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## VI. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

*იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.*

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |

დასაბუთება
.........................................................................................................................................................................................................................................................................................................
...........................

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1..პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

შპს "ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯს" აქვს პროცედურა „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია"დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძ.N111 29.11. 2023 (შესულია ცვლილება N50129 26.08.2025 წ.) სადაც გამოკვეთილია პროგრამის საჭიროება. პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რაც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრების ორგანიზებას პროგრამის სავარაუდო, განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, დაწესებულების რესურსების ანალიზს, კონსულტაციებს ადმინისტრაციასთან. პროგრამა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ განვითარებასთან, რომელიც გულისხმობს პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის დადგენას. მიზანშეწონილობის არგუმენტი მისაღებია თუ:

- არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებული მოთხოვნა შესაბამის უნარებზე, რაც დასტურდება კვლევებით და დამსაქმებლების ინიციატივებით;
- პსდ აფართოებს მომსახურების/პროგრამების სპექტრს პროფილური მიმართულებით;
- პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები იძლევა თვითდასაქმების/პიროვნული განვითარების/პიროვნების სოციალურ ინტეგრაციის შესაძლებლობას.

დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ფარმაცია (სააფთიაქო)-ს, უკვე ექვსი წელია ახორციელებს. კახეთის რეგიონში თბილისიდან კაჭრეთამდე ამ მიმართულების პროგრამა არცერთ დაწესებულებას არ აქვს. მაშინ როდესაც აფთიაქები არც თუ ისე ცოტაა. მაგ. მხოლოდ საგარეჯოში ფუნქციონირებს ორი -სს „გეფას, სამი- შპს "PSP",- ორი - შპს „ავერსის" და ერთი- შპს"იმპექსის აფთიაქები. გარდა ამისა კერძო და სოფლის აფთიაქები, რომლებიდანაც, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ინტერვიურებისას განაცხადეს, მომართვიანობა აქვთ კადრებთან დაკავშირებით (ზოგიერთი არაქართულენოვანი სოფლიდანაც) . ასევე დაწესებულება ახლოსაა დედაქალაქთან,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სადაც როგორც ვიცით ამ მიმართულებით კადრების ნაკლებობაა. გარდა ამისა, დამსაქმებელთან ექსპერტთა გასაუბრებისას გამოიკვეთა დამსაქმებლის დაინტერესება კადრებთან დაკავშირებით ამ რეგიონში და მიმდებარე ტერიტორიაზე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ რეგიონის აღნიშნულ მონაკვეთში ამ მიმართულების პროფესიული განათლების მქონე სპეციალისტების ნაკლებობაა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)" შემუშავებულია ზემოთ აღნიშნული მეთოდოლოგიის დაცვით, რასაც მოწმობს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების დოკუმენტაცია. საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.საქართველოში ჯანდაცვის მიმართულება პრიორიტეტულია, რაც პროფესიას ხდის შრომის ბაზარზე ერთ-ერთ მოთხოვნად და დასაქმებად მიმართულებად. ასევე მნიშვნელოვანია ეროვნულ ბაზარზე,არსებული ფარმაცევტული კომპანიების „შპს „ავერსი ფარმას", "ჯი პი სის", „ფარმადეპოს", „პსპ-ს" და „იმპექსის""-ის ინიციატივები პროფესიული კადრის მიწოდება/დასაქმების შესახებ.კურსდამთავრებულთა უმეტესობა დასაქმდება შპს „პსპ აფთიაქი"-ს, შპს „ავერსი ფარმას", შპს „გეფასა" და შპს „იმპექსფარმას"-ს სააფთიაქო ქსელებში, თუმცა რეგიონში და თბილისის აღმოსავლეთ ნაწილში ამ ქსელური აფთიაქების გარდა მრავლადაა სხვა ფარმაცევტული დაწესებულებებიც. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია**

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების დაშვების წინაპირობების და სტატუსის მოპოვება რეგულირდება დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" (დამტკიცებულია :შპს კოლეჯი „ილია ჭავჭავაძის სახ. საზოგადოებრივი კოლეჯის" დირექტორის ბრძანებით №50/28.04.2022 ბოლო ცვლილება შესულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №21/28.02.2024წ. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე„ ფარმაცია (სააფთიაქო)" დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათალება, რაც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის (09110-პ) მოთხოვნასთან. პროგრამაზე განსაზღვრულია ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნული ასევე დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცით.

**ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**
დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით . შპს „ილია ჭავჭავაძის სახ, საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის „“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს: პროგრამის/მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A,B, C) გარემოს და სამუშაო ადგილებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას, საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსს, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას. პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას საფუძვლად უდევს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამტარობა, კერძოდ : დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამის,,ფარმაცია(სააფთიაქო)‘‘ს სწავლების მიზნებისთვის გააჩნია სამი A/C გარემო და ერთი B გარემო მხოლოდ ამ პროგრამისთვის. ყველა გარემო პროგრამის მოთხოვნების მიხედვითაა აღჭურვილი. „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 40

1. A/C სასწავლო გარემო 21 ადგილი (აუდიტორია 106);
2. A/C სასწავლო გარემო 20 ადგილი (აუდიტორია 108);
3. A/C სასწავლო გარემო-20 ადგილი; (აუდიტორია 109).
4. B სასწავლო გარემო 20 ადგილი.(აუდიტორია 110) განკუთვნილი მხოლოდ ამ პროგრამისთვის.

პირველი - A/C (კაბ.106) სასწავლო გარემო არის ქიმიურ -ტექნოლოგიური ლაბორატორია, მეორე -აუდიტორია -A/C (კაბ. 109) სასწავლო გარემო არის სამედიცინო-ბიოლოგიური კაბინეტი; მესამე -აუდიტორია A/C ( კაბ.108) სასწავლო გარემო არის აფთიაქის მოდელი. დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კერძოდ, დაწესებულების დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული (დამტკიცებულია შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება N111 – 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.) „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, სადაც გათვალისწინებულია პროფესიული პროგრამის ხანგძლივობა, მოდულების განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო გარემო, აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის ობიექტები და პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა. შემუშავებულია აუდიტორიათა აღწერილობა ასევე გათვალისწინებულია პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობები, რაც გაწერილია პრაქტიკის ობიექტთან დადებულ ხელშეკრულებაში, პროგრამის ხანგრძლივობა და, სასწავლო გეგმის სპეციფიკა, პროგრამის მოთხოვნადობა და სხვა. ასევე ხელშეკრულება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგამანათლებლო პროგრამის /მოდულების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების შესახებ გაფორმებული შპს „PSP“; თან“ 2018 წ30 ივლისს N201803 . (განახლებულია 2025 წლის 20 აგვისტოს) 40 პროფესიულ სტუდენტზე.

**ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია**

**4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. საგნმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური და სასწავლო რესურსი შესაბამისია მოდულების სწავლის შედეგების და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის დაწესებულების ბაზაზე გათვალისწინებულია :

1.სასწავლო გარემო -A/C (კაბ. 109 )-განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისთვის და განთავსებულია : სამუშაო 10 ორადგილიანი მაგიდა- 20 სკამი, 1ცალი პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის). აქვე მოთავსებულია მულაჟები და ორგანოთა ვიზუალური თვალსაჩინოებები, მცენარის ორგანოთა სქემები და სურათები.

2.სასწავლო გარემოს მოდელი B გარემო (კაბინეტი 110) რომელშიც განთავსებულია 20 პერსონალური კომპიუტერი განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისთვის, ხოლო ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.(სულ21 კომპიუტერი), მაგიდები და სკამები სტუდენტებისა და მასწავლებლითვის, დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფა, და სხვა. B სასწავლო გარემო ამ პროგრამის ფარგლებში საჭიროა მხოლოდ ერთ მოდულზე, რომლის ხანგრძლივობა არის 3 კრედიტი(მოდული ხორციელდება 8 კვირიდან 16 კვირის ჩათვლით სასწავლო გეგმის მიხედვით) კომპიუტერული აუდიტორიის დატვირთვა არ აღემატება 40 (ორმოცი) საათს კვირაში. გარემო განკუთვნილია მხოლოდ აღნიშნული პროგრამის სტუდენტებისთვის.

3.სასწავლო გარემოს მოდელი A/C გარემო - (კაბ .106) ქიმიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორია განკუთვნილია 21 პროფესიული სტუდენტისათვის თეორიული მეცადინეობებისა ქიმიური მაგიდები და სკამები 21 პროფესიული სტუდენტისათვის ჯგუფური მუშაობისთვის ( 7 ც ქიმიური მაგიდა 3 ადგილიანი, 21 ლაბორატორიული სკამი) , რომელიც აღჭურვილია: პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (1ც მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით(1ც მონიტორი), დაფით(1 ცალი), სასწავლო თვალსაჩინოებებით /სასტენდო ვიზუალიზაციით, გამწოვი მოწყობილობით, კარადით ქიმიური ჭურჭლისთვის,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კარადით რეაქტივებისათვის, რომელიც აღჭურვილია მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი ინვენტარითა და აღჭურვილობით. მიკროსკოპებით, შტატივებით, სასწორებით, საწონებით, სინჯარებით, რეფერაქტომეტრით, კოლბებით, როდინებით და ყველა საჭირო ჭურჭლით .

4.სასწავლო გარემოს მოდელი A/C გარემო -(კაბ .108) სააფთიაქო ბლოკი განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის თეორიული მეცადინეობებისა ქიმიური 20 პროფესიული სტუდენტისათვის ჯგუფური მუშაობისთვის ( 10 ცალი მაგიდა 2 ადგილიანი, 20 სკამი) , რომელიც აღჭურვილია: პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (1ც მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით (1ც მონიტორი), დაფით (1 ცალი), სიმულაციური აფთიაქის კარადით, პრეპარატთა სიმულაციური ნიმუშებით, რეცეპტის შევსებული და შეუვსებელი ბლანკებით, ვიზუალური სარეკლამო ბროშურებითა და ფლაერებით. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად შპს„ილია ჭავჭავაძის სახ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯს“ გაფორმებული აქვს პარტნიორ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება პროფესიული საგამანათლებლო პროგრამის /მოდულების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების შესახებ შპს „PSP“; თან“ 2018 წ30 ივლისს N201803 . (განახლებულია 2025 წლის 20 აგვისტოს) 40 პროფესიულ სტუდენტზე. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგს: პროგრამის სახელწოდება, ხელშეკრულების საგანს,მხარეთა უფლება მოვალეობებს, პრაქტიკანტ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობას (40), მომსახურების ღირებულებას და ანაზღაურების წესს, ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა, ფორს-მაჟორი, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი გაუქმებას, შეთანხმებას პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. პრაქტიკის ობიექტი იღებს ვალდებულებას სასწავლო პროცესის განსახორციელებლად პროგრამის ფარგლებში მოემსახუროს დაწესებულების 40 პროფესიული სტუდენტს. ხელშეკრულებაში აღნიშნული მოდულების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის სწვლებასა და შეფასებას მთელი პროგრამის განმავლობაში, სტუდენტებისთვის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ხელმისაწვდომობას, და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი 8 მოდულის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას:

1. “სანიტარიულ ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“;
2. „მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება“;
3. „პროდუქციის მიღება განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება“;
4. „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში“;
5. „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა“;
6. „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის/საშუალებების შერჩევა“;
8. „მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა“

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 40 სტუდენტზე. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას მოცემულ მომენტში ყავს 20 აქტიური სტუდენტი, რომლებიც განაწილებულნი არიან “PSP’-ს საგარეჯოს სამ ფილიალში ორ ცვლაში შესაბამისად 3-4-3 რაოდენობით ანუ სულ ორივე ცვლაში 20 პროფესიულ სტუდენტს. თვითშეფასების დანართად წარმოდგენილია შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ (საგანმანათლებლო პროგრამა„ფარმაცია(სააფთიაქო) “ მოდულების განხორციელების გარემო

**ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია**

**5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

**ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისობაშია**

**6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დამტკიცებულია შპს „ილია ჭავჭავაძის სახ. საზოგადოებრივი კოლეჯის“დირექტორის ბრძანება N50 -თ16.07.2018წ. ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 10.01 2022წ. N2 ბრძანებით. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 29 ნოემბრის # 111 ბრძანებით (ცვლილება 26.08.2025 #00000129) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგიის“ მიხედვით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დგინდება რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

**ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია**

**7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ანალოგიურია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდების, აქედან გამომდინარე, შესაბამისია პროგრამის შინაარსის და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია**

**8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფარმაცია(სააფთიაქო)“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, მოქმედ საგანმანათლებლო სტანდარტს.დაწესებულების მიერ წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (3 ზოგადი მოდული, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 26 პროფესიული მოდული, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით), სასწავლო გეგმა, ინფორმაცია დისტანციური სწავლების შესაძლებლობების, ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა (120 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, 150 კრედიტი არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 21 სასწავლო თვე (82 კვირა) პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია და 29 სასწავლო თვე (116 კვირა) არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია ფარმაცია (სააფთიაქო) ჩარჩო დოკუმენტი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy, მეხუთე დონე, უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში - 0916.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულების წინაპირობებს (მათ შორის ლოგიკურსაც), დაცულია დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის,(10 დღე) პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ აღემატება დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

**ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ილია ჭავჭავაძის სახ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის „სტრატეგიული განვითარების გეეგმა“ კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 30 აგვისტორ ბრძანება N00000132.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პსდ-ს„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ დამტკიცებულია შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.
- ხელშეკრულება პროფესიული საგამანათლებლო პროგრამის /მოდულების თეორიული და პრაქტიკული ნაწილის განხორციელების შესახებ N201803 30 .07 2025 წ. გაფორმებული შპს „PSP“-თან; განახლებულია 2025 წლის 20 აგვისტოს;
- პსდ-ს „მისია, ხედვა, ღირებულებები“
- საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დამტკიცებულია შპს „ილია ჭავჭავაძის სახ. საზოგადოებრივი კოლეჯის“დირექტორის ბრძანება N50 -თ16.07.2018წ. ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 10.01 2022წ. N2 ბრძანებით.
- „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია“ დამტკიცებულია შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.
- „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. დამტკიცებულია შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.
- დანართი N1. მატერიალური რესურსი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

პსდ "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)" თეორიულ კომპონენტს ახორციელებს შემდეგ მისამრთზე: ქ. საგარეჯო, ლეონიძის ქ. N33 ა, სადაც პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები:

1. სასწავლო გარემო -A/C (კაბ. 109 )-განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისთვის და განთავსებულია : სამუშაო 10 ორადგილიანი მაგიდა- 20 სკამი, 1ცალი პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის). აქვე მოთავსებულია მულაჟები და ორგანოთა სისტემების ვიზუალური თვალსაჩინოებები, მცენარის ორგანოთა სქემები და სურათები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.სასწავლო გარემოს მოდელი B გარემო (კაბინეტი 110) რომელშიც განთავსებულია 20 პერსონალური კომპიუტერი განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისთვის, ხოლო ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.(სულ21 კომპიუტერი), მაგიდები და სკამები სტუდენტებისა და მასწავლებლითვის, დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფა, და სხვა. აქვეა მოთავსებული პრინტერის მთელი მოწყობილობა.

3.სასწავლო გარემოს მოდელი A/C გარემო - (კაბ .106) ქიმიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორია განკუთვნილია 21 პროფესიული სტუდენტისათვის თეორიული მეცადინეობებისა ქიმიური მაგიდები და სკამები 21 პროფესიული სტუდენტისათვის ჯგუფური მუშაობისთვის ( 7 ც ქიმიური მაგიდა 3 ადგილიანი, 21 ლაბორატორიული სკამი) , რომელიცაღჭურვილია: პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (1ც მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით(1ც მონიტორი), დაფით(1 ცალი), სასწავლო თვალსაჩინოებებით /სასტენდო ვიზუალიზაციით, გამწოვი მოწყობილობით, კარადით ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადით რეაქტივებისათვის, რომელიც აღჭურვილია მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი ინვენტარითა და აღჭურვილობით. მიკროსკოპებით, შტატივებით, სასწორებით, საწონებით, სინჯარებით, რეფერაქტომეტრით, კოლბებით, როდინებით და ყველა საჭირო ჭურჭლით, აკლოჰოლომეტრული ,ნივთიერებათა ხსნადობის ცხრილები. შევსებული რეცეპტის ნიმუშებით..

4.სასწავლო გარემოს მოდელი A/C გარემო - -(კაბ .108) სააფთიაქო ბლოკი განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის თეორიული მეცადინეობებისა ქიმიური მაგიდები და სკამები 20 პროფესიული სტუდენტისათვის ჯგუფური მუშაობისთვის ( 10 ცალი მაგიდა 2 ადგილიანი, 20 სკამი) , რომელიც აღჭურვილია: პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (1ც მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით(1ც მონიტორი), დაფით(1 ცალი), სიმულაციური აფთიაქის კარადით, პრეპარატთა სიმულაციური ნიმუშებით, რეცეპტის შევსებული და შეუვსებელი ბლანკებით, ვიზუალური სარეკლამო ბროშურებითა და ფლაერებით. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად შპს„ილია ჭავჭავაძის სახ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯს" გაფორმებული აქვს პარტნიორ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება პროფესიული საგამანათლებლო პროგრამის /მოდულების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების შესახებ შპს „PSP"; თან" 2018 წ3 ივლისს N201803 . (განახლებულია 2025 წლის 20 აგვისტოს) 40 პროფესიულ სტუდენტზე. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგს: პროგრამის სახელწოდება, ხელშეკრულების საგანს,მხარეთა უფლება მოვალეობებს, პრაქტიკანტ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობას (40), მომსახურების ღირებულებას და ანაზღაურების წესს, ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა, ფორს-მაჟორი, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი გაუქმება, შეთანხმება პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკის ობიექტი იღებს ვალდებულებას სასწავლო პროცესის განსახორციელებლად პროგრამის ფარგლებში მოემსახუროს კოლეჯის 40 პროფესიული სტუდენტს. ხელშეკრულებაში აღნიშნული მოდულების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის სწვლებასა და შეფასებას მთელი პროგრამის განმავლობაში, სტუდენტებისთვის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ხელმისაწვდომობას, და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი 8 მოდულის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას:

1. "სანიტარიულ ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში";
2. „მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება";
3. „პროდუქციის მიღება განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება";
4. „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში";
5. „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა";
6. „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა";
7. „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის/საშუალებების შერჩევა";
8. „მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების

დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)" მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 40 პროფესიულ სტუდენტს.საგანმანათლებლო პროგრამის 26 მოდულიდან, სასწავლო გეგმით 8 მოდული ხორციელდება პრაქტკის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებაში, შპს „PSP"-ში, რომლებიც უზრუნველყოფენ ყოველწლიურად თითოეული20 სტუდენტის მიღებასა და პრაქტიკული კომპონენტის გატარებას. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ობიექტი თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

**ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია**

**2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროგრამის პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 19 პირი, მათ შორის 8 ზოგადი მოდულების განმახორციელებლი, ხოლო დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი - 11 აქედან 5 დარგობრივი. ყველა პროფესიული პედაგოგი თავისი საქმის პროფესიონალია, კარგად იცნობს მოდულს, ადგენს შეფასების ინსტრუმენტს, კალენდარულ გეგმას, მონაწილეობს ვალიდაციის პროცესში. ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის დატვირთვის ფურცლები. წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

**ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია**

**3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემოწმდა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს. ყველა მათგანი არის კვალიფიციური და გამოცდილი, პროფესიული განათლების მასწავლებლები იცნობენ პროგრამას, მონაწილეობას იღებენ მოდულების ადაპტირებაში, აქვთ ინფორმაცია მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხეზში. გავლილი აქვთ როგორც დაწესებულების , ისე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის სწავლებით. **პროგრამაში არსებული ხშირი ცვლილებების (დარგობრივი და ხარისხობრივი განახლებების) გათვალისწინებით, მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებლების უფრო ინტენსიური ჩართულობა კვალიფიკაციის ასამაღლებელ აქტივობებში. სასურველია პედაგოგები სისტემურად მონაწილეობდნენ დარგობრივ შეხვედრებში, თანამედროვე პრაქტიკების გაცნობის სესიებში და შესაბამის ტრენინგებში, რათა მათ მიერ განხორციელებული სწავლების პროცესი მუდმივად შეესაბამებოდეს განახლებული მოთხოვნებს, სტანდარტებს და პროგრამის სპეციფიკას.**

**ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია**

**4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება, როგორც მისი პირადი საქმით, ისე გასაუბრებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროგრამის ხელმძღვანელი შესაბამისი დარგობრივი განათლების მქონე პირია, დარგის სპეციალისტი, მოქმედი,რომელსაც აქვს დარგობრივი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქმიანობისა და სწავლების, მათ შორის პრაქტიკული სწავლების, მრავალწლიანი გამოცდილება. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება პირის შესაბამისობა საკანონმდებლო, დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებსა და დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებთან რომელიც გაწერილია დირექტორის 2024 წლის 2 სექტემბრის N 01-15 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობაში.
პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელების, ისე პროგრამის ადმინისტრირების პროცესებში, შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ფარგლებში, პერიოდულად ესწრება მეცადინეობებს, კომპეტენციის ფარგლებსა და ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით, საჭიროებისამებრ ჩაერთვება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესებში. ზრუნავს პროგრამისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარებაზე.
პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა ,რომ პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტზე გასული სტუდენტების მონიტორინგს. გამომდინარე აქედან, **სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს აღნიშნული ფუნქციის მკაფიოდ და სრულად აისახვა პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობაში.**
**ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია**
**5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**
საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერში. ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები, რომლებიც მატერიალური სახით ინახება ბიბლიოთეკაში, მათი უმრავლესობა გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე. პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსები - ნორმატიული აქტების კონსოლიდირებული ვერსიები ხელმისაწვდომია პროგრამის ხელმძღვანელისთვის და პერსონალისთვის. ასევე დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს"პროსერვისთან" (5-02/22 1 მაისი 2023 წ.)ინტერნეტ მომსახურების შესახებ, რაც უზრუნველყოფს მუდმივ ინტერნეტ კავშირს. დაწესებულება ჩართულია პირადი ავტორიზებული მომხმარებლების სახით სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (www.matsne.gov.ge) საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემაში და საჭიროების შემთხვევაში ისინი ახდენენ განმახორციელებებლი პირების ინფორმირებას განხორციელებული ცვლილებების შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბიბლიოთეკარი არის თავისი საქმის კარგად მცოდნე სპეციალისტი და საკმაოდ კარგად იცნობს ბიბლიოთეკაში არსებულ საგანმანათლებლო რესურსს და სწრაფად მოქმედებს მოთხოვნის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

**ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია**

**6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

დაწესებულებას სასწავლო პროცესის მართვის წესში (დამტ.ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ). გაწერილი აქვს სასწავლო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს:

- სპეციალისტის მოწვევას;
- საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფას; (საგანმანათლებლო რესურსის ამობეჭდვას პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტით და სხვა მახასიათებლებით; საგანმანათლებლო რესურსის შინაარსობრივ ცვლილებას და მის მორგებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე, რაც გულისხმობს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის შესაძლებლობას და სხვა.)
- დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილების ხელშეწყობას ( ხელჯოხით უსაფრთხოდ გადაადგილების სწავლებას სპეციალისტის ჩართულობით)
- სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერას;
- ადმინისტრაციული მხარდაჭერას
- სხვა ღონისძიება, საჭიროების მიხედვით .

**ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისობაშია**

**7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

პროგრამის განხორციელების მდგრადობა რეგულირდება დაწესებულების ფინანსური რესურსების დაგეგმვის, გამოყენებისა და მონიტორინგის წესით.” (დამტკიცებულია შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ)). დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(საავფთიაქო), ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ფინანსურად მდგრადია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. ხარჯვითი ნაწილი მოიაზრებს :ადმინისტრაციის და პროფესიული მასწავლებლების ხელფასის ხარჯს, პროფესიული მასწავლებლებისა განვითარების, კომუნალური გადასახადების ხარჯს, მასალებისა და ნედლეულის და სხვა ხარჯს. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, პრაქტიკის განხორციელების ხარჯი, სასწავლო მასალები და კომუნალური ხარჯები, რეკლამისა და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები რომლის პირობებშიც პროგრამის რენტაბელობა უზრუნველყოფილია. ამ შემთხვევაში მიღებული შემოსავლები სრულად ფარავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა აუცილებელ ხარჯს.

**ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (საავფთიაქო)“ თანდართული დოკუმენტაციით
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ.
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელიწესში ( „ინდივიდუალურისაგანმანათლებლო გეგმის შემუშავება“ ინკლუზიური განათლება.
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულება პროგრამის პრაქტიკული კომპონენის განხორციელების შესახებ;
- დაწესებულების ფინანსური რესურსების დაგეგმვის, გამოყენებისა და მონიტორინგის წესით.” (დამტკიცებულია შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბიბლიოთეკის დებულება. დამტკიცებულია შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.
- ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება
2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით
1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია“ (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.)). მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რომელიც ეფუძნება ხარისხის მართვის ციკლურ მოდელს (დემინგის ციკლი: დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე) და უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობასა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების გარემოს განვითარებას. შეფასების პროცესი მოიცავს როგორც შიდა, ისე გარე მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს და ხორციელდება რეგულარულად, ასევე საჭიროების შემთხვევაში – საგანგებო გარემოებების არსებობისას. შეფასების საფუძვლად გამოიყენება: პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგები, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების ხარისხი და დასაქმების მაჩვენებლები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებები, დამსაქმებელთა და პარტნიორი ორგანიზაციების უკუკავშირი, შრომის ბაზრის ტენდენციები და მოთხოვნები, საგანმანათლებლო სტანდარტებში განხორციელებული ცვლილებები, გარე შეფასებებისა და ექსპერტიზის დასკვნები და სხვა შესაბამისი მონაცემები. შეფასების შედეგების საფუძველზე დაწესებულება აიდენტიფიცირებს პროგრამის ძლიერ და გასაუმჯობესებელ ასპექტებს, ამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს. პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილეობენ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი (პროცესის მონიტორინგის ნაწილში), პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის განმახორციელებელი პირები და საჭიროების შემთხვევაში – სხვა დაინტერესებული მხარეები. შესაბამისად, აღნიშნული მექანიზმი სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირთან და ხარისხის მართვის პრინციპებთან შესაბამის შეფასებასა და განვითარებას.

**ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია**

**2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №111, 29.11.2023 წ.; ცვლილება: №00000129, 26.08.2025 წ.), რომელიც განსაზღვრავს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზისა და მათი საფუძველზე ცვლილებების განხორციელების წესებსა და პროცედურებს. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება შეფასების შედეგების, შრომის ბაზრის ტენდენციების, საგანმანათლებლო სტანდარტებსა და პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებების, ტექნოლოგიური და სხვა რელევანტური ფაქტორების საფუძველზე. ცვლილების ინიცირება შესაძლებელია დირექტორის, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, სასწავლო პროცესის მენეჯერის,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამის განმახორციელებელი პირის ან პარტნიორი ორგანიზაციის მხრიდან. ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს მოდულის დამატებას ან ამოღებას, მოდულის შინაარსის ან სწავლების მეთოდების განახლებას, სასწავლო გეგმის კორექტირებას, პროგრამის მიზნებისა და შედეგების გადახედვას, საგანმანათლებლო რესურსებისა და თემატიკის განახლებას და სხვა შესაბამის ცვლილებებს. ცვლილებების განხორციელება ხდება სამუშაო ჯგუფის მეშვეობით, რომელიც ადგენს ცვლილების საჭიროებებს, ამზადებს შესაბამის დოკუმენტაციას და წარადგენს დირექტორისთვის დამტკიცების მიზნით. სამუშაო ჯგუფის ფორმირება ხდება დირექტორის ბრძანებით ან პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით. ცვლილებები თანხვედრაში უნდა იყოს პროგრამის მიზნებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებთან. პროგრამის განხორციელებისას უზრუნველყოფილია სტუდენტთა ინტერესების დაცვა და სწავლის უწყვეტობა.

**ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია“ (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.)
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ფარმაცია (სააფთიაქო)" დაწესებულებას მოთხოვნების თანახმად შემუშავებული აქვს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არაქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. გეგმა გაწერილია 2 აკადემიურ წელზე - არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 32 სასწავლო თვე, 125 სასწავლო კვირა, ხოლო ქართულენოვანი კონტიგენტისთვის 23 სასწავლო თვე, 93 სასწავლო კვირა. საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები. წინაპირობების არსებობის შემთხვევაში დაცულია განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული ვადები.

**ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია**

**2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

დაწესებულება სასწავლო პროცესს გეგმავს და ახორციელებს პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, სადაც მათ აწვდიან სრულ ინფორმაციას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის შინაარსზე, სწავლის პირობებსა და შესაძლებლობებზე, ასევე მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში განხორციელდება ცვლილება ან მოხდება მისი შეწყვეტა, დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის განათლების გაგრძელების შესაძლებლობას. დაწესებულება ოპერატიულად რეაგირებს სტუდენტების საჭიროებებზე და მაქსიმალურ მხარდაჭერას უწევს სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე.

**ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია**

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ელ-რესურსები. ასევე მოდულებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქციული მეთოდები: ინეტრაქციული ლექცია, დემონსტრირება, პრეზენტაცია, გონებრივი იერიში, ფოტო-ვიდეო მასალების ჩვენება-განხილვა, ჯგუფური სამუშაო, პრაქტიკული შემთხვევების და კრიტიკული შემთხვევების განხილვა, როლური თამაში, პრაქტიკული დავალება და სხვ. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის შერჩეულია დარგის ლიდერი კომპანია, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ტექნოლოგიებით. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართულები არიან პროფესიული განათლების სისტემაში განხორციელებულ პროექტებში (საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა/ცვლილებების ინიცირება, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

**ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისობაშია**

**4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

დაწესებულება სწავლების პროცესში გაითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს მათთვის შესაბამისი პირობების შექმნას პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდება ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და განსაზღვრავს სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებსა და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. „სასწავლო პროცესის მართვის წესის" მიხედვით, პროფესიულ სტუდენტს ინდივიდუალურ რეჟიმში შეუძლია კომპონენტის გავლა შემდეგ შემთხვევებში: თუ დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების შედეგის გათვალისწინებით ვერ მიიღო დადებითი შეფასება არარენტაბელური ჯგუფის ფორმირების შემთხვევაში, როცა დაწესებულება ვალდებულია სტუდენტს გაატაროს შესაბამისი კომპონენტი, სტატუსშეჩერებული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის შემდეგ, პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში ცალკეული კომპონენტების გაუვლელობის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არ ხდება სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა, მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების შედეგად დარჩენილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის გავლისას, შიდა ან გარე მობილობის შემთხვევაში. აღნიშნულ შემთხვევებში სასწავლო პროცესის დაგეგმვის საფუძველია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული ან სტატუს აღდგენილი სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას და მათი სწავლის პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფას.

**ინდიკატორი 2.4.1.4 შესაბამისობაშია**

**5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „PSP"-თან. ხელშეკრულებით დარეგულირებულია: ხელშეკრულების საგანი, მომსახურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები, მოდულების (8 პროფესიული მოდული) და სწავლის შედეგების დასახელება, საათობრივი დატვირთვა, რომელიც განხორციელდება ბაზაზე, თანამშრომლობის ვადა, ორგანიზების საკითხები, კომპანიის გამტარუნარიანობა (სულ 80 პროფესიული სტუდენტის მიღება), მატერიალურ - ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება დაწესებულება უზრუნველყოფს სწავლების განხორციელებას შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების დაცვით დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რომლებიც გატანილია მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად პრაქტიკის ბაზაზე. ხელშეკრულებაში გაწერილია დაწესებულებასა და პარტნიორს შორის კოორდინაციის საკითხები. ხელშეკრულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობას. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტიორი ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა, რომ იცნობზნ ხელშეკრულებით და მოდულით გათვალისწინებული მოთხოვნებს (მათ შორის მოდული, სასწავლო გეგმა, შეფასების ინსტრუმენტის შედგენა, ვალიდაცია,ვერიფიკაციის პროცესებს.

**ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისობაშია**

**6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის პირებისა და სამსახურების არსებობა. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით ,სწავლების პროცესში შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ, სრულ სამუშაო/სასწავლო სივრცეში შეფასებულია რისკები და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავებულია პრევენციული ღონისძებები, ხორციელდება რისკების გეგმისა და სასწავლო/სამუშაო გარემოს სისტემატური მონიტორინგი. გარემოს ვიზულური დათვალიერებითა და შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულებაში დაცულია სასწავლო/სამუშაო პროცესი განხორციელებისას რეგულაციები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ასევე „ფარმაცია სააფთიაქოსთვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები: დირექტორის მიერ დამტკიცებულია შპს ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის "ნარჩენების მართვის წესი" (ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.). დაწესებულებაში C გარემოში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (დამუხტული ცეცხლმაქრები), გამოკრულია ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის წესები, ჩამოყალიბებული აქვს წესი „პირველადი დახმარება ქიმიურ ლაბორატორიაში“ რომლებსაც სტუდენტები ეცნობიან პირველ პრაქტიკულზე., პროგრამის დარგობრივ კაბინეტებში განთავსებულია გამწოვი კარადა. დაწესებულება სისტემატიურად ახდენს უსაფრთხოების საშუალებათა/პირადი დაცვის საშუალებათა შეძენას, რაც დასტურდება შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაციით. ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობა ხორციელდება „ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის წესები" .-ის გათვალისწინებით. ასევე უტილიზაცია ხორციელდება "ნარჩენების მართვის წესის" მიხედვით უტილიზაციის კომპანიის მიერ. (2025 წლის 25 ივნისის ხელშეკრულება შპს „ეკომედთან"). .ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოსა და გარშემო მყოფ პირებს. ნარჩენების მართვა გაწერილია ზემოთ აღნიშნულ წესში.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისობაშია**

- დასტურდება (მტკიცებულებები):
- 2025 წლის 25 ივნისის ხელშეკრულება შპს „ეკომედთან“
- ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის წესი;
- დათვალიერების შედეგები;
- სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. დამტკიცებულია შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ;
- "პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები" დამტკიცებულია შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.
- ხელშეკრულება შპს „PSPთან“;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ნარჩენების მართვის წესი“; დამტკიცებულია შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ. ;
- პსდ-ს ,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;,
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დამტკიცებულია შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ;
- წესი „პირველადი დახმარება ქიმიურ ლაბორატორიაში“
- შრომის უსაფრთხოების ჟურნალი რისკების შეფასება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მართვის წესი“ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №111, 29.11.2023 წ.; ცვლილება: №00000129, 26.08.2025 წ.), რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის პრინციპებსა და განხორციელების წესს. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლების შედეგების ობიექტურ და სამართლიან დადასტურებას და ეფუძნება შემდეგ პრინციპებს :ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი დარგის სპეციალისტთან ერთად (საჭიროების შემთხვევაში პროცესში შეიძლება ჩაერთოს მოწვეული გარე ექსპერტი/ვალიდატორი). ვალიდაცია ტარდება შეფასების ჩატარებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე. შეფასების ინსტრუმენტის პროექტი, საჭიროების შემთხვევაში, უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს ან სამუშაო ჯგუფს რეკომენდაციებისა და შენიშვნების გასათვალისწინებლად, რომლებიც ვალდებულნი არიან განახორციელონ შესაბამისი შესწორებები მოკლე ვადაში. ვალიდაციის პროცესი დოკუმენტირდება სპეციალური კითხვარის მეშვეობით, რომელსაც ხელს აწერენ სასწავლო პროცესის მენეჯერი და ვალიდაციაში ჩართული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დარგის სპეციალისტი. ვალიდურად მიიჩნევა მხოლოდ ის ინსტრუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს, და შეფასების მიზნებისთვის გამოიყენება მხოლოდ ასეთი ვალიდური შეფასების ინსტრუმენტი.შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციისა და შეფასების ადმინისტრირების პროცესები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და დაცულია სამართლიანობის პრინციპები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ნაწილში, რაც დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსერტთა ჯგუფის ინტერვიურების გზით, მათ შორის კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთათვის შეფასების შედეგების გაცნობა. პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუირებით და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტით დასტურდება, რომ აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას, რაც სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას.

**ინდიკატორი 2.4.2.1 შესაბამისობაშია**

**2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023 წ.; ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025 წ.), რომლის მე-14 მუხლი არეგულირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, წინასწარ შემუშავებული ფორმების საფუძველზე. პროცესში მონაწილეობენ ორი მიმართულების ვერიფიკატორები: განათლების მიმართულებით ვერიფიკატორი და დარგის მიმართულებით ვერიფიკატორი. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, ვერიფიკატორი არ მონაწილეობს იმ ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციაში, რომელთა შექმნასა ან ვალიდაციაში თავად იყო ჩართული. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოთხოვნით იწვევს შესაბამისი დარგის სპეციალისტს. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი დირექტორს წარუდგენს ვერიფიკაციის გეგმის პროექტს და საჭირო დოკუმენტაციას დასამტკიცებლად. დამტკიცების შემდეგ, დირექტორი ქმნის ვერიფიკაციის ჯგუფს და განსაზღვრავს მის ხელმძღვანელს. ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით:

- გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;
- შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაცია არის შერჩევითი პროცესი და ეფუძნება რისკების ანალიზს. რისკის ფაქტორებად განიხილება დამწყები პროფესიული მასწავლებლის ფაქტორი, პირველადი შეფასებისას ერთნაირი შედეგების მიღება ყველა სტუდენტისთვის, ან სხვა გარემოებები, რომლებიც ზრდის შეუსაბამობის ალბათობას. შერჩევა შეიძლება მოიცავდეს საერთო მტკიცებულებების 15–20%-ს ან სხვა მოცულობას, რაც განისაზღვრება რისკების ანალიზის საფუძველზე. ვერიფიკაციის შედეგები ფორმდება დასკვნაში, სადაც აისახება შეფასების ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, ობიექტურობა, გამოვლენილი პრობლემური საკითხები და რეკომენდაციები პროცესების გაუმჯობესებისთვის. დასკვნის განხილვაში მონაწილეობენ მასწავლებლები, თანამშრომლები, დარგის ექსპერტები, დამსაქმებლები და პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები. განხილვის შედეგად მუშავდება სამოქმედო გეგმა პრობლემების აღმოსაფხვრელად, განისაზღვრება ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსები. ფართომასშტაბიანი საკითხების შემთხვევაში, სამოქმედო გეგმა შეიძლება გახდეს წლიური გეგმის ნაწილი, ხოლო ინდივიდუალური შემთხვევებისას — ცალკე დოკუმენტი. გეგმის შესრულება ექვემდებარება მონიტორინგს. განმეორებითი ვერიფიკაცია ტარდება ახალი ინსტრუმენტების შექმნისას, არსებულებში ცვლილებების შეტანისას, განმახორციელებელი პირის შეცვლისას ან სხვა მნიშვნელოვანი გარემოებებისას. ცვლილებების ინიცირების უფლება აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის წევრს, სასწავლო პროცესის მენეჯერს და პროგრამის განმახორციელებელ პირს. ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, ინსტრუმენტები თავიდან გადიან ვალიდაციის პროცესს. დაწესებულებამ წარმოადგინა ვერიფიკაციის ჯგუფის დამტკიცებისა და ვერიფიკაციის გეგმის დამტკიცების შესახებ შესაბამისი ბრძანებები, ასევე, უკვე განხორციელებული ვერიფიკაციის დასკვნა. წარმოდგენილი დასკვნიდან იკვეთება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო) “ შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები ეხებოდა შეფასების ინსტრუმენტებში არსებულ ტექნიკურ უზუსტობებს. აღნიშნული რეკომენდაციები დაწესებულების მიერ უკვე გათვალისწინებულია ახალი შეფასების ინსტრუმენტებში.

**ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისობაშია**

**3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მართვის წესი“ (დამტ .ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ). ), რომელიც განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების აღრიცხვისა,შენახვის წესებსა და ვადებს. აღნიშნული წესის 58-ე მუხლის 58.3 პუნქტის მიხედვით, შეფასების მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რის შემდეგაც ხდება მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ან შენარჩუნება საგანმანათლებლო მიზნებისთვის, ან გადაცემა ავტორს. პუნქტის 58.4 თანახმად, შეფასების პროცესში შექმნილი მალფუჭებადი პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს კონკრეტული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულის სწავლის შედეგის დადასტურების მტკიცებულებას, ფიქსირდება სპეციალურ ფორმულარში. აღნიშნულ ფორმულარში აისახება მოდულის დასახელება, სასწავლო შედეგი, შემსრულებელი პირი, მოდულის განმახორციელებელი, თარიღი და სხვა შესაბამისი მონაცემები. პროდუქტის ფოტომასალა ფორმულართან ერთად ინახება კოლეჯში შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რის შემდეგაც მტკიცებულება ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ან რჩება დაწესებულებაში საგანმანათლებლო მიზნებისთვის/გადაეცემა ავტორს.

58.5 პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას შექმნილი ელექტრონული პროდუქტი, რომელიც დაკავშირებულია სწავლის შედეგის დადასტურებასთან, ინახება ციფრულ მატარებელზე იგივე პრინციპით — შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, შემდგომში მისი განადგურება ან შენარჩუნება ხორციელდება ზემოაღნიშნული წესით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები, შევსებული უწყისები რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევთ იქნა გადამოწმებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

**ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია**

**4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მართვის წესი რომლის მიხედვითაც , პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით. სასწავლო პროცესის მენეჯერთან, პროფესიული სტუდენტებთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენებენ განმავითარებელი შეფასებას, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. პროფესიული სტუდენტები უკუკავშირს მიიღებენ პერსონალური მონაცემების დაცვით.

**ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისობაშია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო პროცესის მართვის წესი (დამტ.ბრძანება N111 - 29/11/2023წ.  ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ).
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023 წ.; ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025 წ.)
- შპს ილიას ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 19 დეკემბრის ბრძანება N 124 ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ
- ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნა
- ვალიდაციის ნიმუში
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

| | |
|---|---|
| **პროგრამის სახელწოდება** | ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა |
| **პროფესიული განათლების დონე** | III |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში/ Basic Vocational Qualification in Information Technology Support; |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | 25.08.2025 N 00000128 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. საგარეჯო ლეონიძის ქ. 33 ა |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებული სამუშოა გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 20 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 55 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 70 |

## VII. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

*იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.*

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |

დასაბუთება
..............................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................
...........................

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**
გადაწყვეტილება პროგრამის დამატების შესახებ საკმარისად დასაბუთებული და არგუმენტირებულია. „შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების არგუმენტირებული დასაბუთება, რომელიც ეფუძნება შრომის ბაზრის ანალიზსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არსებულ მოთხოვნებს. აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდ გამოკვეთილია პროგრამის აუცილებლობა, მიზანმიმართულობა, რელევანტურობა, რაც სრულ თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომზადებას. გადაწყვეტილება სრულად ეფუძნება დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომლის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, არსებული პროგრამების მოდერნიზება და მათი სპექტრის გაფართოება. პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაწესებულებამ გაანალიზა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა. ანალიზის მიხედვით, ფიქსირდება სტაბილურად მზარდი მოთხოვნა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სპეციალისტებზე. აღნიშნული მოთხოვნა განპირობებულია სფეროს სწრაფი განვითარებით, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სამუშაოს სპეციფიკითა და კონკურენტუნარიანი ანაზღაურებით. განსაკუთრებით მაღალია საჭიროება პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების, ქსელური ტექნოლოგიების, მონაცემთა ბაზების მართვისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვა მიმართულებებზე. აღნიშნული ტენდენცია სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს — მოამზადოს მაღალკვალიფიციური, პრაქტიკულ უნარებზე ორიენტირებული IT სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ კონკურენტუნარიანი პოზიციების დაკავებას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე და თავიანთი საქმიანობით შეუწყობენ ხელს ქვეყნის ციფრული ეკონომიკის განვითარებას. შრომის ბაზრის ანალიზი ადასტურებს, რომ ქვეყანაში შეზღუდულია იმ პროფესიონალთა რაოდენობა, რომლებიც ფლობენ თანამედროვე ტექნოლოგიებს და პრაქტიკულ გამოცდილებას პროგრამული უზრუნველყოფის, ქსელური სისტემების, მონაცემთა ბაზების ადმინისტრირების და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით. განსაკუთრებით მწვავეა კადრების ნაკლებობა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ისეთ პოზიციებზე, სადაც აუცილებელია პროგრამირების, სისტემური ადმინისტრირების, ვებტექნოლოგიებისა და მონაცემთა ანალიტიკის ცოდნა.
დასაქმების საიტებზე განთავსებული ვაკანსიების მიხედვით, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორი აქტიურად ეძებს სპეციალისტებს, რომლებსაც გააჩნიათ პროგრამირების ენების (HTML, CSS, JavaScript, Python, PHP და სხვ.) ასევე მონაცემთა ბაზების მართვის, კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის, ქსელებისა და სისტემების ადმინისტრირების, თანამედროვე ვებ და მობილური აპლიკაციების შექმნის პრაქტიკული გამოცდილება. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ქ. საგარეჯოს მერიის წერილი,სადაც აღნიშნულია, რომ მუნიციპალოტეტის სტრუქტურაში და მის დაქვემდებარებაში არსებულ ერთეულებში არსებობს საჭიროება ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის სპეციასლიტებზე. დაწესებულებას ასევე აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიასთან ( 30.07.2025). აღნიშნული მემორანდუმის მიზანია ხელი შეუწყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ხარისხიანი პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა, დასაქმების შესაძლებლობების ზრდა და უმუშევრობის შემცირება. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან დასტურდება, რომ გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

**ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია**

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხადაჭერა“ დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება. დაწესებულების მიერ განსაზღვრული წინაპირობები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან და არ მოიცავს სხვა სპეციფიკურ მოთხოვნებს. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად უზრუნველჰყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველჰყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. .ექსპერტების მიერ გადამოწმდა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებული პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რითაც დადასტურდა, რომ პროგრამაზე სწავლობენ პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით ჩარიცხული პირები.

**ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

დაწესებულებაში შემუშავებულია „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია" რომლის თანახმადაც საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები:

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა;

- A სასწავლო გარემო/თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე - სტუდენტების რაოდენობა თეორიული მეცადინეობის ოთახში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით:

  ა) ყოველ პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე სამუშაო ადგილების რაოდენობა;

  ბ) კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა;

- B სასწავლო გარემო/კომპიუტერული კლასი გამოიყენება ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამისათვის და გაანგარიშდება სტუდენტთა საერთო რაოდენობაზე. კომპიუტერების რაოდენობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ყველა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე ინდივიდუალურ კომპიუტერთან მუშაობა;
- C სასწავლო გარემო/პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე, რომელიც იძლევა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების საშუალებას. C სასწავლო გარემოში სტუდენტების რაოდენობის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება:

ა) ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

ბ) ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოს ფართი; კონკრეტული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით/საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა;

აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გაოყოფილი აქვს ერთი ABC გარემო, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ ამ პროგრამის განხორციელებისთვის. დაწესებულებას აქვს საშუალება მიიღოს 20 სტუდენტი. გარემო სრულად აღჭურვილია პროგრამის სპეციფიკით გათვალიწინებული მატერიალური-რესურსებითა და ინვენტარით. პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულება გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები 11 განმახორციელებლ პირთან. მათგან ოთხი არის დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პირი, ხოლო 7 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი პირი.

**ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ვალიდურია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია**

**5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს

**ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისობაშია**

**6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმციის ტექნოლოგიების მხადაჭერა “ დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს ბრძანება N 00000128 -თ . დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 29 ნოემბრის # 111 ბრძანებით (ცვლილება 26.08.2025 #00000129) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგიის“ მიხედვით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დგინდება რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

**ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია**

**7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა თანხვედრაშია პროფესიული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ პროგრამის სახელწოდებასთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია**

**8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“თან ახლავს სასწავლო გეგმები პროგრამის ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს არაინტეგირებული მიდგომით. სწავლის ხანგრძლივობა წარმოდგენილი გეგმებით შეადგენს: ქართულენოვანი კონტინგენტისთვის შეადგენს: - 39 სასწავლო კვირა ( 55 კრედიტი), არაქართულენოვანი კონტინგენტისთვის 54 სასწავლო კვირა, 70 კრედიტი). სასწავლო გეგმით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას, კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების განხორციელებისთვის ლოგიკური თანმიმდევრობა და დადასტურების/განმეორებითი დადასტურებისთვის ვადები.
**ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები;
- დაწესებულების 2025-2032 წწ სტრატეგიული გეგმა დამტ. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 30 აგვისტოს ბრძანება N 00000132
- ინფორმაციული ტექნილოგიის მხარდაჭერია პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების“ მეთოდოლოგია დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025
- „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ დამტკიცებულია ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.
- პროგრამა ინფორმაციის ტექნოლოგიის მხადაჭერა დამტ.დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს ბრძანება N 00000128
- მთავარი დებულება დამტ დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 29 ნოემბრის ბრძანება N 111 ცვლილება შესულია 2025 წლის 26 აგვისტოს ბრძანება N 000000129
- ქ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიასტან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 30.07.2025
- პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმე;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინვენტარიზაცია;
- ინტერვიუს შედეგები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრა " განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს:ერთი ABC გარემო (209 აუდიტორია). რომელიც განკუთვნილია მხოლოდ ამ პროგრამის განხორციელებისათვის. აუდიტორია აღჭურვილია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსით. აღნიშნული დასტურდება როგორც ვიზუალური დათვალიერებით ასევე ინვენტარიზაციით. პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში.

**ინდიკატორის 2.2.1.1 შესაბამისობაშია**

**2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია აქვს 11 განმახორციელებლ პირთან. მათგან ოთხი არის დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პირი, ხოლო 7 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი პირი. სასწავლო გეგმის მიხედვით მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმას. შესაბამისად ინფორმაციის ტექნოლოგიის მხადაჭერის პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

**ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია**

**3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის პერიოდში ექსპერთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები. დაწესებულებას გაწერილი აქვს პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ პროგრამის ყველა განმახორციელებელი აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ამასთან, დარგობრივი მოდულების განმახორცილებლებს აქვთ მრავალფეროვანი გამოცდილება კომპიუტერულ ქსელებთან მუშაობის მიმართულებით, რასაც ადასტურებს მათი პირადი საქმეები.პროგრამის განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვს ტრენინგები პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების მიმართულებით. შესაბამისად, ყველა მასწავლებელს უდასტურდება აღნიშნული მიმართულებით კომპეტენცია.

**ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია**

**4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინფორმაციის ტექნოლოგიის ხელმძღვანელს უდასტურდება დარგობრივი კომპეტენცია. დარგის ექსპერტის მიერ გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე. იგი არის მოქმედი კომპიუტერული ქსელის სპეციალისტი პროფესიულ კოლეჯში სწავლების გამოცდილებით.

**ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია**

**5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის საგანამათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითობის პრინციპით გადამოწმდა პრიგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები. ელექტრონული სახით არსებული რესურსი ჩაწერილია ბიბლიოთეკაში განთავსებულ კომპიუტერებში და CD დისკებზე. მატერიალურად არსებული რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. პროგრამის სწავლება ითვალისწინებს არაერთ საკანონმდებლო დოკუმენტებს. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე ხშირია აღნიშნული საკანონმდებლო დოკუმენტების ცვლილება/განახლება. როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას გაირკვა, დაწესებულებას აქვს შეძენილი საკანონმდებლო მაცნეზე-https://www.matsne.gov.ge/ წვდომის უფლება.

**ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

დაწესებულებას სასწავლო პროცესის მართვის წესში (დამტ.ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ). გაწერილი აქვს სასწავლო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს:

- სპეციალისტის მოწვევას;
- საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფას; (საგანმანათლებლო რესურსის ამობეჭდვას პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტით და სხვა მახასიათებლებით; საგანმანათლებლო რესურსის შინაარსობრივ ცვლილებას და მის მორგებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე, რაც გულისხმობს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის შესაძლებლობას და სხვა.)
- დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილების ხელშეწყობას ( ხელჯოხით უსაფრთხოდ გადაადგილების სწავლებას სპეციალისტის ჩართულობით)
- სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერას;
- ადმინისტრაციული მხარდაჭერას
- სხვა ღონისძიება, საჭიროების მიხედვით .

**ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისობაშია**

**7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. პროგრამის განხორციელება სრულად დაფინანსებულია ვაუჩერული სისტემის პრინციპით დაწესებულება სახელმწიფოსგან იღებს თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს პროგრამაში განსაზღვრული მოდულების ღირებულების შესაბამისად. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ფინანსური რესურსებით სრულად უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამისთვის შედგენილია დეტალური ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების ნაწილს. ბიუჯეტი გათვლილია სტუდენტთა იმ მინიმალურ რაოდენობაზე, რომლის პირობებშიც უზრუნველყოფილია პროგრამის რენტაბელობა. აღნიშნული გათვლების მიხედვით, მიღებული შემოსავლები სრულად ფარავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა აუცილებელ ხარჯს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა “
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები/ შრომითი ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროფესიულ განათლების მასწავლებელთა ტრენინგებზე დასწრების მტკიცებულებები;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
- ბიუჯეტის ფორმა;
- ინვენტარიზაცია;
- საკანონმდებლო მაცესთან გაფორმებული ხელშეკრულება
- გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია" (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.) მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რომელიც ეფუძნება ხარისხის მართვის ციკლურ მოდელს (დემინგის ციკლი: დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე) და უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობასა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების გარემოს განვითარებას. შეფასების პროცესი მოიცავს როგორც შიდა, ისე გარე მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს და ხორციელდება რეგულარულად, ასევე საჭიროების შემთხვევაში საგანგებო გარემოებების არსებობისას. შეფასების საფუძვლად გამოიყენება: პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგები, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების ხარისხი და დასაქმების მაჩვენებლები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებები, დამსაქმებელთა და პარტნიორი ორგანიზაციების უკუკავშირი, შრომის ბაზრის ტენდენციები და მოთხოვნები, საგანმანათლებლო სტანდარტებში განხორციელებული ცვლილებები, გარე შეფასებებისა და ექსპერტიზის დასკვნები და სხვა შესაბამისი მონაცემები. შეფასების შედეგების საფუძველზე დაწესებულება აიდენტიფიცირებს პროგრამის ძლიერ და გასაუმჯობესებელ ასპექტებს, ამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს. პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილეობენ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი (პროცესის მონიტორინგის ნაწილში), პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის განმახორციელებელი პირები და საჭიროების შემთხვევაში – სხვა დაინტერესებული მხარეები. შესაბამისად, აღნიშნული მექანიზმი სრულად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირთან და ხარისხის მართვის პრინციპებთან შესაბამის შეფასებასა და განვითარებას.

**ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია**

**2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №111, 29.11.2023 წ.; (ცვლილება: №00000129, 26.08.2025 წ.)), რომელიც განსაზღვრავს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზისა და მათი საფუძველზე ცვლილებების განხორციელების წესებსა და პროცედურებს. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება შეფასების შედეგების, შრომის ბაზრის ტენდენციების, საგანმანათლებლო სტანდარტებსა და პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებების, ტექნოლოგიური და სხვა რელევანტური ფაქტორების საფუძველზე. ცვლილების ინიცირება შესაძლებელია დირექტორის, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, სასწავლო პროცესის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამის განმახორციელებელი პირის ან პარტნიორი ორგანიზაციის მხრიდან. ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს მოდულის დამატებას ან ამოღებას, მოდულის შინაარსის ან სწავლების მეთოდების განახლებას, სასწავლო გეგმის კორექტირებას, პროგრამის მიზნებისა და შედეგების გადახედვას, საგანმანათლებლო რესურსებისა და თემატიკის განახლებას და სხვა შესაბამის ცვლილებებს. ცვლილებების განხორციელება ხდება სამუშაო ჯგუფის მეშვეობით, რომელიც ადგენს ცვლილების საჭიროებებს, ამზადებს შესაბამის დოკუმენტაციას და წარადგენს დირექტორისთვის დამტკიცების მიზნით. სამუშაო ჯგუფის ფორმირება ხდება დირექტორის ბრძანებით ან პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით. ცვლილებები თანხვედრაში უნდა იყოს პროგრამის მიზნებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებთან. პროგრამის განხორციელებისას უზრუნველყოფილია სტუდენტთა ინტერესების დაცვა და სწავლის უწყვეტობა. აღსანიშნავია, რომ პროგრამა „საფინანსო სერვისები“ დაწესებულება ახლა იმატებს და შესაბამისად, მექანიზმის პრაქტიკაში განხორციელების შეფასება ამ ეტაპზე ექსპერტთა მხრიდან არ მომხდარა.

**ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია“ (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა დაწესებულებას მოთხოვნების თანახმად შემუშავებული აქვს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არაქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. გეგმა გაწერილია 1 აკადემიურ წელზე. არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 54 სასწავლო კვირა, ხოლო ქართულენოვანი კონტიგენტისთვის 39 სასწავლო კვირა. საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები. წინაპირობების არსებობის შემთხვევაში დაცულია განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული ვადები.

**ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისობაშია**

**2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

დაწესებულება სასწავლო პროცესს გეგმავს და ახორციელებს პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და სტუდენტების მხარდაჭერის წესები „სასწავლო პროცესის მართვის წესში“ და „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელეთა მხარდაჭერის მექანიზმებში (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023წ. (ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ.)) სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, სადაც მათ აწვდიან სრულ ინფორმაციას პროგრამის შინაარსზე, სწავლის პირობებსა და შესაძლებლობებზე, ასევე მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში განხორციელდება ცვლილება ან მოხდება მისი შეწყვეტა, დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის განათლების გაგრძელების შესაძლებლობას. დაწესებულება ოპერატიულად რეაგირებს სტუდენტების საჭიროებებზე და მაქსიმალურ მხარდაჭერას უწევს სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე.

**ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია**

**3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

პროგრამის შესაბამისი სასწავლო რესურსი და მატერიალური ბაზა იძლევა იმის გარანტიას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით. პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით, ასევე ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები. პროფესიულ მასწავლებლებს გავლილი აქვთ არა ერთი ტრენინგი სწავლების მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით. შესაბამისად გამოიყენებული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

**ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისობაშია**

**4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

დაწესებულება სწავლების პროცესში გაითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს მათთვის შესაბამისი პირობების შექმნას პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდება ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და განსაზღვრავს სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებსა და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. „სასწავლო პროცესის მართვის წესის" მიხედვით, პროფესიულ სტუდენტს ინდივიდუალურ რეჟიმში შეუძლია კომპონენტის გავლა შემდეგ შემთხვევებში: თუ დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების შედეგის გათვალისწინებით ვერ მიიღო დადებითი შეფასება არარენტაბელური ჯგუფის ფორმირების შემთხვევაში, როცა დაწესებულება ვალდებულია სტუდენტს გაატაროს შესაბამისი კომპონენტი, სტატუსშეჩერებული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის შემდეგ, პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში ცალკეული კომპონენტების გაუვლელობის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არ ხდება სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა, მიღებული ფორმალური განათლების აღიარების შედეგად დარჩენილი კომპონენტის გავლისას, მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების შედეგად დარჩენილი კომპონენტის გავლისას, შიდა ან გარე მობილობის შემთხვევაში. აღნიშნულ შემთხვევებში სასწავლო პროცესის დაგეგმვის საფუძველია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული ან სტატუს აღდგენილი სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას და მათი სწავლის პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფას.

**ინდიკატორი 2.4.1.4 შესაბამისობაშია**

**5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა " ახორციელებს დაწესებულების ბაზაზე. აღნიშნული პროგრამა არ საჭიროებს პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებას პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან, შესაბამისად არ ჰქონდათ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

**ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისობაშია**

**6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი, რომელიც განსაზღვრავს იმ უსაფრთხოების ნორმებს, რომლებიც სავალდებულოდ უნდა დაიცვან სასწავლო პროცესში ჩართულმა ყველა პირმა. ეს კონკრეტულად ეხება B გარემოში უსაფრთოების და ზოგადი უსაფრთხოების წესებს. პროგრამით განსაზღვრული მოდულების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების სწავლება ტარდება დაწესებულების აუდიტორიებში, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო და კომფორტული სასწავლო გარემო. იმ მოდულების პრაქტიკული კომპონენტების ნაწილი, რომლებიც პარტნიორ ორგანიზაციებში ხორციელდება, რეგულირდება ხელშეკრულებით. სადაც მკაფიოდ განსაზღვრულია პარტნიორი ორგანიზაციების ვალდებულება, შექმნან უსაფრთხო გარემო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნობრივი შედეგების სრულყოფილად მიღწევის უზრუნველყოფას.

**ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისობაშია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- დაწესებულების ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მიერ 2023 წლის 29 ნოემბრის N111 ბრძანებით (ცვლილება: N 00000129- 26/08/2025);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული ტექნოლოგიების მხადაჭერა " დამტკიცების ბრძანება - #00000128 25.08.2025;
- მატერიალური რესურსების განკარგვის წესი (შპს ილია-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯ
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან,
- დაწესებულების შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა.
- დაწესებულების შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სერტიფიკატი.
- 2024 წლის 11 იანვარს გაცემული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემისა და მოწყობილობების გამოცდის აქტი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას
1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**
დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მართვის წესი“ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №111, 29.11.2023 წ.; ცვლილება: №00000129, 26.08.2025 წ.), რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის პრინციპებსა და განხორციელების წესს. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლების შედეგების ობიექტურ და სამართლიან დადასტურებას და ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი დარგის სპეციალისტთან ერთად (საჭიროების შემთხვევაში პროცესში შეიძლება ჩაერთოს მოწვეული გარე ექსპერტი/ვალიდატორი). ვალიდაცია ტარდება შეფასების ჩატარებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე. შეფასების ინსტრუმენტის პროექტი, საჭიროების შემთხვევაში, უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს ან სამუშაო ჯგუფს რეკომენდაციებისა და შენიშვნების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასათვალისწინებლად, რომლებიც ვალდებულნი არიან განახორციელონ შესაბამისი შესწორებები მოკლე ვადაში. ვალიდაციის პროცესი დოკუმენტირდება სპეციალური კითხვარის მეშვეობით, რომელსაც ხელს აწერენ სასწავლო პროცესის მენეჯერი და ვალიდაციაში ჩართული დარგის სპეციალისტი. ვალიდურად მიიჩნევა მხოლოდ ის ინსტრუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს, და შეფასების მიზნებისთვის გამოიყენება მხოლოდ ასეთი ვალიდური შეფასების ინსტრუმენტი. შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციისა და შეფასების ადმინისტრირების პროცესები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და დაცულია სამართლიანობის პრინციპები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ნაწილში, რაც დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსერტთა ჯგუფის ინტერვიურების გზით, მათ შორის კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთათვის შეფასების შედეგების გაცნობა. პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუირებით და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტით დასტურდება, რომ  აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას, რაც სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას.

**ინდიკატორი 2.4.2.1 შესაბამისობაშია**

**2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023 წ.; ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025 წ.), რომლის მე-14 მუხლი არეგულირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, წინასწარ შემუშავებული ფორმების საფუძველზე. პროცესში მონაწილეობენ ორი მიმართულების ვერიფიკატორები:განათლების მიმართულებით ვერიფიკატორი და დარგის მიმართულებით ვერიფიკატორი. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, ვერიფიკატორი არ მონაწილეობს იმ ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციაში, რომელთა შექმნასა ან ვალიდაციაში თავად იყო ჩართული. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოთხოვნით იწვევს შესაბამისი დარგის სპეციალისტს. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი დირექტორს წარუდგენს ვერიფიკაციის გეგმის პროექტს და საჭირო დოკუმენტაციას დასამტკიცებლად. დამტკიცების შემდეგ, დირექტორი ქმნის ვერიფიკაციის ჯგუფს და განსაზღვრავს მის ხელმძღვანელს. ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით:

- გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაცია არის შერჩევითი პროცესი და ეფუძნება რისკების ანალიზს. რისკის ფაქტორებად განიხილება მოდულის ან დარგის ცვლილება, დამწყები პროფესიული მასწავლებლის ფაქტორი, პირველადი შეფასებისას ერთნაირი შედეგების მიღება ყველა სტუდენტისთვის, ან სხვა გარემოებები, რომლებიც ზრდის შეუსაბამობის ალბათობას. შერჩევა შეიძლება მოიცავდეს საერთო მტკიცებულებების 15–20%-ს ან სხვა მოცულობას, რაც განისაზღვრება რისკების ანალიზის საფუძველზე. ვერიფიკაციის შედეგები ფორმდება დასკვნაში, სადაც აისახება შეფასების ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, ობიექტურობა, გამოვლენილი პრობლემური საკითხები და რეკომენდაციები პროცესების გაუმჯობესებისთვის. დასკვნის განხილვაში მონაწილეობენ მასწავლებლები, თანამშრომლები, დარგის ექსპერტები, დამსაქმებლები და პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები. განხილვის შედეგად მუშავდება სამოქმედო გეგმა პრობლემების აღმოსაფხვრელად, განისაზღვრება ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსები. ფართომასშტაბიანი საკითხების შემთხვევაში, სამოქმედო გეგმა შეიძლება გახდეს წლიური გეგმის ნაწილი, ხოლო ინდივიდუალური შემთხვევებისას ცალკე დოკუმენტი. გეგმის შესრულება ექვემდებარება მონიტორინგს. განმეორებითი ვერიფიკაცია ტარდება ახალი ინსტრუმენტების შექმნისას, არსებულებში ცვლილებების შეტანისას, განმახორციელებელი პირის შეცვლისას ან სხვა მნიშვნელოვანი გარემოებებისას. ცვლილებების ინიცირების უფლება აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის წევრს, სასწავლო პროცესის მენეჯერს და პროგრამის განმახორციელებელ პირს. ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, ინსტრუმენტები თავიდან გადიან ვალიდაციის პროცესს. დაწესებულებამ წარმოადგინა ვერიფიკაციის ჯგუფის დამტკიცებისა და ვერიფიკაციის გეგმის დამტკიცების შესახებ შესაბამისი ბრძანებები, ასევე, უკვე განხორციელებული ვერიფიკაციის დასკვნა. წარმოდგენილი დასკვნიდან იკვეთება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ „შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები ეხებოდა შეფასების ინსტრუმენტებში არსებულ ტექნიკურ უზუსტობებს. აღნიშნული რეკომენდაციები დაწესებულების მიერ უკვე გათვალისწინებულია ახალი შეფასების ინსტრუმენტებში.

**ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისობაშია**

**3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მართვის წესი“ (დამტ .ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ). ), რომელიც განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების აღრიცხვისა,შენახვის წესებსა და ვადებს. აღნიშნული წესის 58-ე მუხლის 58.3 პუნქტის მიხედვით, შეფასების მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემდეგაც ხდება მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ან შენარჩუნება საგანმანათლებლო მიზნებისთვის, ან გადაცემა ავტორს. პუნქტის 58.4 თანახმად, შეფასების პროცესში შექმნილი მალფუჭებადი პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს კონკრეტული მოდულის სწავლის შედეგის დადასტურების მტკიცებულებას, ფიქსირდება სპეციალურ ფორმულარში. აღნიშნულ ფორმულარში აისახება მოდულის დასახელება, სასწავლო შედეგი, შემსრულებელი პირი, მოდულის განმახორციელებელი, თარიღი და სხვა შესაბამისი მონაცემები. პროდუქტის ფოტომასალა ფორმულართან ერთად ინახება კოლეჯში შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რის შემდეგაც მტკიცებულება ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ან რჩება დაწესებულებაში საგანმანათლებლო მიზნებისთვის/გადაეცემა ავტორს.

58.5 პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას შექმნილი ელექტრონული პროდუქტი, რომელიც დაკავშირებულია სწავლის შედეგის დადასტურებასთან, ინახება ციფრულ მატარებელზე იგივე პრინციპით — შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, შემდგომში მისი განადგურება ან შენარჩუნება ხორციელდება ზემოაღნიშნული წესით. აღნიშნული პროცედურები უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, მტკიცებულებათა სათანადო აღრიცხვასა და შენახვას დადგენილ ვადებში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები, შევსებული უწყისები რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევთ იქნა გადამოწმებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება რომ დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

**ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია**

**4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მართვის წესი რომლის მიხედვითაც , პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით. სასწავლო პროცესის მენეჯერთან, პროფესიული სტუდენტებთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენებენ განმავითარებელი შეფასებას, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. პროფესიული სტუდენტები უკუკავშირს მიიღებენ პერსონალური მონაცემების დაცვით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მართვის წესი (დამტ.ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ).
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტ. ბრძანება N111 - 29/11/2023 წ.; ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025 წ.)
- შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის დასკვნა
- შპს ილიას ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 19 დეკემბრის ბრძანება N 124 ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ
- ვერიფიკაციის დასკვნა
- ვალიდაციის ნიმუში
- შპს ილიას ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2025 20 აგვისტოს ბრძანება N 123 ვერიფიკაციის გეგმის დამტკიცების შესახებ
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში**

*გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული  სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში.*

***ქვემოთ მოცემული ცხრილი ივსება თითოეული მილევადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.***

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ბუღალტრული აღრიცხვა |
| პროფესიული განათლების დონე | V |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში/Hiiger Vocational Qualification in Accounting |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0411 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. საგარეჯო ლეონიძის ქ. 33 ა |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | 7 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 99 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 129 |

## ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

20.01.2026
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: